# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 29 ნოემბერი 2000 №230 (1252) | ფასი 50 თეთრი

ნანა ალექსანდრია

დელიდან



# შბილავა ანანდს ჭადრაკს და ქართულს ასწავლის



შემოდგომა ბარაქიანი აღმოჩნდა საჭადრაკო სამყაროსთვის: სექტემბერი — მსოფლიოს თასი — ჩინეთში, ოქტომბერი — მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადა — თურქეთში, და, წლის ბოლოს, ნოემბერ-დეკემბერში — მსოფლიო ჩემპიონატი — ინდოეთში, ჭადრაკის სამშობლოში. დელი, 26 ნოემბერი — პრესტიჟული სასტუმრო „ჰაიატის" ლამაზ ბაღში, საცურაო აუზის გარშემო ხმაურიანი ფოიერვერკით გაიხსნა მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში. „ვიში" და „ვიჯი" — ინდოელების ორი საჭადრაკო იმედი — ვიშვანათან ანანდი და სულ ახალი ვარსკვლავი ვიჯაიალაქშმი, რომელმაც ოლიმპიადაზე ერთადერთი მარცხი აწვნია შესანიშნავად მოთამაშე იოსელიანს (სხვათა შორის, II რაუნდში სწორედ მათი შეხვედრაა მოსალოდნელი). „მამა აქ არის!" სუფთა ქართულით მომმართა ვაჟთა ჩემპიონატის მთავარმა ფავორიტმა, პირველი რეიტინგის მქონე ვიში ანანდმა შეხვედრისას. „მამა" — ელიზბარ უბილავა, ანუ „უბი", ქართველი დიდოსტატი — ანანდის უცვლელი სეკუნდანტი გახლავთ.

სტამბოლში მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე საქართველოს წარმატებული გამოსვლის გარდა კიდევ ერთი სასიამოვნო რამ მოხდა — ქართველ მოჭადრაკეებში აღდგა ურთიერთობები, რაც სასიკეთოა ჭადრაკისთვის, მაგრამ აბსოლუტურად უინტერესო პრესისთვის. თუ ამ ფაქტის გამო პრესა საბოლოოდ დაკარგავს ჭადრაკისადმი ინტერესს, იძულებული გავხდებით ხელახლა „დავცხოთ" ერთმანეთს...

იხილეთ მეთხუთმეტე გვერდი

# გიორგი კიკნაძეც ფრაიბურგელია
## ფოლკერ ფინკეს ამერ-იმერი

**გიორგი კიკნაძე** გერმანული „ფრაიბურგის" ფეხბურთელია. მან გუშინწინ წელიწადნახევრიანი კონტრაქტი გააფორმა.

გუშინწინდელსავე „სპორტ ექსპრესში" ჩვენთვის საინტერესო სიტყვებიც ამოვიკითხეთ. „დორტმუნდიდან" „ფრაიბურგში" ახლახან გადაბარგებულ რუს ვლადიმირ ბუტს თვისტომი ჟურნალისტი დაახლოებით ასეთ რამეს ეკითხება — გერმანიაში „ფრაიბურგს" ქართულ გუნდად იხსენიებენ, არ გაგჭირვებიათ შეგუება? ბუტმა, ცოტა კიო, თქვა და მერე საუბარი სხვა თემაზე გადაიტანა.

და აი, ეს ყველაფერი რატომ დაგვჭირდა — „ფრაიბურგში" სამი ქართველი იყო და გერმანელები ქართულს უწოდებენ. ახლა, როცა „ფრაიბურგში" მეოთხე ქართველიც ითამაშებს, რაღას იტყვიან? მოკლედ და კონკრეტულად კი...

გიორგი კიკნაძე თურქული „სამსუნსფორის" ფეხბურთელი იყო. გუნდი მის სანაცვლოდ 90 ათას დოლარს ითხოვდა...

— ძალიან გამიხარდა, რომ „ფრაიბურგის" ფეხბურთელი გავხდი. ამდენ ხანს უთამაშებელი ვიყავი და ამ დროს აქ, ფრაიბურგში აღმოვჩნდი — გვითხრა წუხელ გიორგი კიკნაძემ, რომელსაც გერმანიაში შევეხმიანეთ — „ფრაიბურგი" დღეს ან ხვალ „სამსუნსფორს" კუთვნილს გადაუხდის. რაც მთავარია, კონტრაქტი უკვე გაფორმებული მაქვს — წელიწადნახევარი აქ დავრჩები.

**— რატომ მაინცდამაინც წელიწადნახევარი? ამ ბოლო დროს ასეთ კონტრაქტებს აღარ აფორმებენ.**

— „ფრაიბურგის" მწვრთნელმა ფოლკერ ფინკემ ასე შემომთავაზა და მეც დავთანხმდი,



გურამ [illegible] ფოტო

ოღონდ — წელიწადნახევარს პლუს ერთი — უფრო ზუსტად ასეთია ჩემი „ფრაიბურგთან" კონტრაქტი.

**— ურიგო ვარიანტი არ არის...**

— მეც ასე ვფიქრობ. თითქმის წელიწადი უთამაშებელი ვიყავი და ახლა იმედი მაქვს, ჩემსას ბოლომდე ვითამაშებ.

**— ფინკესთან პირისპირ არ გისაუბრია?**

— ვისაუბრეთ. პირდაპირ მითხრა, უთამაშებლობა გეტყობა, ვარჯიში კი ვარჯიშია და თამაში სულ სხვა, მაგრამ კმაყოფილი ვარ და მსურს, ჩვენთან დარჩეო. ჩემს ძირითად შემადგენლობაში თამაშზე ამჟამად ლაპარაკიც ზედმეტია. 2 იანვარს გუნდი ბუნდესლიგის მეორე წრისთვის მოსამზადებლად პორტუგალიაში მიდის და მეც, რა თქმა უნდა, თან მივყვები. გერმანიაში დაბრუნებული, ალბათ, სათანადო ფორმაში ვიქნები და ბუნდესლიგაშიც ვითამაშებ. იანვრამდე კი ალბათ „ფრაიბურგის" მეორე გუნდში მათამაშებენ. მალე თბილისშიც უნდა ჩამოვიდე სავიზო საქმეების მოსაგვარებლად.

**— გუნდთან შეგუება არ უნდა გაგჭირვებოდა...**

— აქ ხომ ჩემი უახლოესი მეგობრები — იაშვილი, კობიაშვილი და ცქიტიშვილი თამაშობენ. არც სხვას უგრძნობინებია რამე, ჩვეულებრივად მიმიღეს და მეც მადლობელი ვარ. ისე კი, აქაურები ამბობენ, რა ამბავია ამდენი ქართველიო, მაგრამ ფინკემ ყველა დაარწმუნა, რომ გუნდს ოთხივე ვჭირდებით. მათ ბევრი სალაპარაკო არ მისცა, პასუხი მოკლედ მოუჭრა.

**— უკვე ხარ პირველი ბუნდესლიგის განაცხადში?**

— „ფრაიბურგი" გერმანიის საფეხბურთო კავშირში ჩემს კონტრაქტს და „სამსუნისთვის" გადახდილი შესაბამისი თანხის ქვითარს რომ წარადგენს, მაშინვე განაცხადში შემიყვანენ.

**ბოგა ინასარიძე**

# ბოკა, ბიანკი, ტოიოტა!

*ექვსი წლის წინ ევროპის ჩემპიონთა თასის ფინალში ფაბიო კაპელოს „მილანმა" იოჰან კრუიფის „ბარსელონა" 4:0 დაანგრია, მაგრამ ტოკიოში არგენტინულ „ველეჟ სარსფილდთან" წააგო. სამხრეთამერიკელთა მწვრთნელი მაშინ კარლოს ბიანკი იყო.*

*გუშინ ევროპის ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულმა მადრიდის „რეალმა" იმავე ტოკიოში საწყის ექვს წუთში ორი გოლი გაუშვა და „ტოიოტას" თასი არგენტინულ „ბოკა ხუნიორსს" გაატანა. გამარჯვებულთა მწვრთნელი კარლოს ბიანკია.*

*ბიანკიდან ბიანკიმდე სამხრეთამერიკელებს ეს თასი ვერ მოეგოთ...*

REUTERS ფოტოები





ტოკიოში კაპიტანმა ხორხე ერნან ბერმუდესმა თასი აღმართა და ხალხმა ბუენოს აირესში გაიხარა

# არველაძე და კოალიცია დინამოსთვის



რევაზ არველაძე

...სადღაა „დინამო"? აბა, სხვა რა კითხვა უნდა გასჩენოდა კაცს, როცა კლუბმა წინა სეზონში ვერც ჩემპიონობისათვის იბრძოლა, ვერც თასისათვის, ევროტურნირებიდან ყველაზე ნაკლებადპრესტიჟულ ინტერტოტოზეც მყისვე ხელი მოეცარა და ოდენ სიმბოლური, ბოლო ქართული სუპერთასის ამარა შეიქნა. მეტიც, პრეზიდენტი დაუტუსაღეს, ვალებს ვალები მიუმატეს და უპატრონოდ დატოვეს.

...ვინ შეაჩერებს „დინამოს"? ახლა უკვე ეს არის აქტუალური შეკითხვა — მეთორმეტე ეროვნულში უფერული სტარტის შემდეგ რევაზ არველაძის „დინამო" მეტად მოღონიერდა, აღმავლობას განიცდის და, რაღა თქმა უნდა, კვლავ მხოლოდ მაღალი მიზნებისათვის იბრძოლებს.

...მაგრამ ვინ უპატრონებს „დინამოს?" კლუბი ხომ ისევ არარეგისტრირებულია, ფაქტობრივად ჰაერშია გამოკიდებული, რევაზ არველაძის და მეცენატების ინიექციებით უცემს გული. სწორედ ამიტომ, გუშინ ეროვნული სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში წარდგა რევაზ არველაძე ჟურნალისტების წინაშე მეტად თამამი, არცთუ მოულოდნელი, ოფიციალური და ოდნავ ულტიმატუმის მსგავსი განცხადებით, რომლსაც, ცხადია, სტილუცვლელად, ამავე გვერდში გაეცნობით.

ჩვენის მხრივ კიდევ ერთხელ დავძენთ, რომ რევაზ არველაძის და მისი მეგობრების ეს სვლა არცთუ ძნელად იკითხებოდა და იშიფრებოდა ჯერ კიდევ მაშინ, როცა „დინამოს" მთავარ მწვრთნელად რევაზ არველაძე გაამწესეს. გუშინდელი განცხადებაც, ვფიქრობ, ჩვენს საზოგადოებაში და საფეხბურთო სამყაროში შექმნილი მელოდიის ექოა, რაც ერთობ საინტერესო ფაქტია და, რა თქმა უნდა, განცხადების შემდეგ რევაზ არველაძეს შეკითხვებზე პასუხის გაცემამაც მოუწია.

**— რა არის ასეთი განცხადების მთავარი მიზეზი?**

— ის, რომ „დინამოს" ხელ-ფეხი შეკრული აქვს და ტრანსფერებს ვერ ახორციელებს. პირველ რიგში ხომ „მრეტების" ვალი გვაბრკოლებს, რომელიც დროულად უნდა გავისტუმროთ.

**— კი მაგრამ, როგორც ვიცით, „მრეტების" ვალის ნაწილი გასტუმრებულია. ვინ გადაიხადა თანხა „დინამოსთვის"?**

— ინტერტოტოს თასზე მონაწილეობისათვის კლუბს უეფასგან თანხა ერგება, რომელსაც გაისად, გაზაფხულზე მიიღებს. ჰოდა, სფფ-მ 50 ათასი შვეიცარული ფრანკი გაიღო „დინამოსათვის" „მრეტების" ვალის დასაფარად და ამ თანხას კლუბი მყისვე აუნაზღაურებს, როგორც კი უეფადან ფული გადმოერიცხება.

**— ვინ არის „დინამოს" ახალი, პოტენციური დამფუძნებელი?**

— ჯერჯერობით გეტყვით მხოლოდ იმას, რომ ერთ-ერთი მათგანი მე ვიქნები, დანარჩენები კი ჩემი მეგობრები, რომელთა ვინაობას მოგვიანებით შეიტყობთ.

**— მერაბ რატიანი დაპატიმრებულია...**

— არ შეიძლება არ აღვნიშნო მერაბ რატიანის დიდი ღვაწლი. მასთან და მის მეგობრებთან ყოველივე უკვე შეთანხმებულია. თუ ჩვენ დავინახავთ, რომ „დინამოში" დღევანდელზე კარგი სიტუაცია შეიქმნება, ჩვენი მხრიდან არანაირი პრობლემა არ წამოიჭრებაო — ასეთია მათი პოზიცია.

**— შსს და სპორტსაზოგადოება „დინამო" როგორ უყურებენ თქვენი და თქვენი მეგობრების ამ ინიციატივას?**

— მათ არანაირი პრეტენზია არ გააჩნიათ. რაც შეეხება დიღმის საწვრთნელ ბაზას, რა სახის იჯარით მოიხმარს მას კლუბი, რა მნიშვნელობა აქვს. ვერანაირ დაბრკოლებას ვერ ვხედავ. არა მგონია, რომელიმე მხარე უკმაყოფილო დარჩეს.

**— გამოდის, რომ არანაირი წინააღმდეგობა არ ელობება ახალი შ.პ.ს.-ს შექმნას?**

— რაც უნდა მოხდეს, კანონი გვაძლევს იმის უფლებას, რომ შევქმნათ ახალი შპს უკვე გვქონდა კონსულტაციები იურისტებთან, რაც ამის თქმის საშუალებას მაძლევს.

გულახდილად გეტყვით, მომბეზრდა ბრტყელ-ბრტყელი ფრაზები და სრულებითაც არ ვარ ვალდებული, არარეგისტრირებულ კლუბში ჩემი ფული მივიტანო. ამას მე და ჩემი მეგობრები ქართული ფეხბურთისათვის, თბილისის „დინამოსთვის" ვაკეთებთ და უკვე შევძელით შეგვექმნა მეგობრული გუნდი, რომელიც „დინამოს" და ქართული ფეხბურთის სიყვარულით ფაქტობრივად ენთუზიაზმის ხარჯზე თამაშობს — უკვე ოთხი თვეა, ფეხბურთელებსა და გუნდის მომსახურე პერსონალს ხელფასი არ მიუღიათ. ჩვენც ჩვენი თავის გარდა არავის და არაფრის იმედი არ გვაქვს. თუ საქართველოში სხვა გუნდებს აქვთ ნორმალური პირობები, რა, „დინამო" აღარ არის ამის ღირსი? რაც უფრო ბევრ კლუბში ჩაიდება ინვესტიციები, ხომ უკეთესი იქნება ქართული ფეხბურთისთვის.

**— ალბათ, შოთა და არჩილ არველაძეებიც არ დგანან განზე...**

— რასაკვირველია, მათი მხარდაჭერის იმედი ახლაც მაქვს. ისინი ინვენტარით ეხმარებიან „დინამოს", გუნდი ვარჯიშზეც ხომ ვიზუალურად სათანადოდ უნდა გამოიყურებოდეს. ტყუპების შემწეობით „დინამომ" 50 წყვილი სპორტული ფორმის სრული კომპლექტი მიიღო.

**— და მაინც, თვლით, რომ ხელს არავინ შეგიშლით?**

— თუ ვინმეს ჩაფიქრებული აქვს „დინამოს" დატაცება და მზაკვრული აზრები ამოძრავებს...

ისე კი „დინამოს" მომავალ ასე ვთქვათ, მთავრობაში ისეთი სახელოვანი ხალხია თავმოყრილი, რომ...

**დავით თავართქილაძე**

### ს.კ. თბილისის დინამოს ოფიციალური განცხადება

გუნდის სახელით ვაკეთებ რა ოფიციალურ განცხადებას, კარგად მესმის ჩემი სიტყვების მნიშვნელობა, მაგრამ კლუბში შექმნილი სიტუაცია სხვა არჩევანის საშუალებას არ იძლევა.

გუნდის მთავარ მწვრთნელად ჩემი დანიშვნის შემდეგ, პირველივე პრესკონფერენციაზე ოფიციალურად განვაცხადე, რომ საქართველოს ჩემპიონობისა და თასის მოპოვების გარდა, აგრეთვე ევროპაში წამყვან გუნდთა შორის ინტეგრირების გარეშე, სხვა შედეგი ჩვენს მიერ დადებითად შეფასებული არ იქნება-მეთქი.

გავიდა ოთხი თვე, გუნდი რეალურად ორივე ტიტულის მოპოვების პრეტენდენტია და მთელი კოლექტივის სახელით ვაცხადებ, რომ ყველაფერს გავაკეთებთ მიზნის მისაღწევად.

ამასთან ერთად, მე სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ კლუბის არცერთ დამფუძნებელს გარკვეული მიზეზების გამო პრაქტიკულად უკანასკნელ პერიოდში არაფერი გაუკეთებია კლუბში არსებული პრობლემების აღმოსაფხვრელად და მდგომარეობის გამოსასწორებლად, და ალბათ არც ძალუძთ. არ გაამართლა იმედები სახელმწიფო კომისიამაც.

კლუბის ფინანსური მდგომარეობა უფრო გაუარესდა, მანამდე არსებულ ვალებს დაემატა ახალი — ოთხი თვეა ფეხბურთელებს, მწვრთნელებს და მომსახურე პერსონალს არ მიუღია ხელფასი.

პრაქტიკულად, არცერთი საკითხი არ გადაწყვეტილა და მე მადლობელი ვარ კლუბის კოლექტივის, რომელიც, ყველაფრის მიუხედავად, უანგაროდ აგრძელებს თავისი მოვალეობის შესრულებას.

მაგრამ მთავარი ეს არ არის. მთავარია ის, რომ ჩვენ ვერ ვხედავთ შექმნილი სიტუაციიდან გამოსავალს. არ მინდა ვთქვა, რომ ჩვენს დამფუძნებლებს არ სურთ შექმნილი მდგომარეობის გამოსწორება. უბრალოდ, მათ არ შეუძლიათ ამის გაკეთება გარკვეული მიზეზების გამო. იმის გათვალისწინებით, თუ რა კატასტროფული ფინანსურ-ეკონომიკური მდგომარეობაა ქვეყანაში, ეს გასაგებიცაა, მაგრამ ჩვენ არასდროს დავუშვებთ, რომ ლეგენდარული კლუბი ჩვენს ხელში დაინგრეს. ჩვენ არ გვინდა შევიდეთ კლუბის ისტორიაში ნეგატიური ნიშნით — დამანგრეველის სახელით.

სწორედ ამიტომ, მე და ჩემმა მეგობრებმა მივიღეთ გადაწყვეტილება ახალი შპს — „ფეხბურთი"-ის შექმნის შესახებ.

დარწმუნებული ვარ, რომ ფეხბურთის ყველა ჭეშმარიტი მოყვარული, ყველა, ვინც ნამდვილად გულშემატკივრობს ჩვენს გუნდს, ფეხბურთელთა ყველა თაობა, რომელიც მისი არსებობის მანძილზე თამაშობდა „დინამოში", არა მარტო სწორად გაიგებენ ჩვენს გადაწყვეტილებას, არამედ მოიწონებენ კიდეც მას.

აქედან გამომდინარე, ჩვენ ვაყენებთ საკითხს შპს ს.კ. თბილისის „დინამოს" დამფუძნებლების წინაშე, რომ თუ ა/წ 10 დეკემბრამდე სიტუაცია უკეთესობისკენ არ შეიცვლება, ჩვენ შემდეგნაირად ვიმოქმედებთ:

1. უმოკლეს ვადაში ავირჩევთ ხელმძღვანელ ორგანოს და რეგისტრაციაში გავატარებთ შპს-ს, რომელიც იქნება შპს ს.კ. თბილისის „დინამოს" 100%-იანი დამფუძნებელი.

2. დავაყენებთ საკითხს რესპუბლიკურ-ფიზკულტურულ კლუბ „დინამოსთან" დიღმის საფეხბურთო ბაზის ექსპლუატაციის საკითხზე — ეს იქნება იჯარით გრძელვადიანი სარგებლობის თუ სხვა ფორმით.

3. სააქციო საზოგადოება „ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნული სტადიონის" ხელმძღვანელობასთან ერთად სამუშაო ვითარებაში გადავწყვეტთ ოფიციალური მატჩების ამ სტადიონზე გამართვის საკითხს.

4. ს.კ. თბილისის „დინამოს" სამართალმემკვიდრის სახით ავიღებთ ჩვენ თავზე ოფიციალურ დოკუმენტალურად დამტკიცებულ ვალებს, რომლის შესახებაც გამოვაცხადებთ მასობრივი საინფორმაციო საშუალებებით და ტელევიზიით, და შემდეგ ეტაპობრივად შევუდგებით მის დაფარვას.

ჩვენ მადლიერი ვართ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის, ყველა ფიზიკური და იურიდიული პირის, ორგანიზაციული და პრაქტიკული დახმარებისათვის. იმედია, ისინი გუნდის ყველაზე მძიმე წუთებშიც არ მიგვატოვებენ.

ამავდროულად, მივმართავთ გუნდის ყველა ვეტერან და მოქმედ ფეხბურთელს, მიიღონ აქტიური მონაწილეობა გუნდის მომავალი სტრატეგიის განსაზღვრაში, გუნდისა, რომელმაც მათ დიდ ფეხბურთში და ზოგიერთს მთელს მსოფლიოშიც კი დაუმკვიდრა ადგილი, მითუმეტეს, რომ ჩვენი დღევანდელი ფორმით არსებობა სერიოზულად უშლის ხელს ოფიციალურ ურთიერთობებს როგორც ფიფას, უეფას და სფფ-სთან, ასევე ჩვენს სახელმწიფოსთანაც, რასაც „დინამოს" კატასტროფისაკენ მივყავართ.



სანდერლენდი — მანჩესტერი 2:1. სტუმრები იორკის გოლით დაწინაურებას ხარობენ, თუმცა მერე ორი მოედნიდან გაძევს „იუნაიტედი" კი ლიგის თასიდან

REUTERS

## საფრანგეთი

XVIII ტური

**გენგამი 0:1 ლანსი**

0:1 სიბირსკი (61)

**პსჟ 0:1 რენი**

0:1 შაბუი (30)

## იტალია

თასის მეოთხედფინალი

**მილანი 4:2 ატალანტა**

0:1 განცი (20), 1:1 ლეონარდო (31), 1:2 ნაპი (45პ), 2:2 ხოსე მარი (55პ), 3:2 ლეონარდო (66), 4:2 შევჩენკო (88)

## გერმანია

თასის მერვედფინალი

**უნიონი 4:2 ულმი**

**მაგდებურგი 5:3 დ.დ. (3:3) კარლსრუე**

**ვოლფსბურგი 1:1 დ.დ. (0:0) პ 3:4 დუისბურგი**

## თურქეთი

თასის მესამე ეტაპი

**ალთაი 1:2 ტრაბზონი**

## ბელგია

თასის მერვედფინალი

**ლომელი 3:0 ლუვიე**

## ჰოლანდია

**როდა 2:3 ვიტესი**

0:1 სიკორა (19), 0:2 მამადუ (52), 1:2 ანასტასიუ (60), 1:3 კრეეკი (68), 2:3 ანასტასიუ (88)

## ინგლისი

თასის პირველი ეტაპი

გადათამაშება

პიტერბორო — მენსფილდი 4:0, საუთენდი — ტორკი 2:1 დ.დ. (1:1), ბარტონი — კიდერმინსტერი 2:4, ჰალი — კეტერინგი 0:1, ნორვიჩი — ბერი 1:0 პლიმუთი — ჩესტერი 1:2 დ.დ. (1:1), პორტვეილი — ქანვეი 1:2 დ.დ. (0:0)

ლიგის თასის

მერვედფინალი

**იფსვიჩი 2:1 ძოვენთრი**

**კრისტალ პელასი 0:0 დ.დ. (პ 6:5) ტრანმირი**

**სანდერლენდი 2:1 დ.დ. (1:1) მანჩესტერი**

მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი

## აზია

II ჯგუფი. II ტური

**ირანი 2:0 ტაჯიკეთი**

1:0 ალი დაეი (47), 2:0 ბაშემი-ნასაბი (54)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ირანი | 2 | 2 | 0 | 0 | 21:0 | 6 |
| ტაჯიკეთი | 2 | 1 | 0 | 1 | 16:2 | 3 |
| გუამი | 2 | 0 | 0 | 0 | 0:35 | 0 |

ირანი გავიდა მეორე წრეში

## შოტლანდია

XVIII ტური

**დანდი იუნ. 0:1 კილმარნოკი**

0:1 დარგო (77)

**სენტ ჯონსტონი 0:0 აბერდინი**

რეკლამა სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

საქართველოს ჩემპიონატი · უმაღლესი ლიგა · მეორე წრე · 16 ტური · ანონსი

# ორი უკეთესია, ექვსი სასურველი

**ტურში** ერთ ცენტრალურ თამაშს ორი რომ სჯობს, ალბათ, არავისთვის უნდა იყოს საკამათო. გასული ტურიდან მოყოლებული მეთორმეტე გათამაშებას სწორედ ორ-ორი ცენტრალური მატჩი დაებედა. ასე იქნება 5 მარტამდე. ისე, უფრო სასურველი ის იქნებოდა, ტურში ყველა შეხვედრა ცენტრალური ყოფილიყო, მაგრამ ამას იტალიელები, ინგლისელები და ესპანელები ვერ ახერხებენ და ჩაბნელებულმა საქართველომ ვერ შეძლოს, რა გასაკვირია?

მორიგი, მეთექვსმეტე ტურია დღეს და აბა, გამოიცანით, ვინ გაიხარებს? ბევრი ინატრებდა გულთმისნობას, მაგრამ...

დღეს „ბათუმი“ — „დინამოა“, კიდევ „კოლხეთი“ — „ტორპედო“. „მერანი“ „გორდას“ მასპინძლობს და შანსი უჩნდება, ცროებით მაინც მოხვდეს სასურველ ექვსეულში. „დილა“ თსუ-ს მოელის. გორელთა ყოფილი მწვრთნელი მიუძღვება სტუდენტებს. „ლოკომოტივი“ და „ვიტ ჯორჯია“ კი განიტვირთებიან. რკინიგზელები „ტორპედოსთან“ დაძაბული მატჩის შემდეგ ძალებს აღიდგენენ, ხოლო ვეტერინარები დიდი ანგარიშით წაგების ნაღველს გაიქარვებენ. „სიონი“ თასის მფლობელის, ხოლო გასავარდნად განწირული „იბერია“ ვიცე-ჩემპიონის შემჩერებელი არ გახლავთ.

მაშ ასე, მივდივართ ფოთში! „კოლხეთი“ — „ტორპედო“ მუდამ იყო დაძაბული და საინტერესო სანახავი. ბოლო წლებია, „ტორპედო“ ქუთაისში ამწარებს „კოლხეთს“. „ფაზისზე“ რევანშის აღებას ცდილობენ ფოთელები და ამას ხშირადაც ახერხებენ. მეთერთმეტე ეროვნულის ბოლო შეყრისას კოლხებმა იმაჯვეს საკუთარ კედლებში და მერე რიონისპირელებს ორიოდ თავმომწონეც მიაყოლეს.

პირველ წრეში „ტორპედომ“ 2:1 მოუგო მეტოქეს, რა მოხდება დღეს?

ჩემპიონი არ გახლავთ მაინცდამაინც სახარბიელო ფორმაში. თამაში აერიათ რიონისპირელებს და ჯერაც ვერ დაულაგებიათ. ისე, ყიფიანს არავინ ჰყავს ტრავმირებული და დისკვალიფიცირებული და მეტოქესაც ძირითადი შემადგენლობით ესტუმრება.

ფილია თსუ-სთან გასვლითი თამაშის შემდეგ რაღაც ცვლილებებზე საუბრობდა. მწვრთნელს ნახევარდაცვის გადაწყობა განუზრახავს, თუმც როგორ, ამაზე არაფერი მოუხსენებია.

ტრავმირებული და დისკვალიფიცირებულ არც მასპინძელთა რიგებშია. ისე, საინტერესო ისიც იქნება, როგორ ფორმაში შეხვდება ამჟამად კოლხი გიორგი გოგიაშვილი ყოფილ კლუბს.

პროგნოზი? უპირატესობას მასპინძლებს ვანიჭებთ, თუმც „ტორპედოს“ არწაგებაც არ გვგონია საფუძველს მოკლებული. გამოდის, ფრეზე შევთანხმებულვართ და ეგაა.

„დინამო“ ბათუმს მიდის. როგორც გავიგეთ, მოთამაშეთა ვალი ათგზის ჩემპიონს ჯერაც მართებს, სხვადასხვა დავალიანებებიც დასაფარიაო, თქვეს.

ფორმაშია „დინამო“, შემჩერებელიც ჯერ არ გამოჩენილა და არც ახლა აპირებს უკან დახევას. ტრავმირებული არავინ, დისკვალიფიცირებული? როგორ გეკადრებათ, მაშინ ფავორიტი ყოფილა დღეს „დინამო“.

ზოგადად შეიძლება ასე ჩანდეს, მაგრამ არც ისე განწირულია „ბათუმი“. ასლან ბალაძემ ბევრი რამ სასიკეთოდ შეცვალა გუნდში, გაცილებით ბრძოლისუნარიანები გახდნენ ფეხბურთელები. ტრავმა და დისკვალიფიკაცია არც მასპინძლებს აწუხებთ და ზედიზედ ორი საშინაო მატჩის წაგებასაც არ არიან ჩვეულნი.

„დინამოს“ ბათუმში როგორ არ მოუგია, მაგრამ წაგებაც უგემია და მეტად ძნელია შედეგის გამოცნობა. თუმც გავთამამდებით და ვიტყვით — ალბათ, „დინამო“ მოიგებს, რომელი? თქვენ გამოიცანით.

წინა ტურში, როგორც იქნა, მოიგო „მერანმა“ და იგივეს აპირებს „გორდასთან“ საშინაო მატჩში.

ჯიშკარიანი ისევ ვერ ათამაშებს დაშავებულ ფოცხვერიას და ვერც დისკვალიფიცირებულ ბოლქვაძეს დაიხმარებს. დანარჩენებს არა უშავთ, ჯანზე არიანო, გავიგეთ.

ალადაშვილი დიდი ხანია, თავდამსხმელს ნატრულობდა და ოცნებაც მეთხუთმეტე ტურში აისრულა. რუსთაველებმა როგორღაც მოახერხეს და არმაზ ჯელაძე შეიმატეს, რომელიც ოთხწლიანი განშორების შემდეგ დაუბრუნდა „გორდას“ და „დილასთან“ გამარჯვებაშიც თავისი წილი დაიდო.

სტუმართა ბედად, ტრავმირებული სანდრო ბურნაძეც გამოჯანმრთელდა, ესე იგი, დაცვაში ნაკლები პრობლემები იქნება.

მეთერთმეტე ეროვნულში „გორდამ“ „სინათლიდან“ ქულა რომ გაიყოლია, გვახსოვს. პირველი წრის მატჩიც, „ფოლადზე“, ფრედ დამთავრდა. ჰოდა, ახლაც ეს შედეგი რომ ვიწინასწარმეტყველოთ, მგონია, ამით არაფერი დაშავდება. თუმც არც „მერანის“ ექვსეულში მოხვედრის პერსპექტივები გვავიწყდება და არც ის, რომ ავჭალაში თითქმის ყველა მეტოქესთან ფავორიტებად იწყებს თამაშს. მაინც ფრე იყოს, დანარჩენს მატჩი გამოაჩენს.

მეტად ნაცნობი გუნდია კოჭლაშვილისთვის გორის „დილა“. თსუ-ს მწვრთნელმა თითოეული გორელი ფეხბურთელის შესაძლებლობები კარგად იცის და ეს სტუდენტთა ერთი უპირატესობა გახლავთ. სტუმართა რიგებში არავინაა დაშავებული და დისკვალიფიცირებული, ხოლო მასპინძლებს ამ მხრივ პრობლემები მოსძალებიათ.

საერთოდ, „დილამ“ რაც იგი ხაჩირაშვილმა ჩაიბარა, ერთი მატჩიც ვერ ითამაშა ძირითადი შემადგენლობით. ტრავმებს დისკვალიფიკაციები მოსდევს და პირიქით. დღესაც მწვრთნელი ვერ გაიყვანს მინდორზე, დისკვალიფიცირებულ კოტორაშვილს და ფეზუაშვილს, ხოლო ძირითადის მეკარე სოლოლაშვილმა ნატკენი მხარი ვერაფრით მოირჩინა.

თსუ-სთვის უცხო არ გახლავთ გორიდან წამოღებული ქულა. პირველ წრეში, „არმაზზე“, მოუგო კიდეც „დილას“. დღეს...

გამგელებულები არიან გორელები, მოგებას დანატრულები. თანაც რა ხანია, ასეთ დღეში არ ჩავარდნილან. უმაღლეს ლიგაში ყოფნა-არყოფნის საკითხი წყდება. არა მარტო ამიტომ ვიწინასწარმეტყველებთ მასპინძელთა გამარჯვებას.

მეთერთმეტე ეროვნულში იყო, „სიონმა“ „ეროვნულზე“ ორი თამაში რომ მოიგო და ერთში „ლოკომოტივი“ დამარცხდა. დღესაც საბრძოლველად მოდიან ბოლნისელები, თუმც რკინიგზელთა ძლევის იმედიც აღარ დარჩენილა. „ლოკომოტივს“ ეძლევა შანსი, მდევრებს გვარიანად მოსწყდეს (გააჩნია, როგორ დამთავრდება მატჩები ბათუმსა და ფოთში) და ალბათ, გამოიყენებს კიდეც.

„ეროვნულზე“ თითქმის არაფერია სადავო, დღევანდელი „სიონი“ „ლოკომოტივის“ გამჩერებელი არ გახლავთ.

თითქმის გადაწყვეტილია მცხეთური მატჩის ბედიც. გაბრაზებული „ვიტ ჯორჯია“, ალბათ, საცოდავ „იბერიაზე“ იყრის „დინამოსთან“ წაგების ჯავრს. დებიუტი ექნება თემურ მახარაძეს და უკეთეს დროს და მეტოქეს პირველი გამარჯვებისთვის ვერც ინატრებდა ვეტერინართა ახალი თავკაცი.

წინ როგორი პერსპექტივაა? ერთი დაძაბული ტური და თასის მეოთხედფინალური მატჩები. არდადეგებამდე ბოლო ვნებათაღელვანი 10 დეკემბერს გველის, მერე ახალი წელიც მოვა ახალ საუკუნესთან ერთად, ფეხბურთი კი თებერვლის ბოლო დღიდან გაზაფხულის ბოლო დღემდე გვექნება, მერე ისევ შესვენება და ასე შემდეგ დაუსრულებლად.

**გამუკა ძგანტალიანი**



ტორპედოელ დავით ჯანაშიას (№9) და კოლხ ვალერი ტორჩინავას დღესაც მოუწევთ მეტოქეობა

გაიოზ ჯოჯუაშვილის ფოტო



სექტემბრის „დინამო“ — „ბათუმი“ 2:0. მალე ბათუმელები საკუთარი კარიდან მეორე ბურთს გამოიტანენ

გაიოზ ჯოჯუაშვილის ფოტო

მცხეთა. „არმაზი“. 29 ნოემბერი. 15 საათი

## ვიტ ჯორჯია — იბერია

მსაჯები: მ. მაისურაძე, მ. ურუშაძე (ორივე თბილისი), კ. გაბრიაძე (ქუთაისი); მ. მალალურაძე (თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: ე. სილაგავა
დისკვალიფიცირებული: სანიკიძე (იბერია)

თბილისი. „სინათლე“. 29 ნოემბერი. 15 საათი

## მერანი — გორდა

მსაჯები: ზ. ანიაშვილი (გორი); ზ. დოლიძე, ზ. ჯვარიძე, ლ. ფანიაშვილი (ყველა თბილისი); სფფ-ის ინსპექტორი: გ. ფირცხალავა
დისკვალიფიცირებული: ბოლქვაძე (მერანი)

ბათუმი. „დინამო“. 29 ნოემბერი. 15 საათი

## ბათუმი — დინამო

მსაჯები: ა. შალამბერიძე, გ. კიკაჩეიშვილი, ნ. რუხაიშვილი; ა. დოგრაშვილი (ყველა ქუთაისი); სფფ-ის ინსპექტორი: მ. ლაცაბიძე

გორი. „ცენტრალური“. 29 ნოემბერი. 15 საათი

## დილა — თსუ

მსაჯები: ა. კრიჭაშვილი (თბილისი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა); სფფ-ის ინსპექტორი: კ. ყრუაშვილი
დისკვალიფიცირებული: კოტორაშვილი, ფეზუაშვილი (დილა)

ფოთი. „ფაზისი“. 29 ნოემბერი. 15 საათი

## კოლხეთი — ტორპედო

მსაჯები: ა. შილაკაძე, მ. ელიკაშვილი, ი. შალამბერიძე (ყველა თბილისი); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); სფფ-ის ინსპექტორი: მ. კობიაშვილი

თბილისი. „ეროვნული“. 29 ნოემბერი. 15 საათი

## ლოკომოტივი — სიონი

მსაჯები: დ. სანაია, დ. სამხარაძე (ორივე სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); კ. მესხი (ზუგდიდი); სფფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიში

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს ჩემპიონატი უმაღლესი ლიგა მეორე წრე **15 ტური** მიმოხილვა

# დაკარგული ქულები



შაბათს ეროვნულზე: „დინამო" — „ვიტ ჯორჯია" 4:0. დინამოელი დავით დათვაძე (მარცხნივ) და ვიტელი თენგიზ კობიაშვილი

**იმაბება...** ნელ-ნელა კულმინაციას აღწევს და არავინ იცის, როდის იფეთქებს. ეჭვები და ინტრიგები ერთმანეთში იხლართება. ერთმანეთს არ ენდობიან წარსულის მეგობრები, ყველა, ცალ-ცალკე თავისას ცდილობს. სასწორზე ფული და საპრიზო ადგილებია შეგდებული. ეს ფეხბურთია ასეთი საქართველოში.

დანარჩენებისგან რალაცით გამორჩეული იყო მეთხუთმეტე ტური. ალბათ იმით, ერთმანეთს ჩემპიონი და თასის მფლობელი, ვიცე-ჩემპიონი და მარადიული „დინამო" რომ ეპაექრებოდნენ. დიდებულთა კვარტეტს შორის სხვაობა ნელ-ნელა ქრება, ოდნავ „ვიტ ჯორჯია" ჩამორჩა დაწინაურებულ სამეულს, მაგრამ წინ კიდევ თამაშებია.

დაწინაურების (მდევართაგან) შანსი გაუშვეს „კოლხეთმა" და „ბათუმმა". მნიშვნელოვანი ქულები დაკარგეს მცხეთასა და ბოლნისში. „მერანი" მიუჩოჩდა წინ გაჭრილებს, ექვსეულში გაძრომის შანსი გამოუჩნდა.

თითქმის გადაწყვეტილია: „სიონი", „გორდა", თსუ და „დილა" ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად იბრძოლებენ. ამათგან ერთ-ერთი ზედმეტია და რომელი გაუამხანაგდება „იბერიას", გაზაფხულზე გამოჩნდება.

საერთო ვითარების მოკლე ანალიზს წერტილი აქ დავუსვათ და მეთხუთმეტე ტურის მიმოხილვას შევუდგეთ. რა თქმა უნდა, ქუთაისური მატჩი იყო უპირველესად საინტერესო, მაგრამ თავიდანვე იმასაც ვიტყვით, რომ თამაში არ გამოვიდა ისეთი, როგორსაც მოველოდით.

დაძაბულობა, იცოცხლეთ, თამაშამდე და მის შემდეგაც არ განელებულა. საპატიო სტუმართა ლოჟაშიც იმძლავრა ვნებათაღელვამ. ხმამაღალი და აგრესიული სიტყვები ჰკადრეს ერთმანეთს სტუმარ-მასპინძლის წარმომადგენლებმა.

ქომაგებმა ერთმანეთში რაღაც ვერ გაიყვეს და შეიქნა ჩოჩქოლი და გინება. ამ დროს მინდორზე გუნდები ერთმანეთზე უპირატესობის მიღწევას ცდილობდნენ.

სტუმარმა ერთი შანსიც არ მისცა მასპინძელს. მართალია, „ლოკომოტივმა" თავად ვერ გაიტანა, მაგრამ არც „ტორპედო" გაახარა. ორი მატჩის ჯამში ქუთაისური კლუბი დარჩა გამარჯვებული, თუმც, სატურნირო ვითარების გათვალისწინებით, ეს დიდი ვერაფერი ნუგეშია.

საგოლე მომენტები სტუმრებს ჰქონიათ. ყველაზე რეალური კი მეოთხე წუთზე. რუსიას თავურის შემდეგ „ტორპედო" ზოიძის ფეხმა იხსნა.

თამაშის შემდეგ მასპინძლები თურმე მსაჯს ემართლებოდნენ, მაგრამ სპეციალისტების აღიარებით, შავოსნებს უსაშველოც არაფერი დაუშავებიათ.

„ლოკომოტივმა" ერთი ბრძოლა სტადიონის გამოსასვლელთანაც გადაიხადა. რკინიგზელთა ავტობუსს ქვები დააყარეს. სხვადასხვაგვარი ინფორმაცია გავრცელდა. ზოგის თქმით, მინები ჩაელეწა სტუმართა ტრანსპორტს. „სარბიელმა" კი ასეთი ვერსია შეიტყო — ბევრიც არაფერი დაშავებია „ლოკომოტივის" ავტობუსს და მინებიც მთელი დარჩენია.

დაშავებით არავინ დაშავებულა, თუ ზურაბ ხიზანიშვილის ტრავმას არ ჩავთვლით, რომელიც რკინიგზელმა მატჩის მეათე წუთზე სეხნია იონანიძისგან მიიღო.

საბოლოოდ ზავი და მშვიდობა დაფიქსირდა, რა თქმა უნდა, თუ მშვიდობას დავარქმევთ ზემოთ აღწერილ ამბებს. „ლოკომოტივი" პირველია და ქულით უსწრებს „ტორპედოს", რომელიც თავის მხრივ ორქულიან უპირატესობას ინარჩუნებს ძალიან მიახლოებულ „დინამოსთან".

ათგზის ჩემპიონი გრძნობდა, რომ ქუთაისში მისი საქმე კეთდებოდა და „ეროვნულზე" მეტოქეს კორტნიდა. „დინამომ" ისიც კარგად იცოდა, რომ „ვიტ ჯორჯია" ასე ადვილად წასაქცევი არ იყო. ამიტომ ესწრაფვოდნენ დინამოელები სწრაფი გოლის გატანას, რათა მერე ანგარიშის გასაქვითად წინ წასული სტუმრები მათსავე შეცდომებზე წამოეგოთ.

პირველ ტაიმში ამის გაკეთება „დინამოს" შეეძლო, მაგრამ დათვაძემ გადელიას კარგი პასი ვერ შეიშნოვა და მერე და მერე კინალამ თავად გახდა მდევარი.

მეორე ტაიმში „დინამომ" საწადელი აისრულა. ვიტელთა დაცვის პირველივე შეცდომა გამოიყენა გადელიამ. როგორც ბოლო ტურებში სჩვევია, შაბათსაც საჭირო ადგილზე დროულად დახვდა დათვაძის ჩაწოდებულს.

„ვიტ ჯორჯიამ" ერთი გაიბრძოლა და დანებდა. ვერ გაუძლო დაწოლას სტუმართა ნახევარდაცვამ. სუსტად გამოიყურებოდნენ ნოზაძე, დილმელაშვილი და სულთანიშვილი. ერთადერთი, ვისთანაც საპრეტენზიო მწვრთნელებს ვერაფერი ექნებოდათ, დეკანოსიძე იყო.

მწვრთნელი ვახსენეთ და დიდი ანგარიშით დამარცხების შემდეგ ვლადიმერ ხაჩიძე გადადგა. კლუბმა შემცვლელიც მალევე იპოვა, რა ხნით, ჯერ არ ვიცით, მაგრამ „ვიტ ჯორჯიას" 27 ნოემბრიდან თემურ მახარაძე თავკაცობს.

არც ის გაგვიკვირდება, თუ ვეტერინართა სათამაშო სქემა საგრძნობლად შეიცვლება და კიდევ უფრო დაცვითი გახდება.

დღეისთვის „ვიტ ჯორჯია" მეოთხეა. „დინამოს", „ტორპედოს" და „ლოკომოტივს" შესაბამისად ექვსი, რვა და ცხრა ქულით ჩამორჩება. ათგზის ჩემპიონთან მხოლოდ სათასო მატჩებია სათამაშო, ჩემპიონს მეორე წრის ბოლო ტურში მასპინძლებს, ხოლო თასის მფლობელს მანამდე, სამი ტურით ადრე ესტუმრება.

ექვსეულში „ვიტ ჯორჯია", ალბათ, თავისუფლად მოხვდება, საპრიზო პერსპექტივა კი ბურუსითაა მოსილი.

ბოლნისში „სიონმა" პირველმა გაუტანა „ბათუმს". კიდევ შეეძლო ეხეირა და გაცილებით მეტსაც უტევდა მეტოქეს, მაგრამ ხან სამიზნე ვერ გაისწორეს მასპინძლებმა, ხანაც ბედიაშვილი იდგა საიმედოდ.

„სიონი" წივწივაძემ დააწინაურა, რასაც გელა ქორიძის ზუსტი გასროლა მოჰყვა. გატანა ამირან მუჯირსაც შეეძლო, თუმც ჯარიმიდან დარტყმული ბურთი ხარიხამ უკუაგდო.

მცხეთაში წაიფორხილა „კოლხეთმა", არადა, სტუმართა გამარჯვებაში ცოტას თუ ეპარებოდა ეჭვი. თანაც მცხეთურ სარბიელზე თამაში ფოთელებს კარგად აქვთ დაცდილი.

კერკეტი კაკალი გამოდგა თსუ, დანებება არ ინებეს სტუდენტებმა. მწვრთნელებგამოცვლილ ბიჭებს ნირი ვერ აცვლევინა მეტოქემ.

შუა ხაზის თამაში არ მოეწონა სოსო ფილიას, ცვლილებებს დაგვპირდა კოლხთა თავკაცი. მერაბ კოჭლაშვილმა მოპოვებულ, მერეც მოსპოვებელ თითოეულ ქულას ოქროს ფასი დაადო და რაღაც სიახლეებს ისიც დაგვპირდა, ოღონდ არ დაუკონკრეტებია.

ისე, გატანა ორივეს შეძლებია, მაგრამ სტუმრებს გუგუნავამ არ მისცა დაწინაურების უფლება, მასპინძლებმა არაზუსტად ურტყეს მეტოქის კარისკენ.

„იბერია" ვერ მოუგებსო გამარჯვებას დანატრებულ „მერანს", ვთქვით და მართლებიც გამოვდექით. შანსი არ ჰქონია ფრუიძის გუნდს.

თამაში ხუთი წუთის დაწყებული იყო, როცა პირობითი მასპინძლის კარისკენ სახიფათო ჯარიმა დაინიშნა. მინაშვილმა დაარტყას — შეიძლება გული უგრძნობდა „მერანის" ახალგაზრდა მწვრთნელ ჯიმშკარიანს, რახან მისი მოთხოვნა კატეგორიული იყო. მინაშვილმაც დაარტყა და დაწინაურდნენ ავჭალელები.

მეორე ტაიმში ბოლქვაძემ ერთიც მიამატა მონაგარს და „იბერიას" ესეც ეყო. სამტრედიელთა დამარცხებას გმირობად არავინ ჩაუთვლის ჯიმშკარიანს, მაგრამ პირველი გამარჯვება გაჩარხულია, თანაც „მერანი" შეუმჩნევლად წამოეწია „კოლხეთს" და „ბათუმს". ფოთელებთან დადებითი ბალანსი აქვთ ავჭალელებს და ალბათ ყველაფერი 18 მარტს, „ბათუმ" — „მერანის" ორთაბრძოლისას გადაწყდება.

პრინციპული მატჩი წააგო გორის „დილამ". სათასო დუელში დამარცხება არად ჩააგდო რუსთავის „გორდამ" და სამი უპასუხო გოლით დაალონა სტუმარი.

პირველ ტაიმში საფრთხეც არსაიდან ემუქრებოდა „დილას". მეორის დასაწყისშივე გაუშვეს გოლი გორელებმა, მაგრამ სანამ მეორეც არ მიიღეს, ვერ გამოფხიზლდნენ.

ორბურთიანი დეფიციტის შემდეგ გონზე მოსვლას აბა, რა ფასი ექნებოდა. ჰოდა, მასპინძლებმა ერთხელაც გაიხარეს და თამაშიც დამთავრდა.

მხოლოდ ერთი რამ დარჩა გაუგებარი რუსთავული მატჩის შემდეგ. როგორ და რა გზით მოახერხა რუსთაველ მატჩში „გორდამ" „ლოკომოტივში" ნათამაშევი არმაზ ჯელაძის დამატება?! ჩვენ ვერ გავიგეთ და იქნებ ფედერაციამ დაგვაკვალიანოს.

11 გოლი გავიდა მეთხუთმეტე ტურის ექვს თამაშში. მხოლოდ ერთი მატჩი მოიგეს სტუმრებმა, სამ თამაშში კი ფრეს გამოჰკრეს ხელი. ორჯერ მასპინძლებმა იხარეს. თერთმეტიდან გატანილი რვა გოლიც მათ უპირატესობაზე მეტყველებს.

ქულები კარგეს ლიდერებმაც და აუტსაიდერებმაც და ესლა დაგვრჩა საკითხავი, როდის და ვისთვის იქნება საბედისწერო მეთხუთმეტე ტურის შეცდომები.

**მამუკა ქვანტალიანი**



შაბათს ქუთაისში: „ტორპედო" — „ლოკომოტივი" 0:0. კუთხური სტუმართა კართან — ბურთი გიორგი ლომაიას ხელშია

# საქართველოს ჩემპიონატი. უმაღლესი ლიგა. მეორე წრე. 15 ტური. სტატისტიკა

## ჩემპიონატის სტატისტიკა

| | |
|---|---|
| ტური | 15 |
| მატჩი | 89 |
| გოლი | 208 |
| გოლი საშუალოდ მატჩში | 2,34 |
| მასპინძელთა მოგება | 44 (49%) |
| ფრეები | 18 (20%) |
| სტუმართა მოგება | 27 (31%) |
| საერთო დასწრება | 139 800 |
| საშუალო დასწრება მატჩზე | 1 570 |
| საუკეთესო დასწრება ტურზე | XIII, XV: 12 000 |
| მწირი დასწრება ტურზე | VII: 50 |

| დაჯარიმდა | | სემ |
|---|---|---|
| მასპინძელი | 115 | 19,15 |
| სტუმარი | 92 | 15,35 |
| სულ | 207 | 34,50 |
| **კუთხური** | | **სემ** |
| მასპინძელი | 39 | 6,50 |
| სტუმარი | 23 | 3,85 |
| სულ | 62 | 10,35 |
| **კარისკენ დარტყმა** | | **სემ** |
| მასპინძელი | 40 | 6,65 |
| სტუმარი | 28 | 4,65 |
| სულ | 68 | 11,30 |
| **კარში დარტყმა** | | **სემ** |
| მასპინძელი | 36 | 6,00 |
| სტუმარი | 15 | 2,50 |
| სულ | 51 | 8,50 |
| **თამაშგარე** | | **სემ** |
| მასპინძელი | 15 | 2,50 |
| სტუმარი | 28 | 4,65 |
| სულ | 43 | 7,15 |

სემ - საშუალოდ ერთ მატჩში

### დინამო 4:0 ვიტ ჯორჯია

| | | |
|---|---|---|
| 23 | დაჯარიმდა | 14 |
| 5 | კუთხური | 3 |
| 8 | კარისკენ დარტყმა | 4 |
| 6 | კარში დარტყმა | 1 |
| 3 | თამაშგარე | 4 |

### გორდა 3:0 დილა

| | | |
|---|---|---|
| 26 | დაჯარიმდა | 21 |
| 1 | კუთხური | 7 |
| 1 | კარისკენ დარტყმა | 10 |
| 7 | კარში დარტყმა | 3 |
| 14 | თამაშგარე | 4 |

### იბერია 0:2 მერანი

| | | |
|---|---|---|
| 16 | დაჯარიმდა | 19 |
| 2 | კუთხური | 2 |
| 2 | კარისკენ დარტყმა | 2 |
| 3 | კარში დარტყმა | 4 |
| 3 | თამაშგარე | 5 |

### სიონი 1:1 ბათუმი

| | | |
|---|---|---|
| 8 | დაჯარიმდა | 24 |
| 10 | კუთხური | 1 |
| 14 | კარისკენ დარტყმა | 7 |
| 4 | კარში დარტყმა | 5 |
| 1 | თამაშგარე | 3 |

### ტორპედო 0:0 ლოკომოტივი

| | | |
|---|---|---|
| 15 | დაჯარიმდა | 12 |
| 5 | კუთხური | 4 |
| 6 | კარისკენ დარტყმა | 3 |
| 1 | კარში დარტყმა | 3 |
| 3 | თამაშგარე | 1 |

### თსუ 0:0 კოლხეთი

| | | |
|---|---|---|
| 28 | დაჯარიმდა | 14 |
| 2 | კუთხური | 10 |
| 4 | კარისკენ დარტყმა | 10 |
| 3 | კარში დარტყმა | 11 |
| 9 | თამაშგარე | 3 |

## ბომბარდირები

| | | |
|---|---|---|
| 10 | ზირაქიშვილი | დინამო |
| 8 | დ. გოდერძიშვილი | მერანი |
| | იონანიძე | ტორპედო |
| 7 | გადელია | დინამო |
| 6 | გ. შენგელია | ლოკომოტივი |
| | რუსია | ლოკომოტივი |
| | აფხაზავა | ბათუმი |
| | გ. ვ. მიქაძე | დინამო |
| 5 | ა. მუჯირი | ბათუმი |
| | წუწუნავა | თსუ |
| | გიორგი ქორიძე | ვიტ ჯორჯია |



შაბათს მცხეთაში: თსუ — „კოლხეთი" 0:0. კოლხი რომან ახალკაცი და სტუდენტი კახაბერ წუწუნავა მამუკა გვასალიას კართან

### დინამო 4:0 ვიტ ჯორჯია

თბილისი, 25 ნოემბერი, 15 საათი, ეროვნული, 2 000 (ტევადობა 70 900)

1:0 გადელია (47), 2:0 ზირაქიშვილი (60), 3:0 გადელია (63), 4:0 მიქაძე (88)
**დინამო:** გრიშიკაშვილი, ქემოკლიძე, ვაშაკიძე, ა. სახვაძე (კანდელაკი 80), შაშიაშვილი, ზამთარაძე, დათვაძე (მაზიაშვილი 68), სიჭინავა, გადელია, ზირაქიშვილი (გ.ვ. მიქაძე 74), ჯინჭარაძე
სათადარიგონი: ბათიაშვილი; კ. გოგოლაძე, ბურდული, რუხაძე
**ვიტ ჯორჯია:** მერლანი, საჯაია (თავაძე 75), ქანკოტაძე, კობიაშვილი, ჯ. მუჯირი, ლ. ნოზაძე, დილმელაშვილი (ყიფიანი 68), სულთანიშვილი (ვ. გოჩაშვილი 77), დეკანოსიძე, ლ. მელქაძე, გიორგი ქორიძე
სათადარიგონი: სტურუა; ინწკირველი, დ. დოლიძე, გვაზავა
**გაფრთხილება:** ყიფიანი (76), სახვაძე (76)
**მსაჯები:** ა. შილაკაძე; მ. ელიკაშვილი, ი. შალამბერიძე (სამივე თბილისი); ა. შალამბერიძე (ქუთაისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** გ. ფირცხალავა

### გორდა 3:0 დილა

რუსთავი, 25 ნოემბერი, 15 საათი, ფოლადი, 2 000 (ტევადობა 10 700)

1:0 მელაძე (53), 2:0 მიშველიძე (66), 3:0 იფჩიანი (90)
**გორდა:** ნიკურაძე, გაბელაია, ა. ბურნაძე, ბექაური, ლაშა სილაგაძე, ზ. ლაბაძე (იფჩიანი 46), ა. ბუკია (კიტეიშვილი 46), მელაძე, კ. ბლადაშვილი, მიშველიძე (ბერიძე 89), ჯელაძე
სათადარიგონი: გონგაძე; მჭედლიძე, მ. სახვაძე, ს. ბაჩილავა
**დილა:** მდივანი, ბკოფიანი, გრიგალაშვილი (ა. ხმალაძე 67), ლომიძე, ლ. გოჩაშვილი, გაგნიძე, ციცქიშვილი (საყვარელიძე 75), ფეხუაშვილი, ხორგუაშვილი, ეჯოშვილი, რევაზიშვილი
სათადარიგონი: თ. ილურიძე; ხოხობაშვილი, ტუღუში, მ. ბურნაძე
**გაფრთხილება:** ჯელაძე (37), მელაძე (56), ფეხუაშვილი (60)
**მსაჯები:** ს. კვარაცხელია (ზუგდიდი); ლ. მიქელაძე, გ. ჩიგოგიძე (ორივე სამტრედია); ვ. ელოევი (ცხინვალი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ნ. კაკულია

### იბერია 0:2 მერანი

ხაშური, 25 ნოემბერი, 15 საათი, გრიგოლ ჯომართიძე, 250 (ტევადობა 8 000)

0:1 მინაშვილი (5), 0:2 ბოლქვაძე (52)
**იბერია:** ჩომახიძე, ჟვანია, გ. ნოზაძე, მიქელთაძე, ნ. გიორგაძე, ლ. ხმალაძე, ყურაშვილი, გიგიაძე, ბიწაძე, ზ. მეტრეველი (ონიანი 61), მუმლაძე
სათადარიგონი: ვარდანიძე; ჩიმაკაძე, ქოლაძე
**მერანი:** დევაძე, ბოლქვაძე (გ. ილურიძე 75), გუჯაბიძე, ცქიფურიშვილი, დევიძე, კობესაშვილი, გ. კვეტენაძე, დ. გოდერძიშვილი (სილაგავა 85), როსტიაშვილი (კაკუბავა 68), ჭინჭარაული, მინაშვილი
სათადარიგონი: ნაჭყებია; თოლორდავა, მუხინი, ოდიშარია
**გაფრთხილება:** კვეტენაძე (10), გუჯაბიძე (42), ბოლქვაძე (50)
**მსაჯები:** ბ. დოგრაშვილი; გ. კიკაჩეიშვილი, ნ. რუსიშვილი; კ. გაბრიაძე (ყველა ქუთაისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** მ. ლაცაბიძე

### სიონი 1:1 ბათუმი

ბოლნისი, 25 ნოემბერი, 15 საათი, თემურ სტეფანია, 1 500 (ტევადობა 3 000)

1:0 წივწივაძე (50), 1:1 ქორიძე (72)
**სიონი:** ვოლკოვი, კ. გოდერძიშვილი, ასპინძელაშვილი, ირემაშვილი, მინდიაშვილი, ბარნოვი (მ. სამხარაძე 86), სოლოღაშვილი, ისიანი, მოსეშვილი, წივწივაძე, კ. მეტრეველი (მ. გოგოლაძე 60)
სათადარიგონი: დალაქიშვილი; ჯაფარიძე, ჩაგელიშვილი, გამცემლიძე
**ბათუმი:** ბედიაშვილი, ო. გველესიანი, მინდაძე, სიხარულიძე, მჟავანაძე, გელა ქორიძე, ლლონტი, თედორაძე (აფხაზავა 58), ყულეჯიშვილი (რომანაძე 90), დარჩიძე, ა. მუჯირი
სათადარიგონი: ჯაში; ქაცარავა, ფურცხვანიძე, ცინცაძე, სიამაშვილი
**მსაჯები:** მ. მალაღურაძე (თბილისი); ბ. ბრეგვაძე, ჯ. ბუიშვილი (ორივე ჭიათურა); ა. კრიჟაშვილი (თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** მ. კობიაშვილი

### ტორპედო 0:0 ლოკომოტივი

ქუთაისი, 25 ნოემბერი, 15 საათი, ტორპედო, 12 000 (ტევადობა 19 432)

**ტორპედო:** ზოიძე, ახვლედიანი, შალამბერიძე, ზ. არჩვაძე, ხვადაგიანი, გუჩუა, კ. კვეტენაძე (იმედაძე 74), ჩხეტიანი (გაბიდაური 81), ასათიანი, ჯანაშია, იონანიძე
სათადარიგონი: ტოგონიძე; თავბერიძე, მახვილაძე, შეყრილაძე, მ. ბობოხიძე
**ლოკომოტივი:** ლომაია, ბალაშვილი, ლევან სილაგაძე, აბრამიძე, ხიზანიშვილი (გოჩმაროვი 64), თოდუა, გილაური, კვარაცხელია, ჭიჭვეიშვილი, გოგიჩაიშვილი (ბარამოვი 72), რუსია (გაგუა 86)
სათადარიგონი: ასლანიძე; ხურიძე, დავითაშვილი, გ. შენგელია
**გაფრთხილება:** იონანიძე (10), ხიზანიშვილი (49), გაგუა (89)
**მსაჯები:** კ. მესხი (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); დ. სანაია (სოხუმი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. მილჩენკო

### თსუ 0:0 კოლხეთი

მცხეთა, 25 ნოემბერი, 15 საათი, არმაზი, 250 (ტევადობა 3 000)

**თსუ:** გუგუნავა, ხარებავა, ებრალიძე, არეშიძე, სვანიძე, რ. გოცირიძე, წუწუნავა, ახალაძე, მესხი, ადამია, ვადაჭკორია (მორჩილაძე 60)
სათადარიგონი: მამარდაშვილი; ზვ. ლაბაძე, ბ. ნოზაძე, ა. ბოკერია
**კოლხეთი:** მ. გვასალია, გოროზია, ტორჩინავა, კიკლიაშვილი, ხუჭუა, ე. გვასალია, ფანჩულიძე, კვირკველია (ლალანიძე 65), ახალკაცი, გოგიაშვილი (კრასოვკი 78), გ. ჩიტაია (ქუნთელია 46)
სათადარიგონი: ჩემია; პაპავა, ჭანტურიძე, პ. ბაჩილავა
**მსაჯები:** ზ. ანიაშვილი (გორი), ზ. დოლიძე, ზ. ჯვარიძე; მ. მაისურაძე (ყველა თბილისი)
**სფფ-ის ინსპექტორი:** ა. დურსუნიშვილი

## სიმბოლური ნაკრები

თემურ გადელია — დინამო
ზაზა ზირაქიშვილი — დინამო
გივი კვარაცხელია — ლოკომოტივი
თამაზ კიკლიაშვილი — კოლხეთი
თენგიზ სიჭინავა — დინამო
მამუკა რუსია — ლოკომოტივი
გიორგი არეშიძე — თსუ
ვალერი აბრამიძე — ლოკომოტივი
ირაკლი ვაშაკიძე — დინამო
ბესიკ მჟავანაძე — ბათუმი
გრიგოლ ბედიაშვილი — ბათუმი

გუნდი: დინამო
მწვრთნელი: რევაზ არველაძე



ლოკომოტიველი დავით ჭიჭველიშვილი (№8) და ტორპედოელი დავით ჯანაშია

## უმაღლესი ლიგა

| № | გუნდები | სულ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | შინ თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | სტუმრად თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ლოკომოტივი | 15 | 12 | 1 | 2 | 30:7 | 23 | 37 | 7 | 6 | 0 | 1 | 18:3 | 15 | 18 | 8 | 6 | 1 | 1 | 12:4 | 8 | 19 |
| 2 | ტორპედო | 15 | 11 | 3 | 1 | 23:5 | 18 | 36 | 8 | 5 | 2 | 1 | 10:4 | 6 | 17 | 7 | 6 | 1 | 0 | 13:1 | 12 | 19 |
| 3 | დინამო | 15 | 11 | 1 | 3 | 39:13 | 26 | 34 | 8 | 7 | 0 | 1 | 28:6 | 22 | 21 | 7 | 4 | 1 | 2 | 11:7 | 4 | 13 |
| 4 | ვიტ ჯორჯია | 15 | 8 | 4 | 3 | 21:11 | 10 | 28 | 7 | 5 | 0 | 2 | 7:2 | 5 | 15 | 8 | 3 | 4 | 1 | 14:9 | 5 | 13 |
| 5 | კოლხეთი | 15 | 6 | 3 | 6 | 14:14 | 0 | 21 | 7 | 4 | 2 | 1 | 7:4 | 3 | 14 | 8 | 2 | 1 | 5 | 7:10 | -3 | 7 |
| 6 | ბათუმი | 15 | 6 | 2 | 7 | 18:19 | -1 | 20 | 7 | 5 | 0 | 2 | 13:7 | 6 | 15 | 8 | 1 | 2 | 5 | 5:12 | -7 | 5 |
| 7 | მერანი | 15 | 4 | 6 | 5 | 14:17 | -3 | 18 | 7 | 3 | 4 | 0 | 8:4 | 4 | 13 | 8 | 1 | 2 | 5 | 6:13 | -7 | 5 |
| 8 | სიონი | 15 | 4 | 4 | 7 | 12:22 | -10 | 16 | 8 | 2 | 3 | 3 | 8:8 | 0 | 9 | 7 | 2 | 1 | 4 | 4:14 | -10 | 7 |
| 9 | გორდა | 15 | 3 | 6 | 6 | 13:20 | -7 | 15 | 8 | 3 | 3 | 2 | 11:7 | 4 | 12 | 7 | 0 | 3 | 4 | 2:13 | -11 | 3 |
| 10 | თსუ | 15 | 4 | 2 | 9 | 15:27 | -12 | 14 | 8 | 2 | 1 | 5 | 7:14 | -7 | 7 | 7 | 2 | 1 | 4 | 8:13 | -5 | 7 |
| 11 | დილა | 15 | 3 | 3 | 9 | 9:25 | -16 | 12 | 7 | 2 | 2 | 3 | 7:10 | -3 | 8 | 8 | 1 | 1 | 6 | 2:15 | -13 | 4 |
| 12 | იბერია | 15 | 0 | 1 | 14 | 3:31 | -28 | 1 | 8 | 0 | 1 | 7 | 1:17 | -16 | 1 | 7 | 0 | 0 | 7 | 2:14 | -12 | 0 |

საქართველოს ჩემპიონატი პირველი ლიგა 12 მეორე წრე **16 ტური**

# მასპინძლების დღე

**საოცდაოთხნოემბრო** მეთექვსმეტე ტური მასპინძლებისა გამოდგა პირველ ლიგაში. ექვს მატჩში ექვსი სტუმარი გაწბილდა და შინ ხელმოცარული გაემგზავრა.

ყველაზე დიდი სენსაცია, რაღა თქმა უნდა, აუტსაიდერმა „ივერიამ“ გამოაცხო მესამე ადგილოსანი „მილანის“ ძლევით. ხაშურში ალმავლობით დაიწყეს მატჩი მასპინძლებმა და გარკვეულწილად პირველ ტაიმშივე მოამთავრეს საქმე. 25-ე წუთზე ულუმბელაშვილის გოლით ჩამორჩენილი სტუმრები ტაიმის ბოლო წუთზე ჯაფარაშვილის გასროლილმა გატეხა. მეორე ნახევარში ქიზიყელები ბევრს კი ეცადნენ, მაგრამ მხოლოდ მატჩის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე სოსელიას საპასუხო გოლსღა დასჯერდნენ. „ივერიას“ კი მოგებით მადა გაეხსნა. იგი ორი ქულითღა ჩამორჩება „ხობს“ და უკვე ექვსეულში შესვლაზეც ფიქრობს. ამის თეორიული შანსები, რაღა თქმა უნდა, აქვთ ხაშურელებს და თუ ისე განაგრძეს თამაში, როგორც „მილანთან“ გაისარჯნენ, მათი ამბიცია იქნებ რეალურიც კი გამოდგეს, ოღონდ ეგ არის, „ივერიას“ ექვსეულში მოხვედრა სხვა გუნდებზეც ჰკიდია და თუკი სატურნირო კალენდარს გადავხედავთ, და პირველი ეტაპის დარჩენილი მატჩების რაოდენობას (ექვსი შეხვედრა) გავითვალისწინებთ, მას უფრო პირველ ლიგაში დარჩენისთვის მოუწევს ბრძოლა, თუმც ნათქვამია, ბურთი მრგვალიაო...

უხვგოლიანი გამოდგა „სამგურალი“ — „ზუგდიდის“ წყალტუბოური მატჩი. მასპინძლებმა პირველივე ტაიმში გაარკვიეს გამარჯვებულის ვინაობა, მოეშვნენ, მეტოქესაც მისცეს თავის გამოჩენის საშუალება და საბოლოოდ 5:3 გაიმარჯვეს. მიუხედავად უხვგოლიანობისა, შეხვედრა ერთობ კორექტული გამოდგა. მატჩის არბიტრ ალექსანდრე მეშკოვს არც ერთი ფეხბურთელი არ გაუფრთხილებია. ამ მოგებით „სამგურალმა“ ექვსეულში მოხვედრის შანსი გაიუმჯობესა, „ზუგდიდს“ კი საამისოდ მეტი ყურადღება მართებს დარჩენილ შეხვედრებში.

ბოლოადგილოსანმა „თბილისმა“ ურთიერთ შეხვედრაში გამარჯვებით „ოკეანეს“ გადაასწრო. მუშტაიდის ბაღში მანჭარაულმა დააწინაურა მასპინძლები, მეორე ტაიმში კი დაბნეულ მეტოქეს ლევან სანიკიძემ ერთიც გაუტანა და თავისიანებს ჩემპიონატში მესამე გამარჯვება მოუპოვა. ამ მატჩიდან სხვა აღსანიშნავი ის არის, რომ არბიტრმა მალხაზ მაისურაძემ ექვსჯერ გაიკრა ჯიბეზე ხელი და ორივე გუნდიდან სამ-სამი ფეხბურთელი გააფრთხილა.

მშრალი ანგარიშით სძლია „მეტალურგმა“ „ხობს“. კვლავაც შეძლო თავის გამოჩენა მასპინძელთა მეგოლე გრიგოლ გვაზავამ. მან ფირცხალაიშვილის და მერებაშვილის გოლებს შორის შეძლო ხობელთა დამწუხრება. მოგებით ზესტაფონელებმა მეოთხე საფეხურზე აინაცვლეს და საკვირველი იქნება, ექვსეულს მიღმა რომ დარჩნენ.

„თორმა“ ბორჯომში „შუქურას“ ამბიცია დააცხრო. ხანგრძლივი პაუზის შემდეგ კვლავაც შეძლო თავის გამოჩენა დავით თალაკვაძემ, მის გოლს ქობესაშვილმა მატჩის დამთავრებამდე პენალტით მეორეც მიაყოლა და უგოლოდ დამარცხებულნი დატოვა სტუმრები.

მეჩვიდმეტე ტური პირველ ლიგაში გუშინ გაიმართა. მატჩის შედეგებს და ახალ სატურნირო მდგომარეობას აქვე გაეცნობით, ტურის მიმოხილვას კი ზეგინდელ „სარბიელში“ შემოგთავაზებთ.

**ბაატა ძვანტალიანი**

ხაშური
24 ნოემბერი
15 საათი
ბრიგოლ ჯომართიძე
500 (ტევადობა 8 000)

### ივერია 2:1 მილანი

1:0 ულუმბელაშვილი (25), 2:0 ჯაფარაშვილი (45), 2:1 სოსელია (85)
ივერია: ხვედელიძე, გ. ხაჩიძე (ბლიაძე 88), მუღაძე, ულუმბელაშვილი, ნეკერაშვილი, გოგალაძე, ჯობაძე, ელასოვი, მინაძე, ჯაფარაშვილი, თ. ხაჩიძე(ნ. ჩალაძე 82)
სათადარიგონი: ბალიანი, ვეშაპიძე, დ. ხაჩიძე
მილანი: გ. სომხიშვილი (ლონლაძე 46), ტარუღაშვილი, ლუდუშაური, კობიძე, თელიაშვილი, მ. სომხიშვილი (სოსელია 46), მეტონიძე, ქყონია, დ. კაპანაძე, გოძიაშვილი, ტოკლიკიშვილი (კიკვიძე 66)
სათადარიგონი: გ. ჩიტაური, ინასარიძე, შავშიშვილი
მსაჯები: ა. შალამბერიძე (ქუთაისი), ვ. ელოევი (ცხინვალი), ი. აფციაური (დუშეთი), ზ. ანიაშვილი (გორი)

წყალტუბო
24 ნოემბერი
15 საათი
26 მაისი
300 (ტევადობა 12 000)

### სამგურალი 5:3 ზუგდიდი

1:0 ლონლაძე (21), 2:0, 3:0 ქუთათელაძე (23, 25), 4:0 ბაბუნაშვილი (37), 4:1 ცოლბაია (68), 5:1 დარსაძე (82), 5:2 დიდიძე (82), 5:3 თორია (88)
სამგურალი: ბოდოკია, ბერაძე (ქობულაძე 72), ჭელიძე, თირქია, მ. ჯინჭარაძე, ლონლაძე (ბარაბაძე 80), ფხაკაძე, დარსაძე, ბაბუნაშვილი, კიკვიძე, ქუთათელაძე (დ. ჯიქია 70)
სათადარიგონი: გიორგაძე, ლევინჯილია, გოლუთიანი, მაჭარაძე
ზუგდიდი: ნაყოფია, ლურწკაია, ქითანავა, გუდენიძე, დიდიძე, გამსახურდია, ცოლბაია, გოგიტაძე, კუტალია, თორია, დანელია
სათადარიგონი: მ. კვარაცხელია, ბულია, ლ. ბუკია, ონიანი
მსაჯები: ა. მეშკოვი; ზ. მჭედლიშვილი (ორივე თბილისი), ლ რაზმაძე (გორი); ვ. ჩოჩიშვილი (თბილისი)

თბილისი
24 ნოემბერი
15 საათი
მუშტაიდის ბაღი
200

### თბილისი 2:0 ოკეანე

1:0 მანჭარაული (30), 2:0 სანიკიძე (70)
თბილისი: კუპატაძე, გ. ჩალაძე, მახარაძე, ზ. ნიკურაძე, ქუხილავა, პ. ფირცხალავა, აბრამიშვილი, გუშარაშვილი, სანიკიძე (გოგმაჩაძე 72), ლუქაშვილი (კვახაძე 89), მანჭარაული (მუმლაძე 80)
სათადარიგონი: კოდალაევი, მანაგაძე, ლ. კაპანაძე
ოკეანე: თავაძე, ტონია (ჯულაყიძე 73), მაღლაკელიძე, ს. გოგია, ლორთქიფანიძე, ცომაია, კრავეიშვილი, ჩიგოგიძე (გაბედავა 46), ფხაკაძე, ჯიქიძე, მესიაჩენკო
სათადარიგონი: ქვასელი, მალალურაძე
გაფრთხილება: აბრამიშვილი (29), ფირცხალავა (59), მაღლაკელიძე (67), გაბედავა (70), ჯიქიძე (81), ქუხილავა (81)
მსაჯები: მ. მაისურაძე, კ. თბილელი, ო. ხეცაძე, ა. შილაკაძე (ყველა თბილისელი)

ზესტაფონი
24 ნოემბერი
15 საათი
ცენტრალური
500 (ტევადობა 10 000)

### მეტალურგი 3:0 ხობი

1:0 ფირცხალაშვილი (20), 2:0 გვაზავა (31), 3:0 მერებაშვილი (60)
მეტალურგი: ნიქაბერიძე, ორმოცაძე, მერებაშვილი (მახათაძე 75), გურეშიძე, ბაქრაძე, აბაზაძე, კაციაშვილი (ფანცხავა 83), აქარაძე, მოდებაძე (მემარნიშვილი 77), გ. გვაზავა, დ. ფირცხალაიშვილი
სათადარიგონი: ოდიკაძე, კვანტრიშვილი, ჭანკვეტაძე
ხობი: შ. გოგია, ფიფია (გეგია 86), ი. ჯაბუა, ლ. ჯაბუა, ხორავა, ხურცილავა, ვართაგავა, ქაშიბაძე, ჭეჟია, ა. ჯიქია, აბაკელია (ბერაია 83)
სათადარიგო: თოლორდავა
გაფრთხილება: მერაბიშვილი (56), ი. ჯაბუა (65)
მსაჯები: ა. კრიჭაშვილი, მ. ურუშაძე (ორივე თბილისი), ზ. ხუციშვილი (დმანისი), ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

ბორჯომი
24 ნოემბერი
15 საათი
ჯემალ ზეინკლიშვილი
300 (ტევადობა 3 000)

### თორი 2:0 შუქურა

1:0 თალაკვაძე (35), 2:0 კობესაშვილი (85 პ.)
თორი: ა. ლაბაძე, ლეკიშვილი, მ. ლომიძე, კობესაშვილი, სეფერთელაძე (გლუნჩაძე 87), გ. ლომიძე (ზარანდია 77), ვარდიაშვილი, ვ. ფირცხალავა, ჯანაშია, წიქარიშვილი, თალაკვაძე
სათადარიგონი: სულავა, ზაქარიაშვილი
შუქურა: გოგუა, კარატკოვი, გეგეშიძე, ჩელებაძე, ოქროპირიძე, ბ. ფუტკარაძე, ქუტიძე, ბაჟუნაშვილი (ვალიშავა 46), ჯ. ბერიძე, კალანდაძე, კაკალაძე (კვირკველია 74)
სათადარიგონი: გაბუნია, ჩახუნაშვილი, ლომთათიძე, გორჯელაძე, მესხიძე
გაფრთხილება: კალანდაძე (49)
მსაჯები: ზ. ჯვარიძე, ა. ნონიკაშვილი (ორივე თბილისი), ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა), მ. მალალურაძე (თბილისი)

| ბომბარდირები | |
|---|---|
| 14 - გ. გვაზავა | მეტალურგი |
| 13 - გვირჯიშვილი | ცხინვალი |
| ქუთათელაძე | სამგურალი |
| 11 - ბოჭორაძე | ცხინვალი |
| 9 - ტოკლიკიშვილი | მილანი |

საქართველოს ჩემპიონატი პირველი ლიგა 12 პირველი წრე **17 ტური**

28 ნოემბერი, სამშაბათი

ივერია 1:0 თორი
მილანი 2:1 გურია
ცხინვალი 0:0 მეტალურგი
ხობი 2:0 თბილისი
ოკეანე 2:0 სამგურალი
ზუგდიდი 1:1 შუქურა
90-ე წუთზე ჩაიშალა

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გურია | 17 | 10 | 4 | 3 | 25:20 | 34 |
| მილანი | 17 | 10 | 3 | 4 | 25:13 | 33 |
| ცხინვალი | 17 | 10 | 2 | 5 | 40:19 | 32 |
| მეტალურგი | 17 | 8 | 6 | 3 | 26:15 | 30 |
| შუქურა | 17 | 8 | 4 | 5 | 21:15 | 28 |
| სამგურალი | 17 | 8 | 3 | 6 | 28:17 | 27 |
| ზუგდიდი | 17 | 7 | 4 | 6 | 27:27 | 25 |
| თორი | 17 | 7 | 2 | 8 | 16:15 | 23 |
| ხობი | 17 | 4 | 5 | 8 | 11:20 | 17 |
| ივერია | 17 | 4 | 3 | 10 | 11:28 | 15 |
| ოკეანე | 17 | 3 | 3 | 11 | 15:33 | 12 |
| თბილისი | 17 | 3 | 1 | 13 | 7:30 | 10 |

# რევანში გურულად

ლანჩხუთი
24 ნოემბერი
15 საათი
ევგრაფი შევარდნაძე
500 (ტევადობა 22 000)

### გურია 2:0 ცხინვალი

1:0 ენდელაძე (13), 2:0 ლორია (25)
გურია: მერკვილიშვილი, კირკიტაძე, განუგი, ორბელაძე, ვოსკანოვი, ფაცურია, ჯღარკავა (მინაშვილი 82), ლორია, სულაკაძე, ჩხეტია (ტ. კუკულაძე 86), ენდელაძე (სამხარაძე 87)
სათადარიგონი: შუქრილაძე, ძნელაძე
ცხინვალი: ქესანაშვილი, ბრუთინიანი, ხაჭაპურიძე, ტყემალაძე, ყაჩლავაშვილი, მოსიაშვილი (ზ. მაისურაძე 37), მურადელი, მარგიევი, მარღიშვილი, ნასუაშვილი, ბოჭორაძე
სათადარიგონი: დ. მაისურაძე, კობიაური, გვირჯიშვილი, ჩაჩიბაია
გაფრთხილება: ლორია(21), ხაჭაპურიძე (23), ტყემალაძე (84)
მსაჯები: დ. სანაია, ა. სამხარაძე (ორივე სოხუმი), ტ. ცირდავა (გულრიფში), კ. მესხი (ზუგდიდი)
სფფ-ის ინსპექტორი: ე. სილაგავა

**გოჩა ჯანაშია ლანჩხუთიდან**

**მოჭარბებულად** იგრძნობოდა ინტრიგა პარასკევს ლანჩხუთში, სადაც პირველი ლიგის ორი ლიდერი შეჰყროდა ერთმანეთს. სალიდერო ამბიციებს რომ თავი ვანებოთ, ცხინვალური მატჩის შედეგი ერთიორად ზრდიდა ამ მატჩისადმი ინტერესს. 20 სექტემბრის შემდეგ „გურიას“ ერთხელაც არ წაუგია და მაშინაც სწორედ ცხინვალში დამარცხდა. თუმც დამარცხებაც არის და დამარცხებაც — 0:7 და ამაზე მეტი სტიმული რევანშის ასაღებად გურულებს არ ექნებოდათ.

საწყისი წუთებიდანვე გამოავლინა „გურიამ“ შურისძიების წყურვილი და გოლიც მალე გავიდა. მე-13 წუთზე ენდელაძემ მარცხენა ფლანგზე გაილაღა და საჯარიმოში შეჭრილ ჯღარკავას ბურთი თავზე დაასვა. ამასაც თავური საგოლე გამოუვიდა.

სტუმრები ხეირიანად გონს არ მოსულიყვნენ, რომ მალე სხვაობა კიდევ გაიზარდა. შუაგული ტაიმისთვის „გურიამ“ კუთხური მოინადირა. იქიდან ჩამოწოდებულ ბურთს ქესანაშვილმა ახლო ძელთან მუშტები კი დაუხვედრა, მაგრამ პირდაპირ სულაკიძისკენ გადააგდო. მის დარტყმულს კი ლორიამ მიმართულება შეუცვალა და 2:0.

თავსხმა წვიმაში გრუნტი სულ უფრო დამძიმდა და მეტოქეებს პირველ ტაიმში მეტი სახიფათო მომენტი არ შეუქმნიათ.

მეორე ნახევარში სტუმრები თამაშის გადარჩენას შეეცადნენ, თუმც საიმედოდ გარჯილ „გურიას“ უკანა ხაზს ვერაფერი დააკლეს.

აი, კონტრშეტევებზე გურულებს არ გაუმართლათ. ორჯერ ენდელაძეს და ამდენჯერვე ვოსკანოვს ანგარიშის გაზრდა მართებდათ. ისინი დაღლილნი რომ არ ყოფილიყვნენ და გადამწყვეტ ფაზაში ემარჯვათ, „ცხინვალს“ დიდი ანგარიშით მარცხი არ ასცდებოდა.

მოკლედ, „გურიამ“ იოლად მოიგო რევანში მთლად სრულფასოვანი არ გამოვიდა, მაგრამ სამი ქულით წინ გასაჭრელად ესეც საკმარისი აღმოჩნდა.

# გაჭრის პატარა ბიძგი?

**შარშანდელის** 1 დეკემბერს გაგვაფრთხილა უეფამ, თუ თქვენს მთავარ სარბიელზე განათების პრობლემას ვერ გადაჭრით, 2002 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ მატჩების ჩატარება სხვაგან მოგიწევთო.

რა გაკეთდა საამისოდ? არაფერი, ვუცქერით მშენებარე მიხეილ მესხის სტადიონს, ეს არის და ეს. ნაკრების მწვრთნელების და ფეხბურთელების აზრი კი ნათელი და გასაგებია — ეროვნულ სტადიონზე თამაშს ვართ ჩვეულნი და კვლავ აქ უნდა დაუხვდეთ მეტოქეებსო.

ამასობაში უეფას სურს, მკაფიოდ გაერკვეს სიტუაციაში და 18 დეკემბერს ამ ორგანიზაციის განვითარებისა და დახმარების დეპარტამენტის წარმომადგენელი რობერტ ბოსარტი თბილისში გვეწვევა. სტუმარი დაათვალიერებს და კონტროლზე აიყვანს მიხეილ მესხის სახელობის მშენებარე სტადიონს, დაგეგმილი აქვს შეხვედრა თბილისის მერიაში, ეროვნული სტადიონის განათების საკითხზე, დისკუსია სფფ-სთან ახალი პროგრამის შესახებ, რომლითაც უეფამ ფინანსური დახმარება უნდა გაგვიწიოს.

მოგვიანებით, გაისად კი კიდევ ერთი სტუმარი გვეწვევა უეფადან — გენერალური მდივნის, გერჰარდ აიგნერის თანაშემწე მარკუს შტუდერი. ეს კაცი 5-8 თებერვალს პროგრეს-კურსებს ჩაატარებს ჩვენი გუნდების ადმინისტრაციული მუშაკებისთვის.

...მთავარი სატკივარი ამ დროისთვის მაინც ჩვენი ეროვნული სტადიონის სათანადო და საკადრისი განათებაა. ვითომ რაიმე ბიძგს მოგვცემს უეფას ემისრის სტუმრობა?

**დავით თავართქილაძე**

# მალტიდან მომავლის იმედით

**მალტიდან** დაბრუნდა „დინამოს“ ყოფილი მწვრთნელი გია გეგუჩაძე. მოგეხსენებათ, ეს პიროვნება იანვრიდან მწვრთნელთა მომზადების ცენტრს ჩაუდგება სათავეში და მალტაზეც საქმიანი ვიზიტით იმყოფებოდა — კუნძულზე მწვრთნელ-მასწავლებელთა რიგით მეათე პროგრეს-კურსები ჩატარდა. კურსებს ბელგიელი მიშელ საბლონი უძღვებოდა და მსმენელები შემდეგ საკითხებში გააცნობიერა: წვრთნის ფსიქოლოგიური ასპექტები; წვრთნის ფიზიოლოგიური ასპექტები; მწვრთნელი და სტრესი; უმაღლესი კლასის ფეხბურთელთა ხელმძღვანელობა; ახალი ფორმაციის მწვრთნელი; ტექნიკური ნოვაციები სასწავლო-საწვრთნელ პროცესში.

გეგუჩაძე ერთობ კმაყოფილი დაბრუნდა მალტიდან და თქვა, შევეცდები, იქ შეძენილი ცოდნა მალე ჩვენს მწვრთნელებს გავუზიაროო.

წინასწარი ინფორმაციით, მალტაზე საქართველოში ჯერაც ჩამოუყალიბებელი მწვრთნელთა მომზადების ცენტრის ლიცენზირების საქმეც უნდა გადაწყვეტილიყო. გეგუჩაძის თქმით, თბილისში კურსდამთავრებულ მწვრთნელებს B კატეგორიის ლიცენზია მიენიჭებათ, რაც მათ უმცროსი ასაკის ბავშვებთან მუშაობის უფლებას მისცემს.

ამ და სხვა საკითხებზე გია გეგუჩაძე დაწვრილებით დღეს ისაუბრებს, „ლოკომოტივი“ — „სიონის“ მატჩის წინ, 13 საათზე, „ეროვნული“ სტადიონის საპრესკონფერენციო დარბაზში.

**ბაატა ძვანტალიანი**

| პირველი ლიგა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 გურია | 16 | 10 | 4 | 2 | 24:18 | 6 | 34 | 8 | 7 | 1 | 0 | 17:6 | 11 | 22 | 8 | 3 | 3 | 2 | 7:12 | -5 | 12 |
| 2 ცხინვალი | 16 | 10 | 1 | 5 | 40:19 | 21 | 31 | 8 | 8 | 0 | 0 | 31:5 | 26 | 24 | 8 | 2 | 1 | 5 | 9:14 | -5 | 7 |
| 3 მილანი | 16 | 9 | 3 | 4 | 23:12 | 11 | 30 | 8 | 8 | 0 | 0 | 18:2 | 16 | 24 | 8 | 1 | 3 | 4 | 5:10 | -5 | 6 |
| 4 მეტალურგი | 16 | 8 | 5 | 3 | 26:15 | 11 | 29 | 8 | 7 | 1 | 0 | 20:4 | 16 | 22 | 8 | 1 | 4 | 3 | 6:11 | -5 | 7 |
| 5 სამგურალი | 16 | 8 | 3 | 5 | 28:15 | 13 | 27 | 8 | 7 | 1 | 0 | 24:7 | 17 | 22 | 8 | 1 | 2 | 5 | 4:8 | -4 | 5 |
| 6 შუქურა | 16 | 8 | 3 | 5 | 20:14 | 6 | 27 | 8 | 6 | 2 | 0 | 14:1 | 13 | 20 | 8 | 2 | 1 | 5 | 6:13 | -7 | 7 |
| 7 ზუგდიდი | 16 | 7 | 3 | 6 | 26:26 | 0 | 24 | 8 | 6 | 2 | 0 | 18:7 | 11 | 20 | 8 | 1 | 1 | 6 | 8:19 | -11 | 4 |
| 8 თორი | 16 | 7 | 2 | 7 | 16:14 | 2 | 23 | 8 | 5 | 1 | 2 | 12:6 | 6 | 16 | 8 | 2 | 1 | 5 | 4:8 | -4 | 7 |
| 9 ხობი | 16 | 3 | 5 | 8 | 9:20 | -11 | 14 | 8 | 2 | 5 | 1 | 3:2 | 1 | 11 | 8 | 1 | 0 | 7 | 6:18 | -12 | 3 |
| 10 ივერია | 16 | 3 | 3 | 10 | 10:28 | -18 | 12 | 8 | 3 | 3 | 2 | 7:7 | 0 | 12 | 8 | 0 | 0 | 8 | 3:21 | -18 | 0 |
| 11 თბილისი | 16 | 3 | 1 | 12 | 7:28 | -21 | 10 | 8 | 3 | 0 | 5 | 6:8 | -2 | 9 | 8 | 0 | 1 | 7 | 1:20 | -19 | 1 |
| 12 ოკეანე | 16 | 2 | 3 | 11 | 13:33 | -20 | 9 | 8 | 2 | 2 | 4 | 6:11 | -5 | 8 | 8 | 0 | 1 | 7 | 7:22 | -15 | 1 |


ექიმი კარდიოლოგი
გია მაზავრაშვილი
♦ სუ ჯოკ აკუპუნქტურა
♦ სუ ჯოკ ჰომეოპათია და ფიტოთერაპია
♦ კვებისადა ფიზიკური რეჟიმის კორექცია
(აპრობირებულია სპორტულ მედიცინაში)

მკურნალობის მოსალოდნელი შედეგის განსაზღვრა უფასო კონსულტაციით

თბილისი. ვაჟა-ფშაველას 83/11. სუ ჯოკ თერაპიის ცენტრი.
ტელეფონი: 31-55-35; 38-67-56; 8 99 107 109



თემურ ქეცბაიას „ვულვზის" ისტორიაში მოხვედრის შანსი გაუჩნდა

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **გერმანია** | | | | | | | | |
| ბუნდესლიგა | | | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | შ | ბაიერნი 1:1 | 0 | სათადარიგო | 11 | 2 | 14 |
| ლევან კობიაშვილი | ფრაიბურგი | შ | ბაიერნი 1:1 | 90 | | 14 | 1 | 14 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | შ | ბაიერნი 1:1 | 0 | სათადარიგო | 11 | 0 | 14 |
| არჩილ არველაძე | კიოლნი | ს | კოტბუსი 2:0 | 23 | შეცვლაზე ითამაშა | 10 | 1 | 6 |
| მეორე ბუნდესლიგა | | | | | | | | |
| მიხეილ საჯაია | როიტლინგენი | შ | ზაარბრიუკენი 8:2 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 1 | 0 | 4 |
| **ინგლისი** | | | | | | | | |
| პრემიერლიგა | | | | | | | | |
| გიორგი ქინქლაძე | დერბი | შ | მანჩესტერი 0:3 | 90 | | 11 | 1 | 19 |
| რატი ალექსიძე | ჩელსი | ს | ევერტონი 1:2 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 14 |
| პირველი დივიზიონი | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ვულვზი | შ | გრიმსბი 2:0 | 0 | ტრავმირებულია | 11 | 3 | 18 |
| | ვულვზი | ს | ქუინზ პარკი 2:2 | 0 | ტრავმირებულია | 11 | 3 | 16 |
| **შოტლანდია** | | | | | | | | |
| პრემიერლიგა | | | | | | | | |
| გიორგი ნემსაძე | დანდი | ს | ჰართსი 1:3 | 0 | ტრავმირებულია | 15 | 1 | 7 |
| **ჰოლანდია** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | აიაქსი | ს | უტრეხტი 1:2 | 18 | შეცვალეს | 8 | 3 | 4 |
| გოგა გახოკიძე | პსვ ეინდჰოვენი | შ | ბრედა 2:1 | 0 | შემადგენლობაში ვერ მოხვდა | 0 | 0 | 2 |
| **ბელგია** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| გელა შეყილაძე | ლიერსი | ს | ლუვეი 2:0 | 90 | | 10 | 1 | 7 |
| ლაშა ჯაკობია | აალსტი | შ | ბევერენი 1:1 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 15 |
| **შვეიცარია** | | | | | | | | |
| უმაღლესი დივიზიონი | | | | | | | | |
| გოჩა ჯამარაული | ციურიხი | ს | ქსამაქსი 1:3 | 0 | დისკვალიფიცირებულია | 18 | 7 | 8 |
| მიხეილ ყაველაშვილი | ციურიხი | ს | ქსამაქსი 1:3 | 77 | შეცვალეს | 17 | 7 | 8 |
| ლევან ხომერიკი | არაუ | ს | ბაზელი 2:5 | 90 | | 18 | 6 | 9 |
| **ისრაელი** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| კობა ნიტაიშვილი | ი. რიშონი | ს | ჰაპ. ფეთახ თიკვა 1:1 | 0 | | ? | 3 | 9 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

# ქეცბაია საუკუნის გუნდში?

**„დერბიმ"** ბოლოდროინდელი წარმატებული სერია შეწყვიტა და შინ „მანჩესტერთან" 0:3 განადგურდა, თუმცა პრემიერლიგაში რომ ალექს ფერგიუსონის გუნდი ყველას ერთი (და მეტი) თავით ჯობს, სატურნირო ცხრილიდანაც კარგად ჩანს — ჯერ ტურნირის ნახევარიც არ გალეულა, „ალისფერები" კი მეორე ადგილზე მყოფ „არსენალს" უკვე რვა ქულით უსწრებენ და ცხადი ხდება, ჩემპიონობას წლეულსაც არავის დაუთმობენ. აი, „დერბის" კი სულ სხვა ამოცანის გადაწყვეტა უწევს. ქინქლაძის გუნდი გავარდნის პირასაა და სიმართლე რომ ითქვას, „მანჩესტერთან" მათ მოგებას არც არავინ ელოდა. თუმცა... თუ ამ გუნდების შარშანდელ მატჩს გავიხსენებთ „ოლდ ტრეფორდზე"? მაშინ „დერბიმ" კარგად, ქინქლაძემ კი დიდებულად ითამაშა. ის გიოს ერთ-ერთი საუკეთესო გამოსვლა იყო პრემიერლიგაში დაბრუნების შემდეგ. ამჯერად კი არაფერი გამოვიდა, ვერც ქინქლაძემ და ვერც მისმა რომელიმე პარტნიორმა მანჩესტერულ მანქანას ვერაფერი დააკლეს. თუმცა, იმით მაინც შეუძლიათ თავის დამშვიდება, რომ მისმა უშუალო კონკურენტებმა „მიდლსბრომ" და „ბრედფორდმა" ერთმანეთში ფრე 2:2 ითამაშეს და ოქროს ქულები დაკარგეს. შინ „იფსვიჩთან" წააგო „სიტიმ" (2:3), ხოლო „ქოვენთრიმ" „ასტონ ვილას" ვერაფერი დააკლო (1:1) და ამ ამბებმაც „დერბის" წისქვილზე დაასხა წყალი. ბოლოსწინა ადგილზე მდგარი „ცხვრები" მეთექვსმეტეზე მყოფ ქინქლაძის ყოფილ კლუბ „მანჩესტერ სიტის" მხოლოდ ოთხი ქულით ჩამორჩებიან და ამდენად, ლიგაში დარჩენის პერსპექტივა ჯერჯერობით არ დაუკარგავთ.

თემურ ქეცბაიას „ვულვერჰემპტონმა" ბოლო დღეებში ორი მატჩი გამართა, ერთი გადადებული, „გრიმსბის" 2:0 მოუგო, მერე კი „ქუინზ პარკთან" 2:2 ითამაშა და ხუთი საფეხურით წინ წაიწია, თუმცა თემურს არცერთში უთამაშია. მოგეხსენებათ, საქართველოს ნაკრების ლიდერს მუხლის ტრავმა აწუხებს. სამაგიეროდ, ქეცბაიას ქომაგთათვის ერთი სასიამოვნო ცნობა გვაქვს. ბოლო თვეა „ვულვზის" საინტერნეტო გვერდზე გულშემატკივართა გამოკითხვას აწყობენ და „მგლების" საუკუნის გუნდის დადგენას ცდილობენ. დღეისთვის იქ არაერთმა ყოფილმა თუ ახლანდელმა ვარსკვლავმა დაიმკვიდრა ადგილი, ბილი რაიტმა, დერეკ დუგანმა, სტივ ბულმა, რობი კინმა. საინტერესოა, რომ ახლანდელი შემადგენლობის რამდენიმე წარმომადგენელს შორის ნომინაციაში თემურ ქეცბაიას გვარსახელსაც ამოიკითხავთ. გამოკითხვა გრძელდება.

გერმანიაში ჩვენებურთა „ფრაიბურგი", შარშანდელის არ იყოს, ისევ ღირსეულად ებრძოლა მიუნხენის „ბაიერნს" — 1:1 ასეთია საბოლოო შედეგი. პირველად ბავარიელებმა შეაგდეს, გოლი კარსტენ იანკერმა მიითვალა, თუმცა მალევე კერკეტმა ფრაიბურგელებმა გაათანაბრეს. თუ ბუნდესლიგის ბოლო ტურის მიმოხილვას უყურეთ, აუცილებლად შეამჩნევდით, 26-ე წუთზე, როცა „ფრაიბურგის" სასარგებლოდ ჯარიმა დაინიშნა, ბურთთან ლევან კობიაშვილი მივიდა და დარტყმასაც აპირებდა, მაგრამ ბოლო მომენტში „დორტმუნდიდან" ახლახან გადასული რუსის ვლადიმირ ბუტის თხოვნა შეისმინა და დაუთმო. დაუთმო და ბუტმაც ბურთი ოლივერ კანის ცხრიანში გაჭედა.

ამ ისტორიაში ცუდი ერთი რამ არის, მინდორზე ქართველთაგან მხოლოდ კობიაშვილი იყო. იაშვილ — ცქიტიშვილი კი ბოლო დროს შემადგენლობაში ველარ ხვდებიან და თუ ცქიტიშვილის შემთხვევაში ეს ტრავმით შეიძლება ავხსნათ, საკვირველია რატომ აღარ ენდობიან „იაშკას". ვფიქრობთ, მას უპირველესად ფსიქოლოგიური პრობლემა აქვს გადასაწყვეტი.

კობიაშვილმა კი იმდენად კარგად ითამაშა, რომ ჟურნალმა „კიკერმა" ტურის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანა.

არჩილ არველაძის „კიოლნს" ვეღარავინ აჩერებს. ბოლო ხუთ ტურში ოთხი თამაში მოიგეს და ერთიც ფრედ დაამთავრეს, ცხრილის ფსკერიდან მეექვსე ადგილამდე აღზევდნენ და ჩემპიონთა ლიგაში გამსვლელი ადგილებიდან, ბოლო, მეოთხეს (ამჟამად „ბაიერნს") მხოლოდ ორი ქულით ჩამორჩებიან. ვინ იცის, ეგებ „კიოლნმა", თავიდან რომ განწირული გვეგონა, ევროთასების საგზურისთვისაც იბრძოლოს. არჩილი კი ტრავმას ნელ-ნელა იშუშებს. „კოტბუსთან" მატჩში ის მინდორზე მეორე ტაიმის შუაში გამოჩნდა.

უჯამარაულო „ციურიხმა" მოულოდნელად ბოლოადგილოსან „ქსამაქსთან" წააგო. გოჩას დასაშვებზე მეტი გაფრთხილებები დაუგროვდა და მინდორზეც ამიტომ ვერ გავიდა. მიხეილ ყაველაშვილის მონდომებას კი ნაყოფი არ გამოუღია, ციურიხელები 1:3 დამარცხდნენ და ახლა ფრიად რთულ სიტუაციაში არიან. პირველ რვა გუნდში მოსახვედრად, რომელიც უმაღლეს დივიზიონში დარჩენის გარანტიაა, მათ ლევან ხომერიკის „არაუსთან" ბრძოლა მოუწევთ. თანამემამულეებს არც ლევანი ჩამორჩა და მისმა გუნდმაც „ბაზელთან" 2:5 წააგო. ვინაიდან პირველი ეტაპის დამთავრებამდე ორი ტური დარჩა, ცხადი გახდა, ჩვენებურთა რომელიმე გუნდს ლიგაში ადგილის შენარჩუნებისთვის დასჭირდება ოფლისღვრა.

**სოლომონ გულისაშვილი**




„ბაიერნთან" მატჩის შემდეგ ლევან კობიაშვილი ბუნდესლიგის ტურის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანეს

# ვინ თქვა, პალერმო მოკვდაო

## საკონტინენტთაშორისო „ტოიოტას“ თასის ფინალი

ტოკიო
28 ნოემბერი
14 საათი
იროვნული
51 000 (ტევადობა 70 000)

## ბოკა ხუნიორსი 2:1 რეალი

**1:0, 2:0** პალერმო (3, 6), **2:1** რობერტო კარლოსი (12)
**ბოკა ხუნიორსი:** კორდობა, ზერმუდესი, ტრაველსო, იბარა, მატელანი, ბასუალდო, სერნა, ბატალია (ბურდისო 88), რიკელმე, დელგადო (გილერმო ბაროს შელოტო 85), პალერმო
**მწვრთნელი:** კარლოს ბიანკი
**რეალი:** კასილიასი, კარანკა, იერო, რობერტო კარლოსი, ელგერა, ჯერემი, მაკელელე (მორიენტესი 75), გუტი, მაკმანამანი (სავიო 66), ფიგუ, რაული
**მწვრთნელი:** ვისენტე დელ ბოსკე
**მსაჯი:** ოსკარ რუის აკოსტა (კოლუმბია)



REUTERS ტელეფოტო

ლუიშ ფიგუს ხოსე ბასუალდო (№18) და კრისტიან ტრავერსო უპირებენ ბურთის ართმევას

„ზოგიერთებმა ნაადრევად ჩამომწერეს. თან გამუდმებით იმ სამი პენალტის გაფუჭებას მიხსენებდნენ. აბა, ახლა რას იტყვიან“ — ამაყად განაცხადა მატჩის შემდეგ მარტინ პალერმომ. მეტი რა უნდა გაეკეთებინა 27 წლის თავდამსხმელს, რომლის ფეხბურთში დაბრუნება მუხლის უმძიმესი ტრავმის შემდეგ სათუო იყო — საწყის ექვს წუთში ორი გოლი გაიტანა, რაც „ბოკა ხუნიორსისთვის“ გამარჯვების მომტანი გამოდგა.

პირველი გოლისას პალერმოს თანაავტორობა მარსელო დელგადომ გაუწია. მადრიდელები მის თამაშგარე მდგომარეობაში ჩატოვებას ცდილობდნენ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ და დელგადოს საჯარიმოსთან მიახლოების საშუალება მისცეს. იქ კარგად გაიხსნა პალერმო, თანაგუნდელისგან პასი მიიღო, ორ მადრიდელს გასცდა და იკერ კასილიასს ახლოდან გაუტანა.

ამგვარმა მოულოდნელმა დასაწყისმა „რეალი“ დააბნია და მეორე გოლიც გაუშვა — პალერმომ გრძელი პასი მიიღო საკუთარი დაცვის ხაზიდან, თავადაც კარგა მანძილი გაირბინა და ანგარიში 2:0 გახადა.

ექვს წუთში ორ გოლს თვით ბუენოს აირესიდან ტოკიოში ჩასული სამი ათასამდე ქომაგიც ძნელად წარმოიდგენდა, არგენტინელმა ფეხბურთელებმა კი ოდნავ მოადუნეს ყურადღება, ალბათ საქმე მოთავებულად ჩათვალეს და კინაღამ დაისაჯნენ.

„რეალს“ გამოფხიზლებაში რობერტო კარლოსი დაეხმარა — მეორე გაშვებული გოლის შემდეგ თამაში განახლდა თუ არა, ბრაზილიელმა მცველმა პირველივე იერიში ბურთის ძელისთვის გარტყმით დაასრულა. კიდევ ხუთი წუთიც და რობერტო კარლოსის დარტყმა უფრო ზუსტი გამოდგა — მარჯვენა ფლანგზე დაკარგული ბურთი დაისაკუთრა და უძლიერესი ცაციით ოსკარ კორდობას შანსი არ დაუტოვა.

მოვლენათა ელვისებურმა ცვლილებებმა „რეალს“ თამაშის გადარჩენის კარგი შანსი მისცა — ბოლოს და ბოლოს, მადრიდელი ვარსკვლავებისთვის რა უნდა ყოფილიყო თუნდაც ერთი გოლის გატანა, როცა თამაშის დასრულებამდე ოთხმოციოდე წუთი რჩება.

ისედაც დაძაბული მატჩი კიდევ უფრო დაიძაბა და ორივე გუნდმა ბლომად მომენტები შექმნა. ნერვიულობას ხომ ნუღარ იკითხავთ — თუნდაც ის რად ღირს, რომ მეორე ტაიმში ესპანელ ქომაგებს ორჯერ შეეცვალათ სიხარული იმედგაცრუებით, ხოლო არგენტინელებს შესაბამისად, იმედგაცრუება სიხარულით — მსაჯმა „რეალს“ ორი გოლი არ ჩაუთვალა, ოფსაიდიაო.

ამ ეპიზოდებმა ბევრს ალბათ ვისენტე დელ ბოსკეს ადრინდელი განცხადება გაახსენა. მადრიდელი მწვრთნელი ამბობდა, კოლუმბიელი მსაჯი არგენტინელებს მიემხრობა, რადგან „ბოკაში“ სამი კოლუმბიელი თამაშობსო. მატჩის შემდეგ დელ ბოსკეს მსაჯობაზე ალარაფერი უთქვამს, რაკიღა არჩათვლილი გოლები საკამათო არ ყოფილა.

სამაგიეროდ, ულვაშა მწვრთნელმა ბევრი ილაპარაკა უიღბლობაზე: „საწყის ექვს წუთს თუ არ ჩავთვლით, მეტოქეს ბევრად ვჯობდით. თუმცა „ბოკას“ დაუფასებლობაც არ შეიძლება, ის ძალიან ძლიერი გუნდია და მოახერხა ის, რაც ჩვენ ვერ შევძელით — თამაში ალლო პირველივე წუთიდან აუღო.“

„რეალს“ არაერთი შესაძლებლობა ჰქონდა გასათანაბრებლად. რაულმა, ფიგუმ და გუტიმ შვიდიოდე ისეთი მომენტი გააფუჭეს, მათი დონის ფეხბურთელებს რომ უნდა გამოეყენებინათ, მაგრამ ან სიზუსტე აკლდებოდათ, ან ოსკარ კორდობა ყოჩაღობდა.

არგენტინელთაგან პალერმოს და კორდობას გარდა აუცილებლად აღსანიშნავია ახალგაზრდა გამთამაშებელი ხუან რიკელმეს კარგი თამაში. ამ ფეხბურთელის შესაფასებლად არგენტინელ ქომაგთა აზრს მივუგდოთ ყური. ისინი ამბობენ, ახალი მარადონა გვეზრდებაო, თან რიკელმეს ათნომრიანი მაისურებიც აცვიათ.

დიეგო არმანდოსთვის ვინმეს გატოლება ცოტა სახიფათო საქმეა, მაგრამ თავად ლეგენდარული ფეხბურთელი ვერ ძლება მემკვიდრის ქებით. მოგეხსენებათ, იაპონიამ მარადონას უარი უთხრა ქვეყანაში შეშვებაზე, კოკაინისტები არ გვჭირდებაო და ისიც ტელეფონით ამხნევებდა თანამემამულეებს.

რიკელმე ამბობს: „მარადონამ მატჩის დაწყებამდეც რამდენჯერმე დამირეკა და წარმატება მისურვა, ხოლო დასრულებისთანავე მომილოცა. მან მითხრა, რომ პირადად მისთვის „რეალის“ დამარცხება ორმაგად სასიხარულო იყო, რადგან ძველი ბარსელონელია.“

როცა ტოკიოში ზემოთ აღწერილი ამბები ხდებოდა, სეულში გუს ჰიდინკი სამხრეთ კორეის ნაკრებს იბარებდა. ეს ის ჰიდინკია, რომელმაც ორი წლის წინ „რეალს“ საკონტინენტთაშორისო თასი მოაგებინა. დელ ბოსკეს კი არ გაუმართლა, ჩემპიონთა ლიგის მოგების შემდეგ ორი თასის მოპოვების საშუალება მიეცა და ორჯერვე დამარცხდა — ზაფხულში ევროპის სუპერთასი „გალათასარაის“ დაუთმო, ახლა კი ესაც მიაყოლა.

სამაგიეროდ მის არგენტინელ კოლეგა კარლოს ბიანკის ბედისთვის დასამდურებელი არაფერი აქვს. 6 წლის წინ მოკრძალებულ „ველეზ სარსფილდს“ მოაგებინა ტოიოტას თასი, რის მერეც იგივეს გაკეთებას ვერც ერთი სამხრეთამერიკული კლუბი ველარ ახერხებდა და ახლა ნავსი ისევ ბიანკიმ გატეხა. „მიჭირს ამ ორი თამაშის შედარება — იხსენებს ბიანკი — „მილანი“ და „რეალი“ საკმაოდ განსხვავდებიან ერთმანეთისგან, ისევე როგორც „ველეზი“ და „ბოკა“. საერთოდ კი დღევანდელი გამარჯვება მხოლოდ ერთ გუნდს არ ეკუთვნის, ის მთელი ერის საკუთრებაა და იმის დასტურად გამოდგება, რომ არგენტინული ფეხბურთი მსოფლიოში საუკეთესოა.“

ამ გამარჯვებით დიდად გაიხარა არგენტინის პრეზიდენტმა ფერნანდო დე ლა რუამ და არამარტო იმიტომ, რომ „ბოკა ხუნიორსის“ ქომაგია. მძიმე ეკონომიკურ კრიზისში (ვისზე მძიმე, გააჩნია) მყოფი ქვეყნის პრეზიდენტს რა ხანია ხალხისთვის სახეირო ალარაფერი უთქვამს, ახლა კი საშუალება მიეცა, მოსახლეობისთვის ის მაინც მიელოცა, რაც მისი დამსახურება სულაც არ არის. აღფრთოვანებული ვარ პალერმოს და რიკელმეს თამაშითო, ესეც დაუმატა პრეზიდენტმა და ვინძლო სამშობლოში დაბრუნებულებს ღირსების ორდენის შესაბამისი არგენტინული ჯილდოებიც ჩამოურიგოს.

კიდევ ის ვთქვათ, რომ როცა ტოკიოში გახურებული ბურთაობა მიდიოდა, ბუენოსაირესელ მშრომელებს ეძინათ, რადგან იაპონიიდან ბლომად სასაათო ზოლებით არიან დაშორებულნი. თუმცა კარგად გამოძინება არ დასცალდათ — „ბოკას“ თავგადაკლული ქომაგები ისეთი ჟრიამულით მოედნენ ქალაქს, საქმეში ჩაუხედავ კაცს კონკისტადორთა შემოსევა ეგონებოდა, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, რაც ხდებოდა.

**გიორგი დარჯანია**



REUTERS ტელეფოტო

მარტინ პალერმო (მარცხნივ) ხარიხაზე შემომჯდარა და ასე აღნიშნავს გამარჯვებას

## ფეხბურთის ქრონიკა



**ესპანური** „ესპანიოლი“ სეზონის ბოლომდე იაპონელ ფორვარდ აკინორი ნაშიზავას ინათხოვრებს. ფეხბურთელი ხუთშაბათს სამედიცინო შემოწმებას გაივლის, ხოლო კლუბში ოფიციალურად 15 დეკემბრიდან ჩაირიცხება, როცა ესპანეთში სატრანსფერო სეზონი კვლავ გაიხსნება. „ახალ გარემოსთან შეგუება შეიძლება ცოტათი გამიჭირდეს, თანაც ესპანური არ ვიცი, თუმცა ვიმედოვნებ, რომ ყველა სირთულეს დავძლევ“ — განაცხადა „სერეზო ოსაკას“ ფეხბურთელმა, რომელმაც ამ სეზონში ჯეი-ლიგაში 15 გოლი გაიტანა. ნაშიზავა აზიის თასის მფლობელია, ტურნირის ბომბარდირთა შორის კი მეორე იყო.

**გერმანულმა** სააგენტოებმა გაავრცელეს ინფორმაცია, თითქოს „მიუნხენ 1860“-ის ფორვარდის პოლ აგოსტინოს შეძენა „მილანს“ სურდა, თუმცა მიუნხენური კლუბი ირწმუნება, რომ ფეხბურთელს არ გაყიდის. „აგოსტინოს გუნდიდან არ გავუშვებ“ — აცხადებს პრეზიდენტი კარლ-ჰაინც ვილდმოზერი. აგოსტინო ავსტრალიელია, იტალიის პასპორტსაც ფლობს, გერმანულ კლუბთან კონტრაქტი კი 2004 წლამდე აქვს. იგი ახლა 9 გატანილი ბურთით ბუნდესლიგის მეორე ბომბარდირია.

**ნორვეგიელ** ფორვარდ იან დრეკ სორენსონისთვის დორტმუნდის „ბორუსია“ და „მიუნხენ 1860“ ცილობდნენ. ამ დავაში საბოლოოდ დორტმუნდელებმა იმარჯვეს და 28 წლის რუსენბორგელი თავისუფალი აგენტის სტატუსით 2004 წლამდე გადაიბირეს. აღსანიშნავია, რომ სორენსონმა შარშანდელ ჩემპიონთა ლიგაში „ბორუსიას“ 3 გოლი გაუტანა.

**ბერძნული** „ოლიმპიაკოსი“ ახალ მწვრთნელს ეძებს, იქაური პრესა კი იუწყება, რომ კლუბი თავკაცს წლიურ გასამრჯელოდ 2,4 მილიონ დოლარს დაუნიშნავს. ამ უქმეებზე ეს პოსტი იანის მაცურაკისმა დატოვა. მან გუნდში რვა თვე იმუშავა და წარუმატებლად — საბერძნეთის ჩემპიონები ჩემპიონთა ლიგის პირველი ჯგუფური ეტაპიდან გამოვარდნენ, ხოლო უეფას თასზე „ლივერპულთან“ პირველი მატჩი შინ 2:2 დაასრულეს. „გადავწყვიტე, წავიდე. „ოლიმპიაკოსისთვის“, ალბათ, ასე აჯობებს“ — განაცხადა მაცურაკისმა. მის შესაძლო შემცვლელებად ასახელებენ ლუის ფერნანდესს, რომელმაც ცოტა ხნის წინ „მარსელს“ უთხრა უარი, „ინტერიდან“ გათავისუფლებულ მარჩელო ლიპის, იტალიის ნაკრების ყოფილი დამრიგებელ არიგო საკის და სლოვენიის ეროვნული გუნდის ხელმძღვანელ სრეჩკო კატანეცს.

**ხორვატმა** ფორვარდმა ალენ ბოკშიჩმა მყესი დაიჭიმა და ორ კვირას ვერ ითამაშებს. „არ გაგვიმართლა. ალენი „ბრედფორდთან“ კარგად თამაშობდა, მაგრამ ტრავმა მიიღო და იძულებული გავხდი, შემეცვალა. ეს უკვე მესამე ტრავმაა, რომელიც მან ბოლო ხანს მიიღო“ — განაცხადა „მიდლსბროს“ მწვრთნელმა ბრაიან რობსონმა, რომლის გუნდიც ახლა პრემიერლიგის ცხრილში არცთუ სახარბიელო, ბოლოდან მესამე ადგილზეა.

**კამერუნელი** მცველი რიგობერტ სონგი „ვესტ ჰემმა“ „ლივერპულისგან“ 2,5 მილიონ გირვანქად შეიძინა. მას შემდეგ, რაც ლონდონელებმა რიო ფერდინანდი „ლიდსში“ 18 მილიონ გირვანქად გაუშვეს, 24 წლის სონგის შეძენაზე დიდხანს არ უფიქრიათ. „ლივერპულში“ ამ სეზონში მხოლოდ ოთხჯერ ვითამაშე, ამიტომ ამჯერად კლუბის გამოცვლა მერჩივნა“ — განაცხადა კამერუნელმა. გავიხსენოთ, რომ ლივერპულელთა თავკაცმა ჟერარ ულიემ რიგობერტი ოლიმპიადაზე სათამაშოდ ნაკრებში არ გაუშვა, ამიტომ ფეხბურთელმა ოქროს მედალი ვერ მოიპოვა. სონგი პრემიერლიგელებმა შარშან იანვარში „სალერნიტანადან“ 2,6 მილიონ გირვანქად შეიძინეს.

**ფრანგი** მცველი ალან გომა „ნიუკასლიდან“ წასვლას ითხოვს. მიზეზი გაუგებარია, რადგან ოქტომბერში იგი „კაჭკაჭთა“ საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს. ახლა ფრანგს ტრავმა აწუხებს, რის გამოც ბოლო ორი თამაში გამოტოვა. 28 წლის გომა „ნიუკასლში“ შარშან „პარი სენ ჟერმენიდან“ 4,75 მილიონ გირვანქად ჩაირიცხა.

**საფრანგეთის** ჩემპიონ „მონაკოს“ მწვრთნელმა კლოდ პიუელმა მეკარე სტეფან პორატო ძირითადი შემადგენლობიდან ამოაგდო. მიზეზი „ლანსთან“ წაგებული მატჩის დროს (3:4) გოლკიპერის არცთუ დამაჯერებელი თამაშია. დღეს მონაკოელები „ნანტს“ ხვდებიან და კარს სავარაუდოდ ჟან მარი ობრი დაიცავს. „ვიმედოვნებთ, რომ მწვრთნელის ეს გადაწყვეტილება პორატოზე დადებითად იმოქმედებს, იგი კვლავ ძლიერად ათამაშდება და ძირითად შემადგენლობაში ადგილს დაიბრუნებს“ — განაცხადა „მონაკოს“ მეკარეთა მწვრთნელმა ჟან ლუკ ეტორიმ.

# გვარდიოლა ბრუნდება

**ფეხბურთელები** ნარკომანიის წინაალმდეგ იბრძვიან, ამიტომაც დღეს „კამპ ნოუზე“ საქველმოქმედო ამხანაგური მატჩი ჩატარდება — „ბარსელონა“ ესპანეთის ლიგაში მოთამაშე ფეხბურთელთა ნაკრებს ხვდება. ბარსელონელთა მეტოქეს ესპანეთის ნაკრების თავკაცი ხოსე ანტონიო კამაჩო უხელმძღვანელებს.

„ბარსელონას“ ქომაგებს ერთი სასიამოვნო სიურპრიზი ელით: მინდორზე გუნდის კაპიტან ხოსეპ გვარდიოლას იხილავენ. კატალონიელთა კერპს ამ სეზონში ჯერ არ უთამაშია, ვინაიდან სანაკრებო შეკრებაზე მიწვეულმა აგვისტოში კოჭის ტრავმა მიიღო და მთელი ეს დრო მკურნალობას მოანდომა. ექიმები იუწყებიან, რომ ნახევარმცველი მომჯობინდა, ამხანაგური შოუ-მატჩები კი საკუთარი თავის მზადყოფნის შესამოწმებლად საუკეთესო საშუალებაა.

გვარდიოლა დღეს ალბათ არ გარისკავს და მხოლოდ 20 წუთს ითამაშებს.

„რაკი დავბრუნდი, ეს იმას არ ნიშნავს, რომ შაბათს „სელტას“ წინააღმდეგ სათამაშოდაც მზად ვარ“ — განაცხადა გვარდიოლამ.

ქვემოთ ის ფეხბურთელებია ჩამოთვლილი, ვინც კამაჩომ „ნაკრებში“ გამოიძახა. მწვრთნელმა პრიმერადივიზიონის ყველა გუნდს დასდო პატივი და მათგან თითო მოთამაშე მაინც მიიწვია. ნაკრებში ვერ მოხვდნენ მხოლოდ „რეალის“ ფეხბურთელები. მიზეზი, ალბათ, გასაგებია.



ხოსეპ გვარდიოლა

*ნარკომანიის წინააღმდეგ შემდეგი ფეხბურთელები იბრძოლებენ:*

*ტურუ ფლორესი, გონსალეს ფრანი (ორივე დეპორტივო), არიელ იბაგასა, ალბერტო ლუკე (ორივე მალიორკა), ხოსე არტეაგა, მანუელ კრისტობალი (ორივე ესპანიოლი), ხავი მორენო (ალავესი), ფრანსისკო იესტე (ბილბაო), პაბლო კუნაგო (სელტა), ვინი ხუმისი (ლას პალმასი), პაკო კონტრერასი, ხოსე მარია მოვილია (ორივე მალაგა), ხაიმე პარეტა (ნუმანსია), ფრანსისკო მოა (ოსასუნა), მარტინ ესტებანი, ოსკარი (ორივე ოვიედო), ვალერიან ისმაელი (რასინგი), ლუის სემბრანოსი, გერჰარდ პოშნერი (ორივე რაიო ვალეკანო), იგორ ხაურეგი (სოსიედადი), ჯონათან ლოპესი (ვალენსია), ტორეს გომესი (ვალიადოლიდი), ბრუნო მარიონი (ვილიარეალი), პაბლო, პაკო ხემესი (ორივე სარაგოსა)*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# რეჰაგელს საქმე გამოუჩნდა

REUTERS მიუნხენიდან



ოტო რეჰაგელი 1 ოქტომბრიდან …უშევარი იყო — „კაიზერსლაუტერ…“ ოთხწლიანი მუშაობის შემდეგ „მე… ოტოს“ შედეგი დაუწუნეს და უსა… …დ დატოვეს. „რა კარგია, რომ ოტო …ა. როგორც იქნა, ოჯახისთვისაც …ცალა“ — გახარებული იყო ბეტ…, სახელგანთქმული გერმანელი მწ…თნელის მეუღლე, რომელსაც ქმრის …რდით ყოფნა, ალბათ, მალე ისევ …ნატრება. ამის მიზეზი ავსტრიული კლუბი ვენის „აუსტრიაა“, რომლის პრეზიდენტმა ფრანკ შტრონახმა ახლახან დახმარებისთვის რეჰაგელს მიმართა. გუშინ მხარეები ერთმანეთს შეხვდნენ და კონტრაქტის თაობაზეც მოილაპარაკეს.

„მეფე ოტო“ თან თანახმაა და თან არა: ფეხბურთში დაბრუნება კი სურს, მაგრამ ავსტრიულ ბუნდესლიგაზე მეტად გერმანული იზიდავს. რეჰაგელი თურმე არც გერმანიის მეორე ბუნდესლიგაში მუშაობას უკადრისობს. ვინ იცის, ეგებ თავისივე მიღწევის გამეორება სურს. შეგახსენებთ, რომ 1997 წელს მან „კაიზერსლაუტერნი“ პირველ ბუნდესლიგაში დააბრუნა, მომდევნო სეზონში კი ისიც გააჩემპიონა. ასეთი მოღწევით ვერავინ დაიკვეხნის.

დღეისთვის საქმეს მაინც [illegible]ეთი პირი უჩანს, რომ რეჰაგელი სამწვრთნელო კარიერას ავსტრიაში გააგრძელებს. ამას თავად მისი ნათქვამი მოწმობს — კლუბთან, ფაქტობრივად, ყველაფერზე შევთანხმდი და მუშაობას სავარაუდოდ ახალი წლის მერე შევუდგებიო.

„აუსტრია“, რომლის პრეზიდენტ შტრონახსაც კლუბის სერიოზულად გაძლიერება და ჩემპიონთა ლიგაში გაყვანა სურს, ამჟამად ავსტრიის ჩემპიონატში მეორე ადგილზეა. გუნდი ლიდერ „ტიროლს“ მხოლოდ ორი ქულით კი ჩამორჩება, მაგრამ ამავდროულად ორი თამაშით მეტიც აქვს ჩატარებული.

**განო ოქროპირიძე**

# …მათი წამალი ღვინოა

**…მწრიალდა** ქვეყანა, ფერენც პუშკაში ისეთ დღეშია, თქვენს მტერსო. …რა ხალხი ბუდაპეშტისკენ, სადაც დიდი ფეხბურთელი ამ ერთი თვის წინ …მდგომარეობაში მოხვდა — ჯერ ალფრედო დი სტეფანომ ჩააკითხა, მერე ზეპ …ერმა. მადრიდში ხმაც გავრცელდა, საწყალს მკურნალობის ფული არა … და „რეალის“ სტაჟიანმა ქომაგებმა შეგროვებაც გადაწყვიტეს, ხოლო …ლისტები წინასწარ შეუდგნენ ნეკროლოგების წერას, მაგრამ...

… ნოემბერს ბუდაპეშტის ერთ-ერთ რესტორანში ოთხი ასაკოვანი კაცი …და, დიდებული სუფრა გააშლევინა და გვარიანად მოილხინა. ერთი მათგანი …ც პუშკაში გახლდათ.

…დანარჩენი მეინახენი იყვნენ: უნგრეთის დიდი გუნდის მეკარე დიულა გროში… …მცველი იენე ბუზანსკი და თავდამსხმელი შანდორ ჰიდეგკუტი, რომელმაც …ახან პუშკაშის მეზობელ პალატაში ამოყო თავი.

…უშკაში და ჰიდეგკუტი ექიმებმა ერთი დღით გაუშვეს. მათაც ძმაკაცები …ბნეს და რესტორანში გაეშურნენ. მიზეზი ნამდვილად საპატიო ჰქონდათ: … ნოემბერს 47 წელი შესრულდა იმ ღირსშესანიშნავი დღიდან, როცა „უმბ…ზე“ უნგრეთმა ინგლისი 6:3 დაამარცხა და ბრიტანელთა მძლეველი პირველი …ტინენტური ნაკრები შეიქნა. იმ მატჩში პუშკაშმა დუბლი შეასრულა, ჰიდე…ტიმ — ჰეთ-თრიქი. ჰოდა, როგორ არ უნდა აღენიშნათ.

# …ორეა ჰიდინკს ჩააბარეს



**ცნობილი** ჰოლანდიელი სპეცია…ისტი გუს ჰიდინკი სამხრეთ კორეის …კრების მთავარ მწვრთნელად დაინი…ნა. ჰიდინკს ეროვნული გუნდის სა…ვეში მისვლა კორეელებმა წინა კვი…აში შესთავაზეს, თუმცა მწვრთნელმა …რო ითხოვა. კარგად ვიფიქრებ და …სუხსაც მერე გეტყვითო, შეუთვალა აზიელებს. ჰოდა, ცოტა იფიქრა თუ ბევრი, თანხმობა განაცხადა.

ასე რომ, 2002 წელს იაპონია-კორეაში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატზე ერთ-ერთ თანამასპინძელს ჰიდინკი უხელმძღვანელებს. კორეული ფეხბურთის მამები უცხოელი მწვრთნელის მიწვევაზე სულაც არ ფიქრობდნენ, მაგრამ სექტემბერში სიდნეიში გამართულ ოლიმპიადაზე და აზიის თასზე ნაკრების წარუმატებელმა თამაშმა გადაწყვეტილება შეაცვლევინათ. მათ ჰუ იონგ ნოო გაუშვეს და მისი შემცვლელის, გამოცდილი და კვალიფიციური მწვრთნელის ძებნას შეუდგნენ. არჩევანი ჰიდინკზე შეაჩერეს.

ჰოლანდიის ნაკრებისა და მადრიდის „რეალის“ ყოფილი მწვრთნელი სამხრეთ კორეის ეროვნულ გუნდს პირველად მიმდინარე წლის 20 დეკემბერს უთავკაცებს, როცა ამხანაგურ შეხვედრაში იაპონიის ნაკრებს დაუპირისპირდება.

შეგახსენებთ, რომ სამხრეთკორეელები, როგორც მომავალი მსოფლიოს ჩემპიონატის თანამასპინძლები, ფინალურ ეტაპზე ავტომატურად არიან დაშვებულნი. ჰიდინკის მიწვევის მთავარი მიზანიც ამ ჩემპიონატზე ღირსეული გამოსვლაა. ვეცდებით, ჩვენი კვალი დავტოვოთო, უთქვამს ჰიდინკს კორეელი ჟურნალისტებისთვის.

მართალია, ჰიდინკსა და სამხრეთ კორეის საფეხბურთო ასოციაციას შორის ჯერ მხოლოდ სიტყვიერი შეთანხმება არსებობს, მაგრამ ორიოდ დღეში მათი მომავალი ურთიერთობა ოფიციალურად, კონტრაქტითაც გაფორმდება.



„იმპერატორი“ ფრანც ბეკენბაუერი „ბაიერნის“ წევრებს ნათელ მომავალს დაჰპირდა

# მესამედ სამი წლით

**კვირას** მიუნხენის „ბაიერნში“ საპრეზიდენტო არჩევნები ჩატარდა. აბა, რა დიდი გამოცნობა იმას უნდა, თუ ვინ აირჩიეს პრეზიდენტად: ცხადია, „იმპერატორი“ ანუ ფრანც ბეკენბაუერი. საერთოდაც, იგი პრეზიდენტობის ერთადერთი კანდიდატი იყო, ვინაიდან მასთან შებრძოლება ვერავინ გაბედა. არჩევნებში კლუბის 1695 წევრი მონაწილეობდა, მათგან 104-მა უბრალოდ თავი შეიკავა, დანარჩენებმა კი ხმა კაიზერ ფრანცს მისცეს.

„ჩემი პროგრამა და მთავარი მიზანი ყველასათვის ცნობილია. 1994 წელს, როცა პირველად ამირჩიეს კლუბის პრეზიდენტად, მაშინვე ვთქვი, „ბაიერნს“ მსოფლიოში ერთ-ერთ საუკეთესო გუნდად ვაქცევ-მეთქი. ეს ასეც მოხდა. ახლა კი მინდა, ჩვენი გუნდი მსოფლიოს უმაღლეს მწვერვალზე ავიყვანო. „ბაიერნს“ ამის მიღწევა ძალუძს“ — განუცხადა არჩევნების შემდეგ ფრანც ბეკენბაუერმა კლუბის წევრებს.

„ბაიერნში“ საპრეზიდენტო არჩევნები სამ წელიწადში ერთხელ იმართება. ბეკენბაუერის ხანა მიუნხენურ კლუბში ექვსი წლის წინ დაიწყო, იგი ამჟამად მესამე ვადით აირჩიეს. ასე რომ, მინიმუმ 2003 წლამდე „ბაიერნში“ კვლავ „კაიზერ ფრანცი“ იმეფებს. მას კლუბის მართვაში ძველი გუნდი დაეხმარება.

„ხელმძღვანელობაში დიდი ცვლილებები არ მოხდება. ვიცე-პრეზიდენტები ისევ კარლ ჰაინც რუმენიგე, ფრიც შერერი და ჰანს შიფელი იქნებიან, მენეჯერად კი ული ჰიონესი დარჩება. ეს ის ძალაა, რომელიც „ბაიერნს“ დიდ წარმატებებს მოუტანს“ — ღრმად სწამს „იმპერატორს“.

რომ იცოდეთ, ვიცე-პრეზიდენტებს საქმე დანაწილებული აქვთ: შერერს მოყვარულთა გუნდი აბარია, 81 წლის შიფელს კი — ახალგაზრდული. რუმენიგეს საქმე მთავარი გუნდია.

ახლა ის ვთქვათ, რა გააკეთა „ბაიერნის“ ამ ხელმძღვანელობამ ისეთი, რის გამოც ზედიზედ მესამედ აირჩიეს. მათ მნიშვნელოვნად გაზარდეს კლუბის კაპიტალი, მოგება, მსოფლიოში „ბაიერნის“ ფან-კლუბთა და შესაბამისად კლუბის წევრთა რიცხვი. გაფორმდა უამრავი სპონსორული კონტრაქტი, რის შედეგადაც მნიშვნელოვნად იმატა შემოსავალმა და პოპულარობამ.

„ბაიერნი“ ბოლო ექვს წელიწადში სამჯერ გახდა ქვეყნის ჩემპიონი, ერთხელ დაეუფლა გერმანიის თასს, ორჯერ ლიგის თასს, ერთხელაც უეფას თასს. 1999 წელს ძალიან ახლოს იყო ჩემპიონთა ლიგის მოგებასთანაც, მაგრამ... ალბათ, ახლაც გახსოვთ „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ფინალურ მატჩში მსაჯის მიერ წამატებული სამი წუთი.

და მაინც: „დღესდღეობით თითქოს ძალიან ცუდ დღეში ვართ, მაგრამ მდგომარეობა აუცილებლად გამოსწორდება, თანაც ძალიან სწრაფად. გუნდში ბევრი რამ შეიცვლება. რამდენიმე ნიჭიერი ფეხბურთელის გადმობირებას ვაპირებთ. ძირითადად ახალგაზრდების, რომელთაგანაც ისეთი მოთამაშეები გამოვლენ, მომავალში გუნდს და ქვეყანას რომ ასახელებენ“ — თქვა ბეკენბაუერმა.

**განო ოქროპირიძე**

# ტოლდოს გზაც რომში მიდისო



**პოპულარული** იტალიური გამოცემა „გაძეტა დელო სპორტის“ ცნობით, „რომა“ „სკუადრა აძურასა“ და „ფიორენტინას“ მეკარეს ფრანჩესკო ტოლდოს ყიდულობს. შეთანხმება, სავარაუდოდ, იანვარში განხორციელდება, როცა აპენინებზე სატრანსფერო სეზონი გაიხსნება. ამ ცნობილ გაზეთს შესაძლო გარიგების ფინანსური დეტალებიც შეუტყვია: დედაქალაქელები აპირებენ, ფლორენციელებს 17,6 მილიონი დოლარი გადაუხადონ, თან „სტადიო ოლიმპიკოდან“ „არტემიო ფრანკიზე“ ორი მოთამაშე, ვეტერანი მეკარე ფრანჩესკო ანტონიოლი და ბრაზილიელი მცველი ალდაირი გაუშვან.

კარგა ხანია, ტოლდოს ხელში ჩასაგდებად არაერთი სახელიანი კლუბი ილესავს კბილებს. ადრე ყველაზე ხშირად „ბარსელონას“ და „მანჩესტერ იუნაიტედს“ ასახელებდნენ. ევროპის ჩემპიონატზე ჩინებულად მოთამაშე ტოლდომ ტურნირის დასრულების და ახალი სეზონის დაწყების წინ თითქმის დააპირა ფლორენციის დატოვება, მაგრამ მაშინ „ფიორენტინას“ პრეზიდენტმა ვიტორიო ჩეკი გორიმ იყოჩაღა და მეკარესთან ახალი კონტრაქტი 2002 წლამდე გააფორმა. მაშინ იმაზეც საუბრობდნენ, რომ ფლორენციიდან რომში ბატისტუტასთან ერთად ტოლდოც უნდა გადასულიყო, თუმცა საბოლოოდ „რომას“ მაისურა მხოლოდ არგენტინელმა მოირგო.

ბოლოს აღვნიშნოთ, რომ სერია A-ს რვა მატჩში „რომაში“ უკვე სამმა მეკარემ ითამაშა — იმავე ანტონიოლომ, რომელიც ძირითადი გოლკიპერია, ანტონიო კიმენტიმ და კრისტიანო ლუპატელიმ. სულ კი „რომას“ განაცხადში ხუთი მეკარე ჰყავს, სერია A-ს გუნდებს შორის ყველაზე მეტი.

# ამას რა გამოასწორებს



**ისევ** ჰაჯის ულირს საქციელზე უნდა დავწეროთ. აბა, ტურნირი ისე როგორ ჩაივლის, „კარპატელ მარადონად“ წოდებულმა რუმინელმა რაიმე ხრიკი არ მოიგონოს, მსაჯს თუ მოწინააღმდეგეს არ შეედავოს და არ წაეჩხუბოს.

ამ უქმეებზე თურქეთის ჩემპიონატში სეზონის ერთ-ერთი მთავარი მატჩი ჩატარდა — სტამბოლის „ალი სამი იენის“ სტადიონზე „გალათასარაიმ“ თანაქალაქელ „ფენერბაჰჩეს“ უმასპინძლა. ჰოდა, „გალათასარაიში“ მოთამაშე რუმინელმა გენიოსმა ერთ-ერთ ეპიზოდში არბიტრს ხელი ჰკრა — საჯარიმოს ვასრულებ და ხელს ნუ მიშლი, ჩამომეცალეო.

„სამწუხაროდ, ჰაჯის უმსგავსო საქციელს ხშირად პატიობენ. მინდორზე ზედმეტად აგრესიულია და ხან მეტოქე ფეხბურთელებს ეჩხუბება, ხანაც მსაჯებს. კვირასაც ასე მოიქცა. ჩვენ ვაპირებთ, ჩემპიონატის წამყვანი არბიტრების საბჭო მოვიწვიოთ, რათა მათ შესაბამისი და მკაცრი გადაწყვეტილება მიიღონ“ — აცხადებს „ფენერბაჰჩე“.

სტამბოლური დერბი კი ძალიან დაძაბული გამოდგა. არბიტრს ათჯერ მოუხდა ყვითელი ბარათის ჩვენება, მატჩი კი რამდენჯერმე შეწყდა — ფანებმა პეტარდებით სტადიონი სულ მთლად გაბოლეს და საგნების გარჩევა შეუძლებელი გახდა.

თამაში კი 0:0 დასრულდა და ახლა „გალათასარაისა“ და „ფენერბაჰჩეს“ სტამბოლის კიდევ ერთი გუნდი „ბეშიქთაში“ 5 ქულით უსწრებს, თუმცა „გალას“ მატჩით ნაკლები აქვს ჩატარებული.

# სამხრეთ ამერიკა

**ზოგიერთ ლათინურ ქვეყანაში ჩემპიონატი დასასრულს უახლოვდება, ზოგში კი ჯერ ნახევარიც არ გასრულებულა. ზოგან გათამაშების მეტად მარტივი სისტემაა, თუმცა თავგზის ამბნევი სტრუქტურებიც გვხვდება. გავარჩიოთ რამდენიმე ჩემპიონატის მიმდინარეობა.**



მექსიკური ამბავი: ნეკაქსელმა სერხიო ალმაგუერმა (მარცხნივ) მორელიელი კარლოს პავონი აალრიალა

## ჩილე

**27-ე ტური:** კობრელოა — კოკიმბო 2:2; ევერტონი — კოლო კოლო 1:2; უნიონ ესპანიოლა — აუდაქს იტალიანო 2:1; ოჰიგინსი — ოსორნო 2:1; პუერტო მონტი — კონსეპსიონი 2:0; სანტიაგო მორნინგი — ხუაჩიპატო 2:1; პალესტინო — უნივერსიდად კათოლიკა 0:2; უნივერსიდად დე ჩილე — უონდერერსი 1:1

**ჩილელები** ყველაზე მოწესრიგებული ხალხია სამხრეთ ამერიკაში — სისტემაც ევროპულის მსგავსი აქვთ და კალენდარშიც გამუდმებით არ შეაქვთ ცვლილებები.

გათამაშების ცხრილს თუ ჩავხედავთ, ვნახავთ, რომ ჩემპიონატის დასრულებამდე სამი ტურია დარჩენილი, ხოლო ლიდერ „უნივერსიდად დე ჩილეს" ანუ უბრალოდ „უ"-ს, როგორც მას უწოდებენ, სულაც ოთხი მატჩი აქვს გასამართი. მაგრამ იმავე ცხრილიდან ისიც ჩანს, რომ მდევრებს „უნივერსიდადის" დაწევის შანსი აღარ აქვთ და გუნდმა უკვე გაინაღდა ჩემპიონის ტიტული.

დედაქალაქურმა კლუბმა ზედიზედ მეორედ მოიპოვა ჩილეში უძლიერესის სახელი, მის ისტორიაში კი ეს მეთერთმეტე გამარჯვებაა.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უნ. დე ჩილე | 26 | 17 | 5 | 4 | 60:25 | 56 |
| უნიონ ესპან. | 27 | 12 | 9 | 6 | 39:33 | 45 |
| კობრელოა | 26 | 12 | 7 | 7 | 47:32 | 43 |
| კოლო კოლო | 26 | 11 | 10 | 5 | 49:39 | 43 |
| უნ. კათოლიკა | 26 | 11 | 8 | 7 | 47:37 | 41 |
| აუდაქს იტალ. | 27 | 11 | 6 | 10 | 36:29 | 39 |
| უონდერერსი | 27 | 10 | 9 | 8 | 46:44 | 39 |
| სანტიაგო მორნ. | 27 | 10 | 7 | 10 | 40:43 | 37 |
| კონსეპსიონი | 27 | 9 | 9 | 9 | 24:27 | 36 |
| ოჰიგინსი | 27 | 10 | 5 | 12 | 41:46 | 35 |
| პალესტინო | 27 | 9 | 7 | 11 | 39:40 | 34 |
| პუერტო მონტი | 27 | 8 | 7 | 12 | 39:49 | 31 |
| კოკიმბო | 27 | 7 | 10 | 10 | 29:44 | 31 |
| ხუაჩიპატო | 27 | 8 | 5 | 14 | 39:44 | 29 |
| ევერტონი | 27 | 6 | 8 | 13 | 36:50 | 26 |
| ოსორნო | 27 | 4 | 6 | 17 | 31:60 | 18 |

## არგენტინა

**მე-16 ტური:** ლანუსი — ალმაგრო 1:0; რივერ პლეიტი — ბელგრანო 4:2; სან ლორენსო — ჩაკარიტა ხუნიორსი 4:0; როსარიო სენტრალი — ხიმნასია (ლა პლატა) 2:0; ტალერესი — არგენტინოს ხუნიორსი 3:1; ინდეპენდიენტე — უნიონი 3:1; ველეს სარსფილდი — რასინგი 1:1; კოლონი — ნიუელს ოლდ ბოიზი 1:1; ესტუდიანტესი — ურაკანი 1:1

არგენტინაში ჩემპიონატის პირველი ეტაპი — „აპერტურა" დასასრულს უახლოვდება. მისი მომგები მეორე ეტაპის — „კლაუსურას" მომგებს შეხვდება და ჩემპიონატის ფინალის გამარჯვებულიც გამოცხადდება. თუმცა წინა სეზონში ფინალის ჩატარება საჭირო არ გახდა, რადგან „რივერ პლეიტმა" ორივე ეტაპზე იმარჯვა.

ახლა „აპერტურას" მოგების მეტი შანსი „ბოკა ხუნიორსს" აქვს, „რივერი" კი ჯერჯერობით მეოთხეა, რაც ბუენოს აირესული გუნდისთვის ჩავარდნაა. ამის ერთ-ერთი მიზეზი ფინანსური კრიზისია, რომელშიც „რივერი" აღმოჩნდა. კრიზისის დაწყებისთანავე ევროპული კლუბები გააქტიურდნენ და არგენტინელი ვარსკლავების ხელში ჩაგდება განიზრახეს. თუმცა „რივერის" პრეზიდენტი ხოსე მარია აკილარი ამბობს, ფულს არ დავხარბდებითო. უპირველესად საუბარია ხავიერ სავიოლას და პაბლო აიმარის ევროპაში გადაბარგებაზე. ამასთანავე მილანის „ინტერი" კოლუმბიელ მცველს, მარიო იეპესის შეძენითაა დაინტერესებული.

ბოლოს დავძინოთ, რომ მაჩანჩალა „ალმაგროს" ვერც დიეგო მარადონას მწვრთნელობამ უშველა — ერთი მოგებაც არა აქვს.

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოკა ხუნიორსი | 15 | 10 | 5 | 0 | 32:14 | 35 |
| ტალერესი | 16 | 10 | 3 | 3 | 28:17 | 33 |
| ხიმნასია | 16 | 9 | 4 | 3 | 31:25 | 31 |
| რივერ პლეიტი | 15 | 8 | 6 | 1 | 31:16 | 30 |
| სან ლორენსო | 16 | 9 | 3 | 4 | 31:16 | 30 |
| ველესი | 16 | 6 | 7 | 3 | 19:15 | 25 |
| ესტუდიანტესი | 16 | 6 | 7 | 3 | 19:16 | 25 |
| კოლონი | 16 | 6 | 5 | 5 | 23:18 | 23 |
| ურაკანი | 15 | 5 | 6 | 4 | 21:17 | 21 |
| ჩაკარიტა | 16 | 6 | 3 | 7 | 14:20 | 21 |
| უნიონი | 16 | 4 | 7 | 5 | 16:17 | 19 |
| ოლდ ბოიზი | 15 | 4 | 7 | 4 | 15:19 | 19 |
| როსარიო | 16 | 4 | 5 | 7 | 23:30 | 17 |
| ინდეპენდიენტე | 15 | 4 | 4 | 7 | 15:18 | 16 |
| ბელგრანო | 15 | 2 | 8 | 5 | 18:21 | 14 |
| ლანუსი | 15 | 3 | 4 | 8 | 17:22 | 13 |
| ლოს ანდესი | 16 | 3 | 3 | 10 | 16:35 | 12 |
| რასინგი | 15 | 1 | 8 | 6 | 10:19 | 11 |
| არგ. ხუნიორსი | 16 | 1 | 8 | 7 | 12:22 | 11 |
| ალმაგრო | 16 | 0 | 7 | 9 | 9:23 | 7 |

## მექსიკა

**ჯგუფური** ეტაპი დამთავრდა მექსიკაშიც, თუმცა სანამ მეოთხედფინალის წყვილებს მივადგებოდეთ, ჩემპიონატს სტრუქტურაზეც ვთქვათ, რომელიც მექსიკური ტელესერიალივით ჩახლართულია.

ჩემპიონატი ორ ნაწილად იყოფა — ზამთრის (პირველი ეტაპი) და ზაფხულის (მეორე ეტაპი). გამარჯვებულები ფინალურ მატჩში არკვევენ უძლიერესის ვინაობას. ახლა იქ ზამთრის, იგივე „ინვიერო" ეტაპის ჯგუფური ნაწილი დასრულდა. 18 მონაწილე ოთხ ჯგუფადაა დაყოფილი, თუმცა გუნდები სხვა ჯგუფელებთანაც თამაშობენ ერთ წრედ. მეოთხედფინალში ავტომატურად გადიან ჯგუფებში პირველადგილოსნები და სამი საუკეთესო მეორეადგილოსანი. მერვე გუნდის ვინაობა კი უარესი მეორეადგილოსანისა და საუკეთესო მესამეადგილოსანს შორის ორმატჩიანი დაპირისპირებით წყდება. ახლა ასეთები იყვნენ „მორელია" და „ირაპუატო". პირველ მატჩში „ირაპუატომ" 1:0 მოიგო, მაგრამ საპასუხო შეხვედრა 2:7 დათმო და მეოთხედფინალში „მორელია" გავიდა.

დავუმატოთ, რომ თუ ზაფხულის ეტაპიც იმავე გუნდმა მოიგო, რომელმაც ზამთრისა, საჩემპიონო ფინალი, ცხადია, საჭირო აღარ იქნება.

### პირველი ეტაპი

საბოლოო ცხრილი

I ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კრუზ ასული | 17 | 10 | 3 | 4 | 34:20 | 33 |
| ტოლუკა | 17 | 9 | 3 | 5 | 32:26 | 30 |
| მორელია | 17 | 7 | 6 | 4 | 29:24 | 27 |
| ლეონი | 17 | 4 | 6 | 7 | 27:33 | 18 |
| ატლანტე | 17 | 3 | 8 | 5 | 24:28 | 17 |

II ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატლასი | 17 | 6 | 7 | 4 | 35:29 | 25 |
| ირაპუატო | 17 | 6 | 7 | 4 | 28:26 | 25 |
| უნლ | 17 | 6 | 6 | 5 | 23:23 | 24 |
| უნამი | 17 | 5 | 4 | 8 | 24:29 | 19 |
| სელაია | 17 | 3 | 4 | 10 | 21:27 | 13 |

III ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ნეკაქსა | 17 | 8 | 4 | 5 | 29:22 | 28 |
| სანტოს ლაგუნა | 17 | 7 | 5 | 5 | 32:29 | 26 |
| მონტერეი | 17 | 5 | 5 | 7 | 23:30 | 20 |
| პუებლა | 17 | 4 | 4 | 9 | 18:29 | 16 |

IV ჯგუფი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პაჩუკა | 17 | 8 | 4 | 5 | 24:18 | 28 |
| ამერიკა | 17 | 7 | 5 | 5 | 26:23 | 26 |
| უაგ | 17 | 7 | 4 | 6 | 32:36 | 25 |
| გვადალახარა | 17 | 3 | 5 | 9 | 18:27 | 14 |

### პლეი ოფი

მორელია — ირაპუატო 7:2 (1:0)

### მეოთხედფინალის წილისყრა

კრუზ ასული — ატლასი; ტოლუკა — ამერიკა; ნეკაქსა — სანტოს ლაგუნა; პაჩუკა — მორელია

## ბრაზილია

**იმ ქაოსის** ერთ-ერთი მიზეზი, რაც ბრაზილიურ ფეხბურთში სუფევს, ისიცაა, რომ ფედერაციამ ვერაფრით მოაბა თავი ჩემპიონატის ნორმალურად ჩატარებას. წლეულს ის ჟოაო აველანჟის თასის გათამაშებამ შეცვალა, საკმაოდ უცნაური სისტემით და ყოვლად აბსურდული კალენდრით, როცა გუნდებს ყოველ მეორე-მესამე დღეს უწევდათ ქალაქიდან ქალაქში მოგზაურობა.

შეჯიბრში 116 გუნდი ჩაება, რომლებიც სამ დივიზიონად დაყვეს. პლეი ოფში პირველი დივიზიონის თორმეტი საუკეთესო გუნდი, მეორის სამი და მესამეს გამარჯვებული გავიდნენ. ამ თექვსმეტმა გუნდმა მერვედფინალური წყვილები შექმნა და ორმატჩიან ბრძოლაში არკვევს მეოთხედფინალისტთა ვინაობას. აღსანიშნავია, რომ უძლიერესთა მიღმა დარჩნენ „სანტოსი", „ფლამენგო", „ბოტაფაგო", „ატლეტიკო მინეირო" და „კორინთიანსი". განსაკუთრებით საინტერესოა ამ უკანასკნელის ამბავი — გუნდმა, რომელიც წლეულს მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონი გახდა, ბოლო ათ შეხვედრაში ცხრა წააგო და ერთიც ფრედ დაასრულა. ასეთ წარუმატებლობას მისი მწვრთნელი კანდინიო შეეწირა, რომელმაც, გეხსომებათ, ვანდერლეი ლუქსემბურგოს თანაშემწეც იყო ბრაზილიის ნაკრებში.

საკმაოდ მოულოდნელად დაიწყო პლეი ოფიც. „ფლუმინენსე", რომელიც მესამე იყო პირველ დივიზიონში, მეორედივიზიონელმა „სან საეტანომ" გამოაგდო, ხოლო მეოთხეადგილოსანი „გოიასი" ასევე მეორედივიზიონელ „პარანასთან" დამარცხდა.

### ჟოაო აველანჟის თასის I ეტაპი

საბოლოო ცხრილი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კრუზეირო | 24 | 12 | 9 | 3 | 46:27 | 45 |
| სპორტ რესიფე | 24 | 12 | 6 | 6 | 46:27 | 42 |
| ფლუმინენსე | 24 | 12 | 6 | 6 | 45:31 | 42 |
| გოიასი | 24 | 11 | 8 | 5 | 41:29 | 41 |
| ვასკუ და გამა | 24 | 11 | 6 | 7 | 36:37 | 39 |
| სან პაულუ | 24 | 10 | 9 | 5 | 46:35 | 39 |
| პონტე პრეტა | 24 | 11 | 5 | 8 | 49:37 | 38 |
| ატლ. პარანენსე | 24 | 11 | 5 | 8 | 32:28 | 38 |
| ინტერნასიონ. | 24 | 10 | 8 | 6 | 34:25 | 38 |
| გრემიო | 24 | 10 | 7 | 7 | 37:31 | 37 |
| პალმეირასი | 24 | 10 | 7 | 7 | 29:30 | 37 |
| ბაია | 24 | 10 | 6 | 8 | 32:31 | 36 |
| გუარანი | 24 | 9 | 8 | 7 | 29:29 | 35 |
| სანტოსი | 24 | 9 | 6 | 9 | 38:31 | 33 |
| ფლამენგო | 24 | 9 | 6 | 9 | 42:37 | 33 |
| ბოტაფოგო | 24 | 9 | 5 | 10 | 31:35 | 32 |
| პორტუგეზა | 24 | 9 | 5 | 10 | 34:43 | 32 |
| ვიტორია | 24 | 9 | 4 | 11 | 44:40 | 31 |
| ამერიკა | 24 | 7 | 6 | 11 | 26:35 | 27 |
| ატლ. მინეირო | 24 | 7 | 6 | 11 | 31:42 | 27 |
| ჟუვენტუდი | 24 | 7 | 5 | 12 | 27:36 | 26 |
| გამა | 24 | 6 | 4 | 14 | 22:39 | 22 |
| კურიტიბა | 24 | 5 | 6 | 13 | 26:35 | 21 |
| კორინთიანსი | 24 | 4 | 4 | 16 | 26:46 | 16 |
| სანტა კრუზი | 24 | 3 | 7 | 14 | 18:51 | 16 |

### მერვედფინალი

ბაია — ვასკუ და გამა 3:3; სან პაულუ — პალმეირასი 1:1; ფლუმინენსე — სან კაეტანო 0:1 (3:3); სპორტ რესიფე — რემო 1:0 (2:1); გოიასი — პარანა 0:3 (1:1); ატლეტიკო პარანენსე — ინტერნასიონალი 1:2 (0:0); პონტე პრეტა — გრემიო 2:1 (0:1); კრუზეირო — მალუტრომი 1:1 (3:0)



გოოოლ! ფლამენგოელმა დენილსონმა გამელ მეკარე ნილსონს გაუტანა

## მსოფლიო ...

**იტალიის** ფეხბურთის ფედერაცი[ა] „რეჯინა" — „ბრეშას" შეხვედრის ჩა[...] ლის ამბებზე იმსჯელა და განაჩენი გამ[...] იტანა: „ბრეშას" 3:0 მოგება ჩაეთვალ[...] რეჯინას სტადიონს ორმატჩიანი დის[...] ვალიფიკაცია მიეცა, ხოლო კალაბრი[...] ლი კლუბი 25 მილიონი ლირით [...] ათასი დოლარი) დაჯარიმდა.

გავიხსენოთ, რომ სერია A-ს ბოლ[...] ტურში „რეჯინას" ქომაგებმა მინდორ[...] სხვადასხვა საგნების სროლა მაშინ და[...] წყეს, როცა სტუმრებმა მეორე გოლ[...] გაიტანეს. მესამე გოლის შემდეგ გუ[...] შემატკივრები მთლად გაცოფდნენ [...] მოედანზე პლასტიკური სკამების წვიმ[...] ნიაღვარმა შეცვალა. პიერლუიჯი კოლ[...] ნაც იძულებული გახდა, გუნდები გაე[...] ვანა... მატჩის 84-ე წუთი მიდიოდა.

ადგილობრივი პოლიციის თქმით, მ[...] 16 ხულიგნის ვინაობა უკვე დაადგინ[...] და მალე დაკითხვაზეც დაიბარებენ.

ფედერაციის გადაწყვეტილების [...] მართლიანობა თითქოს ეჭვს არ უნ[...] იწვევდეს, მაგრამ „რეჯინას" პრეზიდე[...] ნტი ლილო ფოტი სხვაგვარად ფი[...] რობს. „ორმატჩიანი დისკვალიფიკაცი[ა] მეტისმეტია, ოღონდ ერთი თამაშით დ[...] ჯას ვიმსახურებდით. ბოლოს და ბოლო[ს] ჩვენ რა შუაში ვართ, მაყურებელი [...] ცეოდა ულირსად" — თქვა ფოტ[...] თუმც აპელაციის შეტანა ჯერ არ გ[...] დაუწყვეტია.

„რეჯინას" ორი მომდევნო მატ[...] მშობლიურ „გრანილოზე" 10 დეკემბერ[ს] „ვერონასთან" და 23 დეკემბერს „ვი[...] ნცასთან" უნდა გაემართა.

## იუგოსლავია

**მე-14 ტური:** ზემუნი — პარტიზანი 0:[...]; ოფკ — ჰაიდუკი 3:0; რადი — სარტიდ[ი] 3:2; ჩუკარიჩკი — ჟელეზნიკი 0:0; ცრვე[ნა] ზვეზდა — რადნიჩკი (კრაგუევაცი) 4:[...]; მილიციონარი — ნაპრედაკი 2:0; ზეტა — ბუდუჩნოსტი 3:1; ვოივოდინა — რადნიჩკი (ნიში) 3:1; სუტიესკა — ობილიჩი 1:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| პარტიზანი | 13 | 11 | 0 | 2 | 37:10 | 33 |
| ცრვენა ზვეზდა | 13 | 10 | 3 | 0 | 32:5 | 33 |
| ობილიჩი | 14 | 8 | 3 | 3 | 21:15 | 27 |
| ოფკ | 14 | 8 | 2 | 4 | 22:14 | 26 |
| მილიციონარი | 14 | 6 | 2 | 6 | 14:14 | 20 |
| სარტიდი | 14 | 6 | 2 | 6 | 18:23 | 20 |
| ჰაიდუკი | 14 | 5 | 4 | 5 | 22:13 | 19 |
| ვოივოდინა | 14 | 5 | 3 | 6 | 15:12 | [illegible] |
| ზეტა | 14 | 4 | 6 | 4 | 19:18 | 18 |
| ჟელეზნიკი | 14 | 5 | 3 | 6 | 19:24 | 18 |
| ჩუკარიჩკი | 14 | 5 | 2 | 7 | 18:26 | 17 |
| რადი | 14 | 5 | 2 | 7 | 17:24 | 17 |
| სუტიესკა | 13 | 5 | 2 | 6 | 14:24 | 17 |
| კრაგუევაჩი | 14 | 5 | 1 | 8 | 11:26 | 16 |
| ზემუნი | 14 | 3 | 6 | 5 | 14:19 | 15 |
| ბუდუჩნოსტი | 14 | 4 | 1 | 9 | 11:19 | 13 |
| ნაპრედაკი | 14 | 3 | 3 | 8 | 11:27 | 12 |
| ნიში | 13 | 2 | 3 | 8 | 11:23 | 9 |

## უნგრეთი

**მე-15 ტური:** ბაკეუ — რაპიდი 0:2; არჯეში — სტიაუა 1:1; როკარი — უნივერსიტატეა 2:0; ჩაჰლაული — გლორია 3:2; გაც მეტანი — ოცელული 0:0; ბრაშოვი — ფორესტა 3:1; პეტროლული — ნაციონალი 2:0; დინამო — პეტროლული 3:2

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| სტიაუა | 15 | 9 | 4 | 2 | 28:17 | 31 |
| პეტროლული | 15 | 8 | 3 | 4 | 21:14 | 27 |
| არჯეში | 15 | 7 | 4 | 4 | 20:18 | 25 |
| დინამო | 15 | 7 | 3 | 5 | 31:27 | 24 |
| ბრაშოვი | 15 | 7 | 3 | 5 | 12:9 | 24 |
| უნივერსიტატეა | 15 | 7 | 3 | 5 | 16:16 | 24 |
| ფორესტა | 15 | 6 | 5 | 4 | 27:25 | 23 |
| რაპიდი | 15 | 5 | 6 | 4 | 15:12 | 21 |
| როკარი | 15 | 6 | 2 | 7 | 25:28 | 20 |
| ასტრა | 15 | 5 | 3 | 7 | 16:17 | 18 |
| გლორია | 15 | 5 | 3 | 7 | 18:22 | 18 |
| ოცელული | 15 | 4 | 5 | 6 | 18:19 | 17 |
| ნაციონალი | 15 | 5 | 2 | 8 | 20:24 | 17 |
| ჩაჰლაული | 15 | 4 | 5 | 6 | 18:25 | 17 |
| ბაკეუ | 15 | 4 | 4 | 7 | 19:23 | 16 |
| გაც მეტანი | 15 | 1 | 5 | 9 | 7:15 | 8 |

## რუმინეთი

### მეორე ეტაპი

**მე-4 ტური:** ვაშაში — ტატაბანია 2:0; შოპრონი — დუნაფერი 1:2; დებრეცენი — დიორ ეტო 3:2; ვიდეოტონი — ზალაეგერსეგი 2:1; ფერენცვაროში — მტკ 0:0; ჰონვედი — უიპეშტი 2:3

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| უიპეშტი | 4 | 3 | 0 | 1 | 9:5 | 14 |
| დუნაფერი | 4 | 3 | 0 | 1 | 6:6 | 14 |
| ფერენცვაროში | 4 | 2 | 2 | 0 | 7:0 | 12 |
| ვიდეოტონი | 4 | 3 | 1 | 0 | 7:2 | 12 |
| მტკ | 4 | 1 | 3 | 0 | 5:2 | 12 |
| ვაშაში | 4 | 2 | 0 | 2 | 4:4 | 10 |
| დიორ ეტო | 4 | 2 | 0 | 2 | 6:7 | 8 |
| ტატაბანია | 4 | 0 | 1 | 3 | 3:12 | 7 |
| დებრეცენი | 4 | 1 | 0 | 3 | 7:10 | 6 |
| ჰონვედი | 4 | 1 | 1 | 2 | 8:8 | 5 |
| შოპრონი | 4 | 0 | 2 | 2 | 4:6 | 5 |
| ზალაეგერსეგი | 4 | 1 | 0 | 3 | 4:8 | 4 |

სარბიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სპორტული ლატარია "CROCO"

**ინგლისი. I დივიზიონი**

**29 ნოემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 001 | ნოტინგემი-შეფილდი | 1,85 | 3,0 | 3,8 |

**საფრანგეთი. I დივიზიონი. მე-18 ტური**

**29 ნოემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 005 | ბორდო-ბასტია | 1,5 | 3,3 | 7,0 |
| 23.00 | 006 | ლიონი-სედანი | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 23.00 | 007 | მარსელი-სენტ ეტიენი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 23.00 | 008 | ლილი-სტრასბური | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 23.00 | 009 | ტულუზი-ტრუა | 2,2 | 2,9 | 3,0 |
| 23.00 | 010 | ოსერი-მეცი | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 23.00 | 011 | ნანტი-მონაკო | 2,3 | 2,9 | 3,0 |

**საფრანგეთი, II დივიზიონი. 21-ე ტური**

**29 ნოემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 012 | კანი-აიაჩო | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 23.00 | 013 | გენიონი-ბოვუა | 1,7 | 2,9 | 5,3 |
| 23.00 | 014 | სოშო-კაენი | 1,45 | 3,4 | 7,5 |
| | 015 | სოშო-კაენი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |
| 23.00 | 016 | ლე მანი-შატორუ | 2,5 | 2,7 | 2,8 |
| 3.00 | 017 | ნანსი-კრეტეი | 1,6 | 3,0 | 6,5 |
| 3.00 | 018 | ვასკეალი-ლავალი | 2,7 | 2,7 | 2,6 |
| 3.00 | 019 | ანჟე-მარტიგი | 2,3 | 2,7 | 3,2 |
| 3.00 | 020 | ლორიანი-ნიცა | 1,35 | 3,8 | 8,0 |
| | 021 | ლორიანი-ნიცა 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 3.00 | 022 | ლე ავრი-ნიორი | 2,1 | 2,8 | 3,5 |

**30 ნოემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 3.30 | 023 | მონპელიე-ნიმი | 1,45 | 3,4 | 7,5 |
| | 024 | მონპელიე-ნიმი 0:1 | 2,0 | 3,2 | 2,3 |

**ჰოლანდია**

**29 ნოემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 3.00 | 026 | ფეიენოორდი-სპარტა | 1,2 | 5,0 | 9,0 |
| | 027 | ფეიენოორდი-სპარტა 0:1 | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 3.00 | 028 | ჰერენვენი-ალკმაარი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 3.00 | 029 | როზენდალი-ბრედა | 2,6 | 2,8 | 2,5 |

**30 ნოემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 3.15 | 030 | აიაქსი-ვალვაიკი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 031 | აიაქსი-ვალვაიკი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |

**ჩეხეთი**

**29 ნოემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 9.30 | 032 | ბრნო-ჟიჟკოვი | 2,0 | 3,0 | 3,5 |

**30 ნოემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 9.30 | 033 | სიგმა-ბუდეიოვიცე | 1,4 | 3,6 | 6,5 |

**შოტლანდია. მე-18 ტური**

**29 ნოემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 3.45 | 036 | დანფერმლაინი-ჰართსი | 2,5 | 3,0 | 2,4 |
| 3.45 | 037 | ჰიბერნიანი-სელტიკი | 3,6 | 3,1 | 1,9 |
| 3.45 | 038 | მოზერუელი-სენტ მირენი | 1,55 | 3,4 | 5,6 |

**ავსტრია**

**29 ნოემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 1.00 | 039 | ზალცბურგი-ტიროლი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 2.30 | 040 | რაპიდი-რიდი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| | 041 | რაპიდი-რიდი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 3.00 | 042 | შტურმი-გრაცერი | 1,8 | 3,1 | 4,0 |

**გერმანია. თასის 1/8 ფინალი**

**29 ნოემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 2.30 | 046 | შტუტგარტი-ჰანოვერი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 2.30 | 047 | მიონხენგლადბახი-ნიურნბერგი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 2.30 | 048 | ფრაიბურგი-ლევერკუზენი | 3,1 | 3,0 | 2,2 |
| 2.30 | 049 | მიუნხენ 1860-ბოხუმი | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 3.30 | 050 | შალკე-დორტმუნდი | 2,0 | 3,1 | 3,4 |

**ინგლისი. ლიგის თასის 1/8 ფინალი**

**29 ნოემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 056 | სიტი-უიმბლდონი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 23.45 | 057 | ბირმინგემი-ნიუკასლი | 2,5 | 3,1 | 2,4 |
| 23.45 | 058 | ვესტ ჰემი-უენსდი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 23.45 | 059 | სტოკი-ლივერპული | 5,6 | 3,4 | 1,55 |
| 23.45 | 060 | ფულემი-დერბი | 1,8 | 3,1 | [illegible] |

**იტალია. თასის 1/4 ფინალი. I მატჩები**

**29 ნოემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.45 | 062 | ლაციო-უდინეზე | 1,5 | 3,3 | 7,0 |
| 23.45 | 063 | პარმა-ინტერი | 2,0 | 2,9 | 3,6 |

**30 ნოემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 24.00 | 064 | ფიორენტინა-ბრეშა | 1,5 | 3,3 | 7,0 |

**ბელგია. თასის 1/8 ფინალი**

**29 ნოემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.00 | 066 | სტანდარდი-ლოკერენი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 23.00 | 067 | ვესტერლო-ბევერენი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 23.00 | 068 | ბეერსხოტი-ინგელმუნსტერი | 1,3 | 4,0 | 7,5 |

**თურქეთი. თასის მე-3 ეტაპი**

**29 ნოემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 070 | ფენერბაჰჩე-იეთფა | 1,1 | 6,0 | 12,0 |

**უეფას თასი. I მატჩი**

**30 ნოემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.30 | 502 | რეინჯერსი-კაიზერსლაუტ. | 1,9 | 3,0 | 3,8 |

**კალათბურთი. ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი მატჩები**

**29 ნოემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 801 | სლოვაკეთი-უნგრეთი | 1,8 | 12,0 | 1,6 |
| 21.00 | 802 | ბალარუსი-საბერძნეთი | 5,0 | 12,0 | 1,05 |
| 21.00 | 803 | უკრაინა-ბელგია | 1,3 | 12,0 | 2,5 |
| 21.15 | 804 | პოლონეთი-ესტონეთი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 22.00 | 805 | ისლანდია-სლოვენია | 5,0 | 12,0 | 1,05 |
| 22.00 | 806 | შვედეთი-ბულგარეთი | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 22.00 | 807 | ავსტრია-ჩეხეთი | 2,3 | 12,0 | 1,35 |
| 23.00 | 808 | პორტუგალია-მაკედონია | 5,0 | 12,0 | 1,05 |
| 23.00 | 809 | ჰოლანდია-ბოსნია | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 23.00 | 810 | ფინეთი-ისრაელი | 3,5 | 12,0 | 1,1 |
| 23.30 | 811 | ინგლისი-ლატვია | 1,7 | 12,0 | 1,7 |
| 23.30 | 812 | შვეიცარია-ხორვატია | 3,0 | 12,0 | 1,15 |

**კალათბურთი**

**29 ნოემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 822 | ფილადელფია-ვაშინგტონი | 1,1 | 12,0 | 5,0 |
| 04.30 | 823 | შარლოტი-ტორონტო | 1,45 | 12,0 | 2,1 |
| 04.30 | 824 | დეტროიტი-ნიუ ჯერსი | 1,45 | 12,0 | 2,1 |
| 04.30 | 825 | ორლანდო-იუტა | 2,3 | 12,0 | 1,4 |
| 05.00 | 826 | მინესოტა-დენვერი | 1,3 | 12,0 | 2,8 |
| 05.00 | 827 | ნიუ იორკი-მაიამი | 1,35 | 12,0 | 2,5 |
| 05.30 | 828 | სან ანტონიო-საკრამენტო | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 07.00 | 829 | ვანკუვერი-ფინიქსი | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| 07.30 | 830 | კლიპერსი-გოლდენ სტეიტი | 1,5 | 12,0 | 2,0 |

**30 ნოემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.30 | 831 | ატლანტა-ჩიკაგო | 1,4 | 12,0 | 2,3 |
| 05.00 | 832 | მილუოკი-ბოსტონი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 06.00 | 833 | დენვერი-ჰიუსტონი | 1,5 | 12,0 | 2,0 |
| 07.00 | 834 | პორტლენდი-დალასი | 1,25 | 12,0 | 3,1 |
| 07.00 | 835 | სიეტლი-ლეიკერსი | 2,5 | 12,0 | 1,35 |
| 07.30 | 836 | გოლდენ სტეიტი-ინდიანა | 2,1 | 12,0 | 1,45 |

**ჰოკეი**

**29 ნოემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 907 | ვაშინგტონი-ტამპა ბეი | 1,7 | 4,0 | 2,6 |
| 04.00 | 908 | კოლუმბუსი-ფილადელფია | 2,9 | 4,0 | 1,6 |
| 04.30 | 909 | ტორონტო-სენტ ლუისი | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 04.30 | 910 | ნიუ ჯერსი-რეინჯერსი | 1,8 | 4,0 | 2,4 |
| 04.30 | 911 | ატლანტა-დეტროიტი | 2,6 | 4,0 | 1,7 |
| 04.30 | 912 | ფლორიდა-კაროლინა | 2,0 | 4,0 | 2,2 |
| 05.30 | 913 | დალასი-კალგარი | 1,35 | 4,0 | 5,0 |
| 06.00 | 914 | კოლორადო-ფინიქსი | 1,6 | 4,0 | 2,9 |
| 06.00 | 915 | ედმონტონი-მონრეალი | 1,5 | 4,0 | 3,4 |

**30 ნოემბერი**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 04.00 | 916 | კაროლინა-ფილადელფია | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 04.30 | 917 | აილენდერსი-ტორონტო | 2,4 | 4,0 | 1,8 |
| 05.30 | 918 | ჩიკაგო-ნეშვილი | 2,1 | 4,0 | 2,1 |
| 06.00 | 919 | ფინიქსი-მინესოტა | 1,4 | 4,0 | 4,2 |
| 07.00 | 920 | ვანკუვერი-მონრეალი | 1,45 | 4,0 | 3,6 |
| 07.30 | 921 | სან ხოსე-ანაჰაიმი | 1,55 | 4,0 | 3,0 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# დერბი იქაც სანახაობაა

27 ნოემბერი

**კლიპერსი 83:98 ლეიკერსი**

კლიპერსი: მაკინისი (20), ოდომი (16)
ლეიკერსი: ბრაიანტი (29), ონილი (16 ქულა, 6 დაფარება)

**ნიუ იორკი 97:72 ვანკუვერი**

ნიუ იორკი: რაისი (23), ჰიუსტონი (22), სპრიუელი (18)
ვანკუვერი: ბიბი (17), რივზი (16)

**ორლანდო 95:104 მილუოკი**

ორლანდო: გარიტი (21), მილერი (20), არმსტრონგი (16)
მილუოკი: ალენი (23), რობინსონი (21), ტომასი (18)

ჩემპიონი „ლეიკერსი“ მიმდინარე სეზონში ძველებურად ველარ ბობოქრობს, მისი თანაქალაქელი „კლიპერსი“ კი უფრო მოძლიერებული ჩანს, ვიდრე ბოლო სამ სეზონში. ალბათ ამან თუ შემატა ინტრიგა ლოსანჯელესური გუნდების პაექრობას და მათ შინაურ სარბიელ „სტეიპლზ სენთერსაც“ ამიტომ მიაწყდა ათასობით გულშემატკივარი. ძნელი სათქმელია, ლოსანჯელესური დერბის სანახავად ერთ დარბაზში ოცი ათასი ქომაგი ბოლოს როდის შეგროვდა. 27 ნოემბერს კი ორმა ათეულმა ათასმა მაყურებელმა მთლიანად შეავსო დარბაზი და ლია, სანახაობრივი თამაშიც იხილა. რაც შეეხება გამარჯვებულს, ბევრს არ ეეჭვებოდა, რომ ის ჩემპიონი იქნებოდა, მით უმეტეს, „კლიპერსს“ ბოლო ოთხი წელია, „უფროსი მეგობრისთვის“ არ მოუგია.

ფავორიტებმა შეხვედრა ოდნავ ინერტულად დაიწყეს, როგორც ჩანს, თავიანთი იოლი გამარჯვებისა სჯეროდათ, მაგრამ როცა პირველი მეოთხედი 21:23 წააგეს, იკადრეს ხელ-ფეხის განძრევა. ჩემპიონური მანქანა ჩვეულად ათამაშდა და სხვაობაც, მართალია, არცთუ სწრაფად, მაგრამ მაინც გაიზარდა. წინა სეზონის უძვირფასესი მოთამაშე შაკილ ონილი ძველებურად ველარ ყოჩაღობს, ფარებს ველარ გლეჯს და ეს მისი გუნდის შედეგებზეც აისახება. მან ვერც ამჯერად გაილაღა, თუმც ეს უფრო საკუთარ თავს უნდა დააბრალოს, ვიდრე მეურვეებს. შაკმა უამრავი იოლი სროლა ააცილა, რამაც მის გუნდს გვარიანად გაურთულა იოლი ამოცანა — უხეირო მეტოქის ადრეულად გატეხა. როცა შაკილ ონილს თამაში არ მოსდის, როგორც წესი, კობი ბრაიანტი მიუძღვის თავისიანებს და ასე იყო ამჯერადაც. ბრაიანტმა ქომაგებს ლამაზი წამები აჩუქა და ქულებიც საკმაოდ მიითვალა, ნამატჩევს კი ერთგვარად თავი იმართლა, გვეგონა, მაგათ ცალი ხელით მოვუგებდით, მაგრამ წინააღმდეგობას წავაწყდით და იძულებულები გავხდით, ოფლი მოგვედინაო. დიახ, „ლეიკერსმა“ იკადრა ათამაშება, რადგან არ სურდა, „კლიპერსთან“ შერცხვენილიყო.

„ორლანდო მეჯიქმა“ სეზონი ამბიციამოძალებულმა დაიწყო და ატლანტიკის დივიზიონში პირველობა განიზრახა. ფლორიდელებს ორი ახალწვეულის — გრანტ ჰილის და ტრეისი მაკგრეიდის, რამდენიმე პერსპექტიული ახალბედას და მწვრთნელ დოკ რივერსის იმედი ჰქონდათ, რომელიც წინა სეზონში კოლეგთა შორის საუკეთესოდ აღიარეს, მაგრამ დღეს „ორლანდომ“ მწარე რეალობას უნდა გაუსწოროს თვალი: ჰილი და მაკგრეიდი ტრავმებს იშუშებენ, ახალბედებმა ვერ იკარგეს, დოკ რივერსს კი წყალი აქვს შეყენებული.

შინაურ კედლებში „მილუოკისთან“ მარცხი „ორლანდოსთვის“ ბოლო შვიდი თამაშიდან მეექვსე იყო. მასპინძლებმა სრულიად უიმედოდ წააგეს „მილუოკისთან“, რომელსაც დღეს ნამდვილად არ ულხინს და იშვიათად იგებს. მატჩის დროს „მეჯიქს“ გულშემატკივართა რისხვა დაატყდა თავს, ნამატჩევს კი — მედიის კრიტიკის ქარცეცხლი. უნდა ითქვას, რომ ფლორიდელები ამას სავსებით იმსახურებენ. „მილუოკის“ მანამდე ზედიზედ ოთხჯერ წაეგო, ახლა კი სულ იოლად გაუმკლავდა მეტოქეს. სტუმრები უკვე პირველი ტაიმის შემდეგ 18 ქულით იგებდნენ და რომ შეიტყვეს, „ორლანდო“ მატჩის შემომბრუნებელი არ იყო, მოეშვნენ და შეხვედრის დინებას მიჰყვნენ. მასპინძლებმა დიდი სხვაობით რომ არ წააგეს, თავიანთ სათადარიგოს, პეტ გარიტის უნდა უმადლოდნენ, რომელმაც ბოლო მეოთხედში 17 ქულა გაახერხა და გვარიანად შეამცირა სხვაობა, თუმც „ორლანდოსთვის“ ეს რა შეღავათია.

აღმოსავლელმა ბობოლამ, „ნიუ იორკმა“ შინ იოლად დასცა დასავლელი აუტსაიდერი „ვანკუვერი“. ამაში გასაკვირი არაფერია. ერთგვარი მოულოდნელობა ის გახლავთ, რომ „ნიუ იორკის“ სამივე ლიდერმა — ჰიუსტონმა, რაისმა და სპრიუელმა ერთდროულად ითამაშა რიგიანად. ამ უკანასკნელმა დაცვაშიც ივარგა და მეტოქეთა ლიდერი, სიდნეის ოლიმპიადის ჩემპიონი შარიფ აბდურ-რაჰიმი ამოკეტა. შარიფმა თამაში 10 ქულით დაამთავრა, რაც 12 ქულით ნაკლებია მის საშუალო შედეგიანობაზე.

**ირაკლი ფირაშვილი**



კლიპერსი — ლეიკერსი. შაკილ ონილი (ბურთით) კლიპერსელი მაიკლ ოლოვოკანდის წინააღმდეგ



სედრიკ სებალოსი

# სმიტმა სებალოსი ჩაანაცვლა

**რამდენიმე** დღის წინ „დეტროიტ პისტონზმა“ თავისუფალი აგენტი ჯო სმიტი შეიმატა. შეგახსენებთ, რომ სეზონის დაწყებამდე სმიტი და მისი გუნდი „მინესოტა ტიმბერვულვზი“ საიდუმლო კონტრაქტის დადებაში ამხილეს და ლიგის მამის, დევიდ შტერნის რისხვა დაიტეხეს თავს. სმიტი იმით დაისაჯა, რომ მას ძველ კლუბთან კონტრაქტი გაუუქმეს და საკონტრაქტო შეზღუდვაც დაუწესეს.

„მინესოტასგან“ განშორებულმა სმიტმა ცოტა ხანს მოიცადა და ახლა იგი „დეტროიტის“ ღირსებას დაიცავს. „ჩვენ გვჭირდება ჯო — ამბობს მისი სეხნია დუმარსი, ძირძველი დეტროიტელი, რომელიც ახლა კლუბის გენერალური მენეჯერია — სმიტის სიმაღლე და ნიჭი ჩვენ ფარქვეშ შექმნილი პრობლემების მოგვარებაში დაგვეხმარება. მე ველაპარაკე ჯოს და მან თქვა, რომ ბედნიერია მის გარშემო შექმნილი აჟიოტაჟის დასასრულით და იმედი აქვს, რომ ჩვენ გუნდს პლეი ოფში გასვლაში დაეხმარება.“

208-სანტიმეტრიან სმიტს შეუძლია, თავის ნიჭს ახალ გუნდში დიდი გასაქანი მისცეს, რადგან „პისტონზი“ ხეირიანი მაღლების დიდ ნაკლებობას განიცდის. სმიტი ამპლუით თავდამსხმელია, თუმც გაჭირვებისას ცენტრობაც გაუწევია. იგი 1995 წლის დარფტის პირველი ნომერია და ნბა-ში თავის მეექვსე სეზონს რიგით მეოთხე გუნდში ეგებება. ხშირმა მოგზაურობამ თავისი შესაძლებლობების ბოლომდე გამოვლენაში ხელი შეუშალა. მისი შედეგიანობა თამაშში საშუალოდ სულ 14,5 ქულას და 7,5 მოხსნას შეადგენდა, რაც მრავალთა აზრით ამგვარი მოთამაშესთვის ძალიან ცოტაა.

სმიტის აყვანასთან ერთად „დეტროტმა“ დანაკლისიც განიცადა. უხეირო თამაშისთვის ჯერ გააკრიტიკეს, შემდეგ კი გაცვალეს ვეტერანი ფრთა სედრიკ სებალოსი. „დეტროიტმა“ იგი „მაიამის“ დაუთმო მომდევნო დრაფტის მეორე წრის არჩევნის უფლებაში. ეს კი იმას ნიშნავს, რომ „მაიამიმ“ სებალოსი ფაქტობრივად მუქთად იშოვა. 201-სანტიმეტრიანი სებალოსის უმთავრესი ნაკლი მისი არასტაბილურობაა, რის გამოც ყველა იოლად ელევა. მან ხუთ გუნდში თამაში მოასწრო და მაინც მატჩში საშუალოდ 14,6 ქულას და 5,5 მოხსნას აკეთებდა.

„მაიამისთვის“ იგი პირდაპირ მისწრებაა. ფლორიდელები ახლა ერთობ მძიმე დღეში არიან და თუ სებალოსმა აქ უფრო უკეთესად ითამაშა, ვიდრე „დეტროიტში“, „მაიამი“ მძლავრ სათადარიგოს შეიძენს.

# ვესტფოლი სტეფანიას გზას გაუშვენ

**ისტორია** განმეორდა, „სიეტლ სუპერსონიქსის“ აწ უკვე ყოფილი თავკაცის პოლ ვესტფოლის სამწვრთნელო კარიერის სიეტლური ეტაპი ზუსტად ისევე დასრულდა, როგორც რამდენიმე წლის წინ ფინიქსური. „სუპერსონიქსის“ ცუდი სტარტით გაგულისებულმა კლუბის მამებმა გუშინწინ ვესტფოლს კარისკენ მიუთითეს, გუნდი კი მის ასისტენტს, „სონიქსის“ ყოფილი მოთამაშე ნეიტ მაკმილანს ჩააბარეს.

სეზონის დაწყებამდე „სიეტლში“ პატრიკ იუინგი მივიდა და მოლონიერებულ „ზებგერითებს“ მამებმა უფრო მაღალი მიზნები დაუსახეს, ვიდრე წინა სეზონში. ხელმძღვანელობა უხეირო სტარტმა დააფრთხო და როგორც უმრავლეს შემთხვევაში ხდება, განტევების ვაცად მწვრთნელი იქცა. დღეს იგი უმუშევარია, ისევე როგორც „სიეტლში“ მოსვლამდე. ხელმძღვანელობამ მწვრთნელის გაშვების მთავარ მიზეზად ბევრი იოლი შეხვედრის წაგება დაასახელა, მაგრამ მიუხედავად იმისა, რომ ყველა გულმოდგინედ ცდილობდა, გუნდის „სამზარეულოში მოთუხთუხე“ ამბების დამალვა მაინც არ მოხერხდა. დღეს ცნობილია, რომ ვესტფოლის გაშვების ერთ-ერთი მიზეზი გუნდის ლიდერ გერი პეიტონთან მისი უთანხმოებაა. „ფეხებზე მკიდია ეს თამაში და მის მოსაგებად ხელს არ გავანძრევ, თუნდაც კლუბმა ამისთვის მთელი სეზონის დისკვალიფიკაციით დამსაჯოს“ — მიუხლია პეიტონს ვესტფოლისთვის, როცა ამ უკანასკნელს „საკრამენტოსთან“ შეხვედრისას მისგან უფრო მონდომებით თამაში მოუთხოვია. გენერალური მენეჯერი ვალი ვოლკერი ასეც მოიქცა, გუნდის ლიდერს დისკვალიფიკაცია მისცა, მხოლოდ ერთმატჩიანი. თუმც რამდენიმე საათის შემდეგ გააუქმა, რადგან პეიტონმა იკადრა, ბოდიში მოეხადა. არც ამის შემდეგ განიმუხტა დაძაბულობა, პირიქით, ამ ბოლო დღეებში მდგომარეობა აუტანელი გახდა და ყველაფერი ვესტფოლის გაშვებით დასრულდა. არადა, ორი კვირის წინ, როდესაც ვესტფოლმა თავად ითხოვა გადადგომა, მოთამაშეებმა, პეიტონის მეთაურობით მისი დარჩენა მოითხოვეს. მწვრთნელი დარჩა, ხელები დაიკაპიწა და შეგირდებს უფრო მონდომებით თამაში მოსთხოვა. აქ კი პეიტონის წინააღმდეგობას გადააწყდა.

პეიტონის ვარსკვლავური ავადმყოფობა შეჰყრია, გუნდში უდიდესი წონა აქვს და ყველას თავის ქეიფზე ატარებს. ამის გამო მანამდე მას თანაგუნდელ ვინ ბეიკერთანაც მოუვიდა უთანხმოება. თავის დროზე მან რბილი ხასიათის მქონე ვესტფოლის გუნდში დარჩენა იმიტომ მოინდომა, რომ ძველებურად თავის ჭკუაზე ევლო, თუმც ვესტფოლმა დაცვაში თამაშისკენ და მეტი გარჯისკენ მოუწოდა, რაც პეიტონმა მოედანზე პირადი თავისუფლების დაკარგვად აღიქვა. საერთოდ მას კარგი დამცველის სახელი აქვს, თუმც ვესტფოლის ხელში მან, როგორც დაცვის ოსტატმა, ბევრად მოუკლო. ერთხელ სულაც თქვა: „ნურავინ იფიქრებს, თამაშების მოსაგებად რამეს გავაკეთებ, მე უბრალოდ სიამოვნებისთვის ვთამაშობ“. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ვესტფოლის გაშვება მთავარი ამრევის გერი პეიტონის ბრალია. კლუბის მამები მწვრთნელს უფრო იოლად შეელივნენ, ვიდრე ლიდერს.

რაც შეეხება ახალ მწვრთნელ ნეიტ მაკმილანს, იგი



პოლ ვესტფოლი

გუნდს ამ ორშაბათიდან ჩაუდგა სათავეში. მან მთელი თავისი სპორტული კარიერა „სიეტლს“ შესწირა და გუნდის ერთგულებისთვის „მისტერ სონიქსიც“ შეარქვეს. მაკმილანმა აქ თორმეტი სეზონი ითამაშა და გუნდის ისტორიაში საუკეთესო მეპასე და ჩამჭრელი შეიქნა. 1998 წელს, როცა თამაშს თავი დაანება, მადლიერმა კლუბმა მუდმივი ნომერი უბოცა. ეს იმას ნიშნავს, რომ ათნომრიანი მაისურით, რომელსაც იგი 12 წელი ატარებდა, „სუპერსონიქსში“ ვერავინ ითამაშებს.

როგორ მოახერხებს ნეიტ მაკმილანი წახდენილი საქმის გამოსწორებას, არავინ უწყის. თავის დროზე იგი პეიტონის შემცვლელი იყო და ახლა გერის საბაბი ექნება, მას ზე- დან უყუროს მაშინ, როცა „სიეტლს“ ახლა მკაცრი რკინისნერვებიანი მწვრთნელი სჭირდება. ისე, მაკმილანმა მოსვლისას ახალი არაფერი უთქვამს, პირველ რიგში და- ვაში უნდა გავამკაცროთ თამაშიო. მას კარგად ახსოვს „სიეტლის“ ვესტფოლამდელი წლები, როცა გუნდი ს- რედ ამ კომპონენტში სჯაბნიდა მეტოქეებს და 1996 წელს ფინალშიც გავიდა. სხვათა შორის, იმ სეზონში გერი პეი- ტონი საუკეთესო დამცველად აღიარეს.

აღსანიშნავია, რომ პოლ ვესტფოლი ნბა-ს ერთადერთი მწვრთნელია, რომლის ხელმძღვანელობითაც ვლადიმერ სტე- ფანიას უთამაშია. იგი და ქართველი ერთდროულად, 1 წელს, მივიდნენ „სიეტლში“. ვესტფოლმა იქ ვოვაზე ... ნახევრით მეტი დაჰყო. ვესტფოლი 1992-95 წლებში „ფი- ნიქსს“ წვრთნიდა და 1993 წელს ნბა-ს ფინალში გაიყვანა.

**ივანე ძოგიაშვილი**

## საქართველოს ჩემპიონატი

# ...ოსეშვილმა აკოლაშვილს თავი აკოვნინა

**11 ტური**

28 ნოემბერი. ვერის ბაღი

**თსუ 80:98 დინამო**

...1, 23:27, 17:23, 25:27
...: ი. ბერიშვილი (4), მაისურაძე (17), ...ურიანი (6), ახალკაცი (18), მაჭარა...(7); ზანგურაშვილი, არსიაშვილი (11), ... მარკოიშვილი (15), ზამთარაძე (2)
...ამო: თორთლაძე (24), ნინოშვილი (3), ...კოლაშვილი (28), კონჯარია (2), არა...ელიანი; ჩავლეიშვილი (11), ნინიაშვი...ლი (21), აბულაძე (9)
...ავები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერე...შვილი
...მისარი: როლანდ ხომერიკი

**გიორგი ბიკაშვილი**

**...წარედ** მოტყუვდა, ვინც პირველ ...ში „დინამოსთან" თსუ-ს დამარც-...ა შემთხვევითობად აღიქვა. ლევან ...შვილის „დინამო" დიახაც, რომ ...ბს ზაზა ზამთარაძის თსუ-ს, რაც ...ან კიდევ ერთხელ დადასტურდა. ...მატჩი, რომელიც კვირას უნდა გამა-...ულიყო და უშუქობის გამო ჩაიშა-... სწორედ გუშინ შედგა და კვლავაც ...შვილის სამწყსოს გამარჯვებით და-...ულდა. ამ მოგებით „დინამომ" მნიშ-...ლოვნად წაიწია წინ, სატურნირო ...მარეობა გაიუმჯობესა და ბევრი-... ნაადრევად ჩამოწერილმა ექვსეუ-... მყარად დაიმკვიდრა ადგილი. ...რადა, ფავორიტად სტუდენტური გუ-... მიიჩნეოდა და გულშემატკივარიც ...მის მოლოდინით გამსჭვალული-...ვულიყვეს საფუძვლად ისიც ედო, ... წრეებს შორის პერიოდში „დინა-... ორი წამყვანი კალათბურთელი, ...შენგელია და ირაკლი კეიდია და-...სანაცვლოდ მოსეშვილის გუნდმა ...ოდან" დავით აკოლაშვილი გად-..., მაგრამ ყოფილ კლუბში მუდ-...ს თადარიგოებში მყოფი აკოლა-...ის დამატებას დინამოელთა დანა-კარგის სრულფასოვან კომპენსაციად თითქმის არავინ მიიჩნევდა.

საპირისპირო რამ კი მოხდა: შენგელიას „აზოტში" წასვლის შემდეგ „დინამოში" დარჩენილ მაღლებს ხელ-ფეხი გაეხსნათ, დავით აკოლაშვილი კი ისე შეეწყო ამ გუნდის უკანა ხაზს, თითქოს „დინამოში" ჭიპი ჰქონდეს მოჭრილი.

მატჩის დებიუტშივე სამი ქულით დაწინაურებულ თსუ-ს სწორედ აკოლაშვილმა გაუთანაბრა ზუსტი სამქულიანით. ამის მერე თამაში ქულა-ქულაში გაჩაღდა, თუმც ესთეტიკური თვალსაზრისით შეხვედრა ვერაფერი სანახავი იყო. ორივე გუნდის კალათბურთელები ბევრს სცოდავდნენ, რაც მწვრთნელებს აიძულებდა, შეცვლებისთვის მიემართათ, თუმც მეტოქეები ქულებს უმეტესად საჯარიმოებით აგროვებდნენ. „დინამო" პირველი მეოთხედის მიწურულს ერთიორად გააქტიურდა, მას შემდეგ, რაც თსუ-ს თავკაცმა ზაზა ზამთარაძემ შიო ხეცურიანის ნაცვლად გოჩა არსიაშვილს დაავალა დავით თორთლაძის გაუვნებლება. ამით თორთლაძეს ფრთები არ შესხმია, მაგრამ მეტოქის უკანახაზელზე მიმაგრებული არსიაშვილის სახით თსუ-მ ფარქვეშ დიდი ძალა მოიკაკლისა. იქვე ზაზა ზამთარაძემ ტექნიკური შენიშვნა დასტყუა სეხნია მსაჯ მაჩალაძეს და ამის წყალობით „დინამო" ექვსი ქულით მოსწყდა მეტოქეს — 21:15.

მეორე მეოთხედის დასაწყისში ახლა ლევან მოსეშვილი დაისაჯა მსაჯთაგან ტექნიკურით, მაგრამ ამას სერთო სურათზე გავლენა არ მოუხდენია. თორთლაძეს სამქულიანის შემდეგ თსუ-მ ზონური დაცვაც მოიშველია, მაგრამ უმალ აკოლაშვილმა გაარღვია სტუდენტური ჯებირი — მეტოქე მორიგი სამიანით დასაჯა და ზონურ თავდაცვაზე ხელი აალებინა.

თორთლაძე-აკოლაშვილის დუეტის გარდა, დინამოელთაგან ჩავლეიშვილი და ნინიაშვილიც ფხიზლობდნენ. ეს ბიჭები ფარქვეშ არაფერს უთმობდნენ მეტოქის ნაცად, ახალკაც-მაჭარაძის ტანდემს და ტაიმის დამთავრებამდე 2 წუთით ადრე „დინამო" 18 ქულით გაექცა თსუ-ს — 45:27. ეგაა, მერე სტუდენტური გუნდიც გამოერკვა, დარჩენილ დროში 8 ქულა გაქვითა და მოწინააღმდეგის ტაიმის 10 ქულით მოგება აკმარა.

მატჩი, რომელიც სცენარით ძალიან ჰგავდა „აზოტი"-სტუ-ს სულ ბოლო დაპირისპირებას, კვლავაც დინამოელთა კარნახით გაგრძელდა. შესვენების შემდეგ თორთლაძისა და აკოლაშვილის სამქულიანების მორიგი თავსხმა დაატყდათ თავს სტუდენტებს და 16 ქულით ჩამორჩენილები ბოლო მეოთხედში ვა-ბანკზე წავიდნენ. თსუ-მ როგორც იქნა, ფარი დაიპყრო, რაც შედეგზეც აისახა — არსიაშვილის გარღვევის შემდეგ ზამთარაძის გუნდი მოსეშვილისას 9 ქულამდე მიუახლოვდა — 69:78. დინამოელმა ლადო აბულაძემ ზუსტი სამქულიანით ოდნავ განმუხტა სიტუაცია, მაგრამ მარცხს ცოცხალი თავით არ ურიგდებოდნენ სტუდენტები და უკანასკნელ ძალებს იკრებდნენ. თსუ-ს ქომაგებს მოგვიანებით კიდევ ერთხელ გაუჩნდათ შეხვედრის სათავისოდ შემობრუნების იმედი, მაგრამ დავით აკოლაშვილმა მოწინააღმდეგის ბანაკი მალევე დაადუმა — ერთ წუთში ორი სამიანი ჩააგდო და სტუდენტობა ფაქტის წინაშე დააყენა.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბასკო | 10 | 10 | 0 | 1021:698 | 20 |
| აზოტი | 10 | 8 | 2 | 807:685 | 18 |
| მაკაბი | 10 | 6 | 4 | 897:826 | 16 |
| სტუ-ჯეოსელი | 10 | 6 | 4 | 952:893 | 16 |
| დინამო | 10 | 4 | 6 | 871:893 | 14 |
| თსუ | 10 | 4 | 6 | 754:903 | 14 |
| შევარდენი | 9 | 4 | 5 | 713:773 | 12 |
| ვითა-სტუ 2 | 9 | 2 | 7 | 731:899 | 11 |
| სსუ | 10 | 0 | 10 | 695:971 | 10 |

შევარდენს დაკლებული აქვს 1 ქულა

## ევროპული ამბები

### საფრანგეთი

# მურეშანის მეორე დაბრუნება




გეორგე მურეშანი (№77)

**რუმინელმა** კალათბურთელმა გეორგე მურეშანმა (230 სმ) ორშაბათს ფრანგულ „პო ორტეზთან" კონტრაქტს მოაწერა ხელი. როგორც კლუბის ოფიციალური კომუნიკე იუწყება, მურეშანი „პო ორტეზში" სეზონის ბოლომდე დარჩება.

29 წლის სპორტსმენი ბოლო დრომდე ნბა-ში გამოდიოდა, თუმცა რამდენიმე ხნის წინ ფეხის ტრავმა მიიღო და ამის გამო თურმე „ნიუ ჯერსისგან" განთავისუფლებულა კიდეც. მურეშანი პრო A-ში უკვე ხვალვე მიეხმარება პოელებს, რომლებიც მორიგ ტურში „ევრეს" სტუმრობენ.

დაახლოებით ორი კვირის წინ რუმინელ გოლიათს ბეარნული კლუბის პრეზიდენტ პიერ სეიანისთვის გუნდთან ერთად ვარჯიშის უფლება უთხოვია, რათა, მისივე თქმით, ტრავმის მერე ბურთი ძველებურად ეგრძნო და თანხმობა მიუღია. იგი „პო ორტეზში" ახალბედა ნამდვილად არაა, რადგან ამერიკაში წასვლამდე, რვა წლის წინ მთელი სეზონი იცავდა მის ღირსებას.

„ჯერჯერობით ამაზე ლაპარაკი არ არის" — თქვა 14 ნოემბერს „პო ორტეზის" ერთ-ერთმა ხელმძღვანელმა, როცა მას მურეშანის გუნდში აყვანაზე ჰკითხეს. მას შემდეგ კი საკითხი კიდეც წამოიჭრა და კიდეც გადაიჭრა. „ჩვენ მასთან ხელი მოვაწერეთ კონტრაქტს, რომელსაც ვადა სეზონის ბოლოს გაუვა. სანამ მურეშანი ნბა-ს რომელიმე გუნდთან ახალი ხელშეკრულების დადებას შეძლებს, მანამდე მან უქმად ჯდომა არ ისურვა. ამიტომაც უკვე ხუთშაბათს ვათამაშებთ" — განაცხადა „პო ორტეზის" სპორტულმა დირექტორმა ჟერარ ბუსკარელმა სახელდახელო პრესკონფერენციაზე.

ასე რომ, პოელ ქომაგებს, რომლებმაც დიდი ოვაცია მოუწყვეს რუმინელს, როცა მან „შოლეს" სტუმრობისას (19 ნოემბერი) სიმბოლურად შეიტანა ბურთი თამაშში, ახლა ისევ ექნებათ შესაძლებლობა, გეორგ მურეშანს ტაში კარგი თამაშისთვისაც დაუკრან.

**გაიოზ თალაკვაძე**

## ევროპის ჩემპიონატი 2001

### შესარჩევი ეტაპი. VII ტური. 25 ნოემბერი

### A ჯგუფი

**ინგლისი 74:62 სლოვაკეთი**

...ლისი: ბეიკერი (3), ბეტსი (10), ბაკნე...ი (19), ჯორსი (8), გარდინერი (6), ჰა...ელი (4), ჰესლემი (2), ჰიუგინსი (20), ...იტი (2), ვილიამსი
...ვაკეთი: ბოჰუნიცკი (8), კრამერი (11), ...ჰუდა (6), პრაჟნოვსკი (12), სნოპკო, ...სკა, შტეცი (7), სვიტეკი (5), ვიმერი ...)

**ლატვია 92:67 შვეიცარია**

...ტვია: ბაგაცკისი (21), სიპრუსი, შელ...ანსი (1), ლაკსა (5), მელნიკსი, რ. მიგ...ინიეკსი (9), შტელმახერსი (27), ვალ...ერსი (4), ვეკშაგარსი (9), ვიტოლსი ...)
...ეიცარია: ბორტერი (3), ჩერეზა (6), ფე...რნანდესი, ჟაკიე (3), კოლერი (6), მრა...ეკი (26), ოეჰენი, პოლიტი (10), სასე...ი (8), ვალისი (5)

**ხორვატია 79:58 უნგრეთი**

...რვატია: კრსტიჩი (4), მამიჩი (6), მარ...ელიჩი (14), მარიჩი, მულაომეროვიჩი ...), ნიჩევიჩი (20), ი. რუდიჩი (1), ტ. რუ...იჩი, ვუიჩიჩი (19), ჟიჟიჩი
...გრეთი: ციგლერი (5), ფოდორი (6), გემეში ...), ჰალმი (8), კალმანი (5), მესაროში, ...მეტი (6), პანკარი, შიტკუ (23)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ...ვატია | 7 | 7 | 0 | 589:469 | 14 |
| ...ტვია | 7 | 4 | 3 | 590:525 | 11 |
| ...გლისი | 7 | 4 | 3 | 539:528 | 11 |
| ...გრეთი | 7 | 3 | 4 | 493:513 | 10 |
| ...ეიცარია | 7 | 3 | 4 | 471:525 | 10 |
| ...ოვაკეთი | 7 | 0 | 7 | 433:555 | 7 |

### B ჯგუფი

**პოლონეთი 83:74 ბელარუსი**

...ლონეთი: პლებოვიცკი (2), იანკოვსკი ...), კორიტეკი (9), კოსციუკი, მაკნაუ...ი (6), პლუტა (7), სიდორი (5), ტომ...ეკი (9), ვოიციკი (25), ზიელინსკი (12)
...ლარუსი: ალექსეევი (4), ბაიდაკოვი ...), კლემზა (9), კოჟენეცი (2), კუზ...ნი (8), კრივონოსი (22), კული (13), ...ჩერიაკოვი (6), პინტიკოვი (5), ვა...ლევკო

**ჩეხეთი 76:92 საბერძნეთი**

ჩეხეთი: ბეჩკა (15), ბენეში (2), ჩუდეკი (6), ფრანა (2), კუბალეკი (3), ნეჩასი, ნოვაკი (2), შტუხლი (16), ტრნკა (19), ველში (11)
საბერძნეთი: ალვერტისი (20), ხარისისი (3), დიამანტოპულოსი (2), ეკონომუ (18), იანულისი (13), კალაიძისი (8), დიკუდისი (14), პაპადოპულოსი, პაპანიკოლაუ (12), სიგალასი (2)

**ესტონეთი 79:60 ავსტრია**

ესტონეთი: პეჰკა (16), ტეინი (14), პარნი (12), კუუსმაა (11), რუმა (10), მიუურსეპი (8), კულამი (5), მეტსტაკი (3)
ავსტრია: ვოლჩიჩი (31), ფრიცი (15), ბუგელშაიმე (7), ჰუტერი (3), ვოშანკი (2), ლუტცი (2)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| საბერძნეთი | 7 | 7 | 0 | 568:458 | 14 |
| ესტონეთი | 7 | 5 | 2 | 557:517 | 12 |
| პოლონეთი | 7 | 4 | 3 | 544:534 | 11 |
| ჩეხეთი | 7 | 3 | 4 | 531:540 | 10 |
| ბელარუსი | 7 | 1 | 6 | 496:549 | 8 |
| ავსტრია | 7 | 1 | 6 | 482:580 | 8 |

### C ჯგუფი

**ისრაელი 97:81 ბოსნია**

ისრაელი: ბურშტეინი (16), კოენი (4), გრინი (14), ჰენფელდი (14), მუხტარი, ნისიმი, საფარი (10), შარფი (17), შელეფი (12), თორჯემანი (10)
ბოსნია: ფირიჩი (10), ჰუკიჩი (6), კაჰრიმანოვიჩი (6), კრასიჩი (8), ლერიჩი (22), მირკოვიჩი (2), მრშიჩი (8), ოვჩინა (12), სულიანოვიჩი (7)

**შვედეთი 76:92 ჰოლანდია**

შვედეთი: აულანდერი (21), ბერგსტრიომი, ბლომი (15), იონსონი (8), მ. ლარსონი (9), პ. ლარსონი (7), ლუნდალი, პეტერსონი (2), სალსტრიომი, სანდერსი (14)
ჰოლანდია: დე ფრიზი, ფლანდერსი (14), ჰაინენი (10), ჯონსი (7), კრიგერი (15), ლომერსე (1), სმიტსი (22), ტრიემსტრა (12), ვან დერ სლუისი (11), ვან ფელზენი

**ბულგარეთი 106:78 ფინეთი**

ბულგარეთი: ანგელოვი (10), ბანევი, დიმიტროვი (3), მინჩევი (32), მლადენოვი (8), ნატოვი (9), პეტროვი (9), რადიონოვი (14), სტოიკოვი (21)
ფინეთი: გუსტაფსონი (2), ჯონერი (8), კოტი (6), კუისმა (22), კუმპულაინენი, ლუხტანენი (5), მაკელა (17), ჰეჰკონენი (6), პრატესი (12), რიიჰელა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ისრაელი | 7 | 6 | 1 | 564:472 | 13 |
| ბოსნია | 7 | 4 | 3 | 525:521 | 11 |
| ფინეთი | 7 | 4 | 3 | 569:611 | 11 |
| ჰოლანდია | 7 | 3 | 4 | 523:516 | 10 |
| ბულგარეთი | 7 | 3 | 4 | 538:537 | 10 |
| შვედეთი | 7 | 1 | 6 | 499:561 | 8 |

### D ჯგუფი

**ბელგია 96:61 ისლანდია**

ბელგია: ბაერტი (3), ბაიერი (3), ბეგინი (6), კლეიმანსი (6), ელისი (6), ჟომინი (19), ლაუერსი (1), სტასი (9), სტრიულენსი (17), ვან დენ შპიგელი (16)
ისლანდია: არნარსონი (14), ბირგისონი (2), გუდმუნსონი (10), გუნარსონი (14), ინგვარსონი, ორმსონი (9), ფ. სტეფანსონი (3), ი. სტეფანსონი (6), ვილბერგსონი (3)

**სლოვენია 103:82 მაკედონია**

სლოვენია: ალიბეგოვიჩი (11), ბეჩიროვიჩი (5), ბრეზეცი (12), დრაგშიჩი (3), დუშაკი, გოლიოვიჩი (8), გორენცი (13), სმოდიში (23), ტუშეკი (19), ზდოვცი (9)
მაკედონია: ბლაჟევსკი, ბოჩევსკი (17), ჩეკოვსკი (14), გეჩევსკი (18), იოვანოვსკი (3), კურტოვიკი (9), ნაუმოსკი (5), სტეფანოვი (16)

**უკრაინა 89:67 პორტუგალია**

უკრაინა: ხარჩენკო (17), ხრიაპა (11), ლოხმანჩუკი (30), მოლჩანოვი (2), ოკუნსკი (4), პუდზირეი, რაევსკი (6), უსენკო, იაილო (16), იევსტრატენკო (3)
პორტუგალია: ანტუნეში (13), დე კამპოსი, დიასი (6), პინტუ (12), სიმაო (6), მაჩედუ (11), დესო (2), მონტეირუ (7), ოლივეირა (6), პერდიგაო (4)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| სლოვენია | 7 | 7 | 0 | 609:478 | 14 |
| უკრაინა | 7 | 5 | 2 | 524:446 | 12 |
| ბელგია | 7 | 4 | 3 | 526:481 | 11 |
| მაკედონია | 7 | 4 | 3 | 546:505 | 11 |
| პორტუგალია | 7 | 1 | 6 | 496:585 | 8 |
| ისლანდია | 7 | 0 | 7 | 415:621 | 7 |




ჩეხეთი — საბერძნეთი. ნიკოს ეკონომუ (ბურთით) ჩეხურ ბარიერს გადააწყდა

# მარატ საფინი: მე ვარ გოიმი?!





გუსტავო კუერტენი, მაგნუს ნორმანი, ევგენი კაფელნიკოვი და ანდრე აგასი მარატ საფინს უფრთხიან

ამ კვირაში ლისაბონი მსოფლიოს ყველაზე ელიტარულ და მდიდრულ ტურნირს, „მასტერსის თასს", იგივე კაცთა მსოფლიოს ჩემპიონატს უმასპინძლებს. სეზონის დამაგვირგვინებელი პირველობა, რომელიც აქამდე ზედიზედ ათჯერ გერმანიაში ტარდებოდა, ამიერიდან მომთაბარეობას იწყებს და ყოველწლიურად გამოიცვლის სამყოფელს: გაისად პორტუგალიიდან სიდნეიში გადაბარგდება, ხოლო მერე სად, ამაზე ჯერჯერობით ATP-შიც ვერაფერს გეტყვიან.

ტურნირის ფორმატი უცვლელია — სეზონში ნაჩვენები შედეგებით 8 საუკეთესო ჩოგბურთელი (გამონაკლის შემთხვევაში 7 საუკეთესო და ერთიც დიდი სლემის ტიტულის პატრონი) ორ ჯგუფად იყოფა, რომელთაგან პირველ-მეორე ადგილებზე გასულები ნახევარფინალში ითამაშებენ.

საპრიზო ფონდიც ისევ, მსუბუქად რომ ვთქვათ, შთამბეჭდავი დარჩა: ჯგუფში თითოეული მოგება 120 ათასი დოლარის ტოლფასია, ეს თანხა ნახევარფინალში გასამმაგდება, დაუმარცხებელ ჩემპიონს კი საბოლოოდ მილიონნახევარ მწვანეზე ცოტათი მეტი ერგება საშობაო საყიდლებისთვის.

ორშაბათს მოწყობილი კენჭისყრის შედეგად მოთამაშეები ჯგუფებში ასე განაწილდნენ.

**წითელი ჯგუფი**

**მარატ საფინი (1, რუსეთი) — 784 ქულა; სეზონში მოგება — წაგებათა შეფარდება: 71-25; ტიტულები: 7**

**პიტ სამპრასი (3, აშშ) — 637 ქულა; მ-წ: 40-11; 2 ტიტული**

**ლეიტონ ჰიუიტი (6, ავსტრალია) — 505 ქულა; მ-წ: 59-16; 4 ტიტული**

**ალექს კორეჩა (7, ესპანეთი) — 475 ქულა; მ-წ: 53-17; 5 ტიტული**

**მწვანე ჯგუფი**

**გუსტავო კუერტენი (2, ბრაზილია) — 709 ქულა; მ-წ: 59-21; 4 ტიტული**

**მაგნუს ნორმანი (3, შვედეთი) — 622 ქულა; მ-წ: 65-21; 5 ტიტული**

**ევგენი კაფელნიკოვი (5, რუსეთი) — 567 ქულა; მ-წ: 62-32; 2 ტიტული**

**ანდრე აგასი (8, აშშ) — 453 ქულა; მ-წ: 36-14; 1 ტიტული**

ტურნირს წლეულს მნიშვნელობას ისიც მატებს, რომ სწორედ აქ გაირკვევა, ვინ იქნება სეზონის ბოლოს მსოფლიოს პირველი ჩოგანი. ამის საუკეთესო შანსი 20 წლის რუს მარატ საფინს აქვს, რომელიც კონკურენტებს საკმაო მანძილით უსწრებს. თუნდაც ერთი მატჩის მოგებით ის მიუღწეველი გახდება პიტ სამპრასისთვის, ხოლო თუ ფინალში გავა, გუსტავო კუერტენიც ველარაფერს დააკლებს (თუნდაც ეს უკანასკნელი ჩემპიონი გახდეს).

„ლისაბონისთვის შესანიშნავად მოვემზადე. ჯერ კიდევ აპრილში საუკეთესო ოცეულში მოხვედრაზე ვოცნე-

ბობდი, ახლა კი პირველობი[...] ჩოგანი სთვის ვიბრძვი. ცოტათი თავადაც [...] კვირს, მაგრამ ყველას უნდა დავუ[...] კიცო, რომ მოსკოველი გოიმი არ [...] და თამაში მართლა ვიცი" — გან[...] ხადა ჟურნალისტებს საფინმა. სე[...] ნის კლასიფიკაციაში პირველ ად[...] ლზე დასრულებით ის ისტორიაში [...] ლაზე ახალგაზრდა ჩოგბურთელი [...] ხდება, ვინც ეს შეძლო, თანაც პირ[...] ლი არაამერიკელი 1991-ში სტეფან [...] ბერგის შემდეგ (1992-ჯიმ კური[...] 98 სამპრასი, 99 — აგასი)

ხშირი ტრავმიანობის მიუხედა[...] ჯერჯერობით ტურნირის რვავე მ[...] წილე საღ-სალამათად გამოიყურება. [...] თადარიგო ტომას ენკვისტისთვის [...] გილის დათმობას არც ორიოდ კვი[...] წინ ბარძაყნატკენი ანდრე აგასი [...] რებს და არც ლეიტონ ჰიუიტი, რო[...] ლსაც ამოუცნობი ალერგია აწუხე[...]

ლისაბონშივე დაუბრუნდება ასპა[...] ზობას უიმბლდონის შვიდგზის ჩემ[...] ონი პიტ სამპრასი, რომელსაც ამ[...] ლია პირველობის ფინალში საფინ[...] წაგების შემდეგ ალარსად უთამა[...] ამერიკელს მეტად საპატიო მიზ[...] ჰქონდა ამისთვის — სექტემბრის [...] ლოს მსახიობ ბრიჯიტ უილსონზე [...] რწინა.

„ცოლის მოყვანას ცხოვრებ[...] ერთხელ ვაპირებ, ამიტომ მინდოდა [...] დრო შემრგებოდა, მაგრამ არ გა[...] ნოთ, აქ მოუმზადებელი ჩამოვედი. [...] კმაოდ ბევრს ვვარჯიშობდი, სულ ე[...] სეტი მჭირდება თავდაჯერების და[...] რუნებლად და მერე სხვაზე უარ[...] შანსი ნამდვილად არ მექნება".

**ავთანდილ სვანი[...]**



# მასპინძელს ოს-კარი უჭრიალებს

## ასვა, აჭამა, ალხინა და ფულსაც შეპირდა



მარიონ ჯონსი და იან ჟელეზნი

**კვირას** მონტე კარლოში მძლეოსნებს თავიანთი „ოსკარები" დაურიგდათ. ორი მთავარი გმირი — წლის მძლეოსანი კაცი და ქალი — ფოტოზე ჩანს. მარიონ ჯონსის ცნობას არაფერი უნდა, მეორე კი იან ჟელეზნია, ჩეხი შუბის მტყორცნელი, სამგზის და მათ შორის სიდნეის ოლიმპიური ჩემპიონი. ჯონსის წლევანდელი მიღწევები კომენტარს ნაკრებად საჭიროებს: „ოქროს ლიგის" 10 კილო ოქრო მისია და სიდნეის ოლიმპიადის სამი ცალი ოქროს მედალიც (კიდევ ორი ბრინჯაოთი შეკმაზული). ჯონსმა პროგრამა-მაქსიმუმი ვერ შეასრულა (ოლიმპიადაზე ხუთივე ოქრო უნდოდა), მაგრამ საუკეთესო მძლეოსანი ქალის დასახელებისას არავის უყოყმანია, წლევანდელი წელი ჯონსისა იყო. ამასთან, წლის მძლეოსნობას სხვა თვისებებიც სჭირდება. ასე ფიქრობს მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის (იააფ) პრეზიდენტი ლამინ დიაკი. „ორივე ათლეტმა — ამბობს იგი — სპორტული სულისკვეთება ხომ ერთობ გამოამჟღავნა, მეტოქეთა პატივისცემითაც ყველაზე მეტად გამოირჩნენ და სტრესულ სიტუაციებში იარაღად დახვეწილ იუმორს რომ იყენებდნენ, ესეც ცალკე სათქმელია".

სხვა ნომინაციებში გაიმარჯვეს კეტი ფრიმენმა, ჰაიკე დრექსლერმა, სერგეი ბუბკამ, იანა პიტმენმა და ჰამდან ალ ბიშიმ. ფრიმენს „სპორტული სულის" ჯილდო ერგო. ამასთან დაკავშირებით გვახსენდება სიმბოლური მოძრაობები, რომლებიც მან ოლიმპიადაზე ცეცხლის დანთებისას შეასრულა და 400 მეტრზე დამაჯერებლად მოგებული ოლიმპიური ოქრო.

დრექსლერი და ბუბკა ვეტერანები არიან. ისინი „წარმატებული სპორტული კარიერისთვის" დააფასეს. ბუბკა უკვე ისტორიას ეკუთვნის, ოფიციალურად წავიდა დიდი ჭოკაობიდან, მაგრამ დრექსლერმა სიდნეის ოლიმპიადაზე რომ საქმენი საგმირონი ჩაიდინა, ალბათ, მომავალშიც ერთ-ორს მძლავრად გაისვრის.

ბოლო ორი, უცნობი გვარი ბევრს არას გეტყვით. ისინი იუნიორები არიან და მათგან მოგებულ ნომინაციას „ამომავალი ვარსკვლავი" ჰქვია. პიტმენი ოზია, სიდნეის ოლიმპიადაზე გამოდიოდა, მერე კი სანტიაგოში იუნიორთა მსოფლიოს პირველობაზე 400 ჩვეულებრივი და თარჯებიანი მეტრი ყველაზე სწრაფად გალია. საუდელ ალ ბიშის კი არაბული ცხენის სიმარდე აქედანვე ეტყობა. იმანაც 400-მეტრიანი გარბენი მოიგო და ჯერ ბავშვია, მაგრამ 44,66 წამი მთლად მძლეოსნობის ისტორიაში მეშვიდე შედეგი გახლავთ.

საზეიმო წუთებს მოჰყვა კონცერტი, პურისჭამა და თავშესაქცევი მონტე კარლოს განთქმულ დაწესებულებებში, ცალკეც იააფ-ის ახალი სიმბოლოს შემოღება, რომელსაც აქვე წარმოგიდგენთ. 1912 წლიდან მძლეოსნობას გამარჯვების ქალღმერთი ნიკე მფარველობდა და 21-ე საუკუნის მოთხოვნებს ველარ პასუხობდა, თუ რა იყო, გამოცვალეს. ახალ ლოგოს „მოზეიმე ათლეტი" ეწოდება და თქვენ, ალბათ, ვერ ამჩნევთ, მაგრამ თანამედროვე მძლეოსნისთვის აუცილებელ ყველა თვისებას ფლობს. ანუ: „ამაღლებულობას, პატიოსნებას, ჭეშმარიტების სიყვარულსა და წინსწრაფვას" (იმავე დიაკის სიტყვებია). ლოგოს გამოიყენებენ ყველგან, ყველა შეჯიბრზე, რომელშიც იააფ-ის სახელი იტრიალებს.

იააფ-ის საბჭოს წევრებმა მონაკოს სიამენი ბოლომდე ვერ იგემეს, ლოზანაში გაქანდნენ და იქ გუშინწინ წლის დასკვნითი სხდომა ჩაატარეს. სეფესიტყვით გამოვიდა ხუან ანტონიო სამარანჩი (სხდომა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის შტაბბინაში წარიმართა) და მძლეოსნობას სპორტის დედოფლობა დაუმტკიცა. თქვენი სპორტი ოლიმპიადაზე ყოველმხრივ პირველიაო, უთხრა მარკიზმა შეკრებილებს. მერე ფინანსურ საქმეთა განხილვა დაიწყეს. ამ მხრივ მატებაა. ადრე მსოფლიოს ჩემპიონატებზე პრემიებს მარტო პრიზიორები იღებდნენ, ახლა ფინალში ყოველი გასული იხეირებს. მაგალითად, მომავალი წლის პირველობა სუფთა ჰაერზე კანადურ ედმონტონში შედგება და იქ ფინალისტებს შედეგის მიხედვით 4-დან 60 ათას დოლარამდე დაურიგდებათ, ესტაფეტისთვის კი 4-დან 80 ათასამდეა დადგენილი. დარბაზებში თბილად მოასპარეზეთ ნაკლები შეხვდებათ. ლისაბონის ჩემპიონატის ჩემპიონი 40 ათასით დასაჩუქრდება, ფინალის აუტსაიდერი — ათჯერ ნაკლებით.

ცალკე ფულები მსოფლიოს თასისა და კროსის მსოფლიოს პირველობისთვისაც გადაიდო. თასი ყოველ მეოთხე წელს თამაშდება პირად-გუნდური პრინციპით. თანხები აქაც მრგვალია: 30 ათასი გამარჯვებულს, 1000 — მაჩანჩალას და ასე შემდეგ...

**დავით ბულუა**



# ბრაზილიურ[...] მილიონებ[...] ფრან[...] პროფესორ[...]

**ამ დღეებში** ფორ[...] ლა 1-ში მეტად საინტ[...] სო ამბავია მოსალოდ[...] — ალენ პროსტმა შ[...] ლება თავისი გუნდის [...] ციათა 40 პროცენტი გაასხვისო[...] თქმა უნდა, ამაში განსაკუთრებ[...] არაფერია, მაგრამ... „პროსტის" თა[...] ფლობელი კიდევ ერთი მრბოლი [...] გახდეს. ბრაზილიელ პედრო დინ[...] თავისი კაპიტალის დაბანდება სწო[...] „პროსტში" გადაუწყვეტია.

ამავე დროს, გამორიცხული სუ[...] არაა, რომ დინიცმა, რომელიც ინვე[...] ციის განხორციელებას მდიდარი მ[...] დახმარებით აპირებს, თავისი სპორ[...] ლი კარიერა დაასრულოს. ეს სწორ[...] მაშინ გაცხადდება, როცა დინიცის [...] პროსტის თანამშრომლობა ოფიცია[...] სახეს მიიღებს. ბრაზილიელი პი[...] თუ მართლაც აქციათა 40 პროცენტ[...] ილებს, მაშინ მას გუნდში იმდენივე [...] ლი ექნება, რამდენიც „პროფესორს". [...] რჩენილი 20 პროცენტი კი კომუნი[...] ების გერმანულ ფირმა UFA-ს ეკუთ[...]

პროსტისთვის დინიცის ფული [...] ლზე მისწრებაა. თუ იგი თავისი [...] სრებით ფორმულა 1-ის ჩემპიონა[...] მონაწილეობას უზრუნველყოფდა, [...] მაგიეროდ, ვერც ძლიერ პილოტებს [...] ულობდა და მანქანაც საშუალო [...] ნის ჰქონდა. ახლა კი „პროსტი" შ[...] ლება უბრალო სტატისტიდან მეო[...] ხარისხოვანი როლის შემსრულებ[...] მაინც იქცეს ჩემპიონატში.

ასე რომ, „ზაუბერის" მრბოლი პე[...] პაოლო დინიცი, რომლის ოჯახიც ბრა[...] ლიელ მდიდართა მოწინავე ხუთეუ[...] შედის, ალბათ, ფორმულა 1-ის საჯინ[...] ების ყველაზე ახალგაზრდა (30 წ[...] მფლობელი იქნება და მალე ახალი პრ[...] ლემების წინაშე დადგება. მათგან უპი[...] ლესი მეორე პილოტის შერჩევაა. ნ[...] აიდფელდის „ზაუბერში" წასვლის შე[...] თითქოს გასტონ მაცაკანე (მინარდი) [...] გაპროსტებულიყო, მაგრამ „პროფესორ[...] იგი დიდად არ ეხატება გულზე და ფ[...] მულა 3000-ში თავგამოჩენილი ფერნა[...] ალონსოსკენ იხრება.

**ბაბი ბურ[...]**

ჭადრაკი

# ...ბილავა ანანდს ჭადრაკს და ქართულს ასწავლის

დასაწყისი პირველ გვერდზე

...ართველების დესანტი ინდოეთში ...ფლიო ჩემპიონატზე მრავალრიც... ...ანია: 1 ვაჟი — ზურაბ აზმაიფარა...ლი, რომელიც II რაუნდიდან ჩაერ...ბა თამაშში მაღალი რეიტინგის გამო 9 ქალი: ჩიბურდანიძე, იოსელიანი, ...ციძე, გურიელი, არახამია, ხურ...ლავა, ჯავახიშვილი, ტყეშელაშვი... და ფიდეს პრეზიდენტის ნომინა... – გაფრინდაშვილი. სამწუხაროდ, ...რიკიდან ჩამოსვლა ვერ მოახერხა ...უდან გოლეთიანმა და ამიტომ მი... მეტოქე იოსელიანი პირდაპირ II ...ნდში აღმოჩნდა, პერსონალურად ...ვებულ მსოფლიო ჩემპიონ სიუ ჟუ..., მსოფლიო ჩემპიონ მაია ჩიბურ...ძესთან და ვიცეჩემპიონ ალისა გა...მოვასთან ერთად. დელიში „გადა...ლი" ქართველებიც გვყავს, უცხო...ში გათხოვილები: ქეთევან კახიანი ...მანია) და ჰენრიეტა ლაგვილავა ...არუსი). საქართველოს ქალების წა...მადგენლობა ჩემპიონატზე ყველა...მრავალრიცხოვანია. რუსებს ჰყავთ ...ონაწილე, ჩინელებს — 5. იმედია, ...ლენობა ხარისხში გადაიზრდება.

...ფე სიდიდით II საერთაშორისო სპორტული ფედერაციაა ფეხბურთის შემდეგ. მასში 169 ქვეყანაა გაერთიანებული. ფიდეს ეგიდით ნოკაუტ-სისტემით მსოფლიო ჩემპიონატი ჭადრაკში მესამედ ტარდება. ვაჟებში 100 მოჭადრაკე მონაწილეობს, ქალებში — 61. ვაჟებში 7 რაუნდი გათამაშდება, ქალებში — 6. VI რაუნდამდე მოჭადრაკეები 2 პარტიისაგან შემდგარ მინიმატჩებს ითამაშებენ. გამარჯვებული გააგრძელებს ორთაბრძოლას. სათამაშო დროის კონტროლია: 100 წუთი — 40 სვლა, 50 წუთი — 20 სვლა და 10 წუთი პარტიის ბოლომდე, ყოველი სვლის შემდეგ 30 წამის დამატებით.

I ტური არ აღმოჩნდა ჩვენთვის იღბლიანი. საქართველოს სახელით მოასპარეზე მხოლოდ ორმა ქართველმა გაიმარჯვა. ედინბურგში გათხოვილმა ქეთევან არახამიამ შავებით დაამარცხა ამერიკელი შაჰადე. მეორე გამარჯვება ქართულ დუელში დაფიქსირდა: ინგა ხურცილავამ ნონა დაამარცხა, თუმცა, უნდა ითქვას, რომ ნონამ ზედმეტი პაიკით მხედრების დაბოლოებაში უხეში შეცდომა დაუშვა და 6-საათიანი ნაყოფიერი შრომა წყალში გადაყარა. უიღბლო აღმოჩნდა ტური სტამბოლის ოლიმპიადის ყველაზე შედეგიანი მოჭადრაკის, ნინო ხურციძესათვის. მან უმარტივესად „დასვა" ფიგურა და აშკარა ფავორიტი მოულოდნელად დამარცხდა უცნობ ამერიკელ ოსტატ ჰაანთან. სენსაციური იყო გურიელის წაგება 16 წლის სამხრეთაფრიკელ მეიერთან. 16 წლის ლელა ჯავახიშვილის მიერ 30-ე სვლაზე ენდშპილში დაშვებული უზუსტობა გადამწყვეტი აღმოჩნდა. გაიმარჯვა გერმანიაში გათხოვილმა ცნობილმა ქართველმა დიდოსტატმა ქეთევან კახიანმა. ტყეშელაშვილი — მარიჩის პარტიაში ყაიმი დაფიქსირდა, თუმცა სოფიკომ პაიკის შეწირვით შესძლო უპირატესობის მიღწევა.

მსოფლიო ჩემპიონატი ინდოეთში ჩვენთვის არასახარბიელოდ დაიწყო. თუმცა „მძიმე არტილერია": ჩიბურდანიძე, იოსელიანი ჯერ კიდევ რეზერვშია. აზმაიფარაშვილის მსგავსად ისინი II რაუნდში ჩაერთვებიან ბრძოლაში.

„ოლიმპიადა — ჰიმნია!" — სინანულით თქვა ნინო გურიელმა, როცა სტამბოლში მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე გაისმა ჩინეთის ჰიმნი. მართლაც... სპორტი ყველაზე მეტად ამძაფრებს ეროვნული სიამაყის გრძნობას, და ამ გრძნობის ყველაზე ამაღლებული მომენტი გაჟღერებული ჰიმნია. რომელი ქვეყნის მუსიკალური აკორდებით დასრულდება XX საუკუნის ბოლო მნიშვნელოვანი სპორტული მოვლენა? „სიცივეს კაცი მოუკლავს", უსინათლობასაც, ოცნებას — არა!

ჰოკეი

# ოდესღაც დიადი ყოფილა მონრეალი

27 ნოემბერი

**დეტროიტი — ჩიკაგო 5:6**

1:2 3:2 1:1 0:1

0:1 მაკამონდი 10'27 (3); 1:1 გილი 11'10 (2); 1:2 ზელეპუკინი 12'30 (3); 2:2 ჰოლმსტრიომი 22'26 (3); 3:2 კოზლოვი 30' 21 (7); 4:2 მოლტბი 35'02 (7); 4:3 დაზე 36'47 (6); 4:4 ამონტე 39'47 (12); 4:5 დაზე 48'37 (7); 5:5 ლიდსტრიომი 51'54 (4); 5:6 სალივანი 64'32 (10)

**მონრეალი — ატლანტა 3:2**

2:1 1:1 0:0

0:1 ოდეტი 6'18 (10); 1:1 ზუბრუსი 7'21 (10); 2:1 ზუბრუსი 11'28 (11); 3:1 რუჩინსკი 21'48 (7); 3:2 ბრიუნეტი 35'41 (6)

**აილენდერსი — ტამპა 7:4**

4:1 0:2 3:1

1:0 ჰამრლიკი 8'21 (8); 2:0 ლაპუანი 8'48 (3); 3:0 ჰალერი 14'05 (1); 3:1 ლეკავალიე 16'42 (10); 4:1 სკაჩარდი 19'53 (5); 4:2 მოდინი 32'05 (12); 4:3 რიჩარდსი 36'58 (7); 5:3 პაიეტი 40'58 (1); 5:4 სენტ ლუისი 42'23 (3); 6:4 კვაში 48'40 (6); 7:4 პერიში 50'40 (5)

ჩიკაგოსთვის, რომელიც უხეირო სტარტის შემდეგ ვითარების გამოსწორებას ცდილობს, 8-მატჩიან საგარეო სერიაში 8 ქულის მოპოვება მართლაც რომ კარგ შედეგად უნდა ჩაეთვალოს. 17-დღიან მოგზაურობას რომ გადაეღალა გუნდი, რა გასაკვირია, ჰოდა, დეტროიტელებსაც ეგონათ, გადაქანცული მეტოქე სერიის ბოლოს საკადრის წინააღმდეგობას ვერ გაგვიწევსო, მით უმეტეს, რომ წინა შეხვედრა მინესოტასთან „ქორებმა" უბრძოლველად დათმეს. ამიტომაც დაისაჯნენ. პირველ პერიოდში 4:2 ჩამორჩენილმა ჩიკაგომ მეორე მესამედშივე გაათანაბრა ანგარიში, შემდეგ ამონტესა და დაზეს ძალისხმევით დაწინაურდა და მასპინძელებმა ძირითად დროში რის ვაივაგლახით აღადგინეს წონასწორობა. ოვერტაიმში კი ბედმა სტუმრებს გაუღიმა და შედეგად ჩიკაგომ მეორედ სძლია სტუმრად დეტროიტს.

მონრეალს მთელი სეზონი ატლანტის წინააღმდეგ რომ ეთამაშა, ალბათ, ასეთ სავალალო მდგომარეობაში არ იქნებოდა. ბოლო 9 მატჩში მხოლოდ 2-ის მოგებას კანადელები სწორედ ამ მეტოქეს უნდა უმადლოდნენ, ხოლო იმ ორი წლის განმავლობაში, რაც ლიგაში თამაშობს, ატლანტამ ერთადერთი ქულა აართვა ოდესღაც დიად გუნდს. მასპინძელთაგან საუკეთესო ლიტველი დარიუს ზუბრუსი (2+1) იყო, რომელიც მწვრთნელებმა პირველ სამეულში დააყენეს.

როგორც იქნა, აილენდერსმაც გაიხარა. 8 უხეირო მატჩის შემდეგ ნიუიორკელებმა ჯავრი ტამპაზე იყარეს და ერთბაშად 7 შაიბა შეაგდეს. ამდენი გოლი ნიუიორკელებს 1996 წლს შემდეგ არ გაუტანიათ.

**სამველ ლარიბიანი**

# ...საქმე სროლამდე არ მისულა

...ეშინ სპორტის დეპარტამენტში ორი ...ერაციის ყრილობა გაიმართა — ...რობა ჯერ მსროლელებსა და მშ...ლოსნებს დაეთმოთ, მერე — ძიუ...დოკებს.

...ი შეხედვით, შეხლა-შემოხლა ძი...ოთა თავყრილობიდან მეტად იყო ...ოდნელი, მაგრამ უფრო ხმაუ... ჩუბინთა შეკრება გამოდგა.

...ივე ყრილობის დღის წესრიგში ...ურესი საკითხი ფედერაციების გა...ლი მუშაობის შეფასებასთან ერთად ...ი პრეზიდენტის არჩევა იყო. სრო...მშვილდოსნობის ფედერაციაში ...კურენტო ძველ პრეზიდენტს, უში...ების მინისტრ ვახტანგ ქუთათე...ს წინააღმდეგობა არ უნდა შეხ...როდა (საბოლოოდ ასეც მოხდა), ...ამ ხმაური სხვა მხრიდან ატყდა ...აჭარის სპორტის დეპარტამენტმა ...მშვილდოსნობის ფედერაციამ მშ...ლოსნობის ცალკე ფედერაციად გა...ოფა მოითხოვეს ოფისის ბათუმში ...ატანით, თანაც დაფინანსებას თვი... კისრულობდნენ. დეპარტამენტის ...მძღვანელობა წინააღმდეგი არ ყო...ა, თუმც საკითხის გადაწყვეტა ჯერ ...ქარევად მიიჩნია. საბოლოოდ ფე...რაციის აღმასკომს დაევალა, 2001 ...ის იანვრის პირველ დეკადამდე იმ...ლოს ამ თემაზე და გადაწყვეტი...ბაც მიიღოს.

ყრილობამ ფედერაციის მუშაობა განვილი ოლიმპიურ ციკლში დამაკმაყოფილებლად შეაფასა (საწინააღმდეგოს მხოლოდ დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე მურთაზ მნათობიშვილი ამტკიცებდა), გენერალურ მდივნად ისევ გივი ბოსტოღანაშვილი აირჩიეს, ვიცე-პრეზიდენტებად — თამაზ იმნაიშვილი და ნინო სალუქვაძე, რომლის წინააღმდეგაც მხოლოდ მწვრთნელი მამა, ვახტანგ სალუქვაძე გამოვიდა, ნინო მოქმედი სპორტსმენია და მაგისთვის ვერ მოიცლისო.

ამ მოულოდნელად გაჭიანურებული ყრილობის დამთავრებას ძიუდოისტები დერეფანში ელოდნენ და უმალ დარბაზი დაიკავეს. თავიდან გეტყვით — ყრილობამ ფედერაციის მუშაობა ამჯერადაც დამაკმაყოფილებლად შეაფასა.

საპრეზიდენტო არჩევნებში ძველი პრეზიდენტი დილარ ხაბულიანი და ოლიმპიური ჩემპიონი დავით ხახალეიშვილი მონაწილეობდნენ. ხახალეიშვილისთვის რამდენიმე დღის წინ აღმასკომის სხდომაზე თითქმის ყველას ურჩევია, ჯერ ახალგაზრდა კაცი ხარ, გამოუცდელი და კანდიდატურა მოხსენიო. როგორც ითქვა, ამით განაწყენებული ფალავანი ყრილობას არ დაესწრო. მის ინტერესებს დარბაზში მხოლოდ ამაგდარი მწვრთნელი ბიძინა მაზიაშვილი იცავდა და ოპოზიციონერიც მხოლოდ ის აღმოჩნდა. ემოციები, დაძაბულობა და კრიტიკა ამ შეხვედრას არ აკლდა, მაგრამ მაზიაშვილის, ყრილობის წამყვან გურამ პაპიტაშვილისა და ხაბულიანის იუმორის წყალობით ყველაფერმა სიცილ-ხარხარში და ხუმრობაში ჩაიარა. ხაბულიანიც ერთხმად აირჩიეს პრეზიდენტად (უკვე მესამედ), რომელმაც ჯერ მსოფლიოს მომავალ ჩემპიონს საჩუქრად ბინა აღუთქვა, მერე კი ძიუდოს წინსვლისთვის შემუშავებული ფედერაციის სტრუქტურული ცვლილების პროექტი წარმოადგინა — სამი ვიცე-პრეზიდენტი, გენერალური მდივანი, სპორტული დირექტორი და სამეცნიერო ჯგუფი. ყრილობამ ეს პროექტიც დაამტკიცა და შეთავაზებული კანდიდატებიც. ვიცე-პრეზიდენტებად შოთა ჩოჩიშვილი, თემურ ხუბულური და შენგელი ფიცხელაური აირჩიეს, გენერალურ მდივნად — ანზორ მარტყოფლიშვილი, სპორტულ დირექტორად — შოთა ხაბარელი, სამეცნიერო ჯგუფის ხელმძღვანელობა კი დურმიშხან ჩიტაშვილს დაევალა. ითქვა მსაჯთა კოლეგიის მუშაობის გაუმჯობესებაზეც და აირჩიეს 33-კაციანი აღმასკომი, რომელშიც ერთი ნაცნობი, მაგრამ დღეს მივიწყებული პოლიტიკური ფიგურა — თავდაცვის ექსმინისტრი ვარდიკო ნადიბაიძეც მოხვდა.

**ირაკლი თაგაძე**

ქვირის მოთამაშე

## სერგეი ფიოდოროვი (დეტროიტი)



**დეტროიტელ** სერგეი ფიოდოროვზე ამბობენ, თავის უდიდეს პოტენციალს მთლიანად არ ავლენს და მიზეზთა გამო ისე არ თამაშობს, როგორც შეუძლიაო. ამის მთქმელთ საფუძველიც აქვთ. რუსი ჰოკეისტი ბრწყინვალე თამაშს ჩავარდნებსაც უნაცვლებს ხოლმე, ამიტომაც ვერ დაიმკვიდრა ადგილი ლიგის ყველაზე კაშკაშა ვარსკვლავებს შორის. მაგრამ თუ იგი თამაშის გუნებაზეა, მის მეტოქეს კარგი დღე ნამდვილად არ დაადგება. გასულ კვირაში ფიოდოროვმა თავისი ნამდვილი ძალა აჩვენა. „წითელფრთიანებმა" იმ ოთხი შეხვედრიდან სამი მოიგეს, აქედან ბოლო სამში მათმა ლიდერმა ჰეთ-თრიქი და ორი დუბლი მიითვალა, საბოლოოდ კი — 10 (7+3) ქულა. კარგა ხანია, ასე არავის გაუბრწყინია. ფიოდოროვის წარმატებამ სულზე მოუსწრო დეტროიტსაც, რომელიც დაშავებული კაპიტნის, სტივ აიზერმანის გარეშე ასპარეზობს.

**საუკეთესო ექვსეული. 20-26 ნოემბერი**

*მარტინ ბროდო* (ნიუ ჯერსი, 1), *ნიკლას ლიდსტრიომი* (დეტროიტი, 1) — *სკოტ ნიდერმაიერი* (ნიუ ჯერსი, 1), *ზიგმუნდ პალფი* (ლოს ანჯელესი, 2) — *სერგეი ფიოდოროვი* (დეტროიტი, 1) — *ენსონ კარტერი* (ედმონტონი, 1)



დეტროიტელი ტომას ჰოლმსტრიომი (96) ჩიკაგოელთა კარში შაიბასავით შევარდა

ბრიჯი

# ...ბრიჯმაც იბარტყა

**თბილისში** დასრულდა საქართველოს ღია ჩემპიონა... სპორტულ ბრიჯში წყვილთა შორის. ოთხდღიანი და...ული შეჯიბრების შედეგად საუკეთესო შედეგი აღმოა...და ნუგზარ მახათაძე — ირაკლი ბერიაშვილის წყვილს. ...რე ადგილზე გავიდა გრიგოლ ღოღობერიძისა და ირა... გარიშვილის წყვილი. პირველ მათგანს ქვეყნის ჩემპი...ის ტიტული ერთხელ აქვს მოპოვებული, მეორეს — ...ჯერ. მესამე საპრიზო ადგილი წილად ხვდათ საქარფთ...ლოს ოთხგზის ჩემპიონს გოჩა გოშაძესა და ნიკოლოზ ...ბაძეს.

...შესანიშნავად ორგანიზებულ ჩემპიონატს (დავით ვირსა...ძე, მიხეილ ვირსალაძე) მეტი ელფერი შესძინა სომეხი ...ჯისტების მონაწილეობამ. სასიამოვნოა ისიც, რომ ამ ერთობ ჭკვიანური სპორტის სახეობის გეოგრაფია როგორც იქნა გასცდა დედაქალაქს. ამ თვალსაზრისით პირველი მერცხლები სამტრედიელები აღმოჩნდნენ. იქ უკვე ფუნქციონირებს ენთუზიასტ სპორტსმენთა საკმაოდ სოლიდური კლუბი. მათი სპორტული შედეგები, ცხადია, ჯერჯერობით მოკრძალებულია, მაგრამ იმედია, რომ მხოლოდ ჯერჯერობით. საქართველოს ბრიჯის ფედერაციაში ვარაუდობენ, რომ სამტრედიელთა მაგალითი გადამდები გამოდგება სხვა ქალაქებისთვის. რაც შეეხება თბილისს, აქაური ბრიჯკლუბი (წინამძღვრიშვილის, ყოფილი კლარა ცეტკინის 126, შაბათ-კვირა) სიამოვნებით გაუწევს მასპინძლობას ამ შესანიშნავი თამაშის შესწავლის მსურველთ.

**დავით ხარზიანი**


...ქალთა ფსიქოლოგიური კონსულტაციების ცენტრი

გთავაზობთ სპორტსმენთა ფსიქოლოგიურ მომზადებას სხვადასხვა დონის ასპარეზობებისთვის, აგრეთვე სტრესების, დისკომფორტის, შფოთვის, კომპლექსების, დეპრესიის, შიშების მოხსნას, ურთიერთობების პრობლემების მოგვარებას. მიღება წინასწარ ჩაწერით — 29-28-84.

კონსულტანტი: ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი,

დოცენტი ნატა გელოვანი

(მაღალი რანგის სპორტსმენებთან მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილებით)





# მობილურ ამბავში

სანტიაგო დე ჩილეში ჩაფრენილა მსოფლიო პაპარაცთა საყვარელი ჩოგბურთელი, რუსი გოგოშკა ანა კურნიკოვა, ვინაც ქალთა სიძლიერის სიაში რიგით მერვეა. იქავეა ქალთა შორის უპირველესი, შვეიცარიელი მარტინა ჰინგისს. ეს ორნი ამხანაგურად უნდა გაეთამაშონ ერთმანეთს ამერიკული მობილური ტელეფონების კომპანიის სარეკლამო კამპანიის ამბავში. სანამ კურნიკოვა ჟურნალისტებს ხვდებოდა, ჰინგისი ხეიბარ ჩილელ მოზარდებს ხვდებოდა და უშურველად ურიგებდა ავტოგრაფებს.

# ლისაბონის ოსტატები



ლისაბონის ოსტატთა თასი ის შეჯიბრია რვა უძლიერეს ჩოგბურთელს რომ უყრის თავს და ერთგვარი საფეხბურთო ტრადიციით ორ ჯგუფად ახვედრებს ერთმანეთს, ორ-ორ საუკეთესოს კი ნახევარფინალისკენ უხსნის გზას. და ჰა, უკვე შეყრილან მელანქოლიურ ლისაბონში საუკეთესონი. წილისყრის დილას გვერდ-გვერდ მსხდარან ბრაზილიელი გუსტავო კუერტენი და შვედი მაგნუს ნორმანი. ფინალი კი 3 დეკემბერს გაიმართება.

ლისაბონელ ჩოგბურთის ტრფიალთ კი ზეიმის ხანა უდგათ, ხუთ დღეში, რვა საუკეთესო ჩოგბურთელის ავტოგრაფების მონადირება შეუძლიათ. აგე, ერთ გოგოს რუსი მარატ საფინი გამოუჭერია.



# მედისონ სკვერთან მორიგი ფოტო

„მედისონ სკვერ გარდენი“ იმგვარი ადგილია, რო ფოტორეპორტიორებს გამოჩენილი ხალხის პოვნა ა უჭირთ. „ნიკსისა“ და „ვანკუვერ გრიზლიზის“ ენბეუ შეხვედრაზე გვერდ-გვერდ მჯდარან ბეისბოლი ნიუიორკელი ვარსკვლავი, „იანკის“ შორტსტოპი დერე ჯეთერი და ამა წლის მის უნივერსი, ინდოელი ლარ დუტა. ერთად ისხდებოდნენ, აბა რა, დიდი გელფრენდ ბოიფრენდობა ჰქონია



# კაპიტანს დასცხ



ამგვარი ხმაურობა ინდოეთში პრემიერ მინისტრ რაჯივ განდის მკვლელობის შემდეგ არ ყოფილა ეროვნული სიამაყის, კრიკეტის ნაკრების ხუთი წევრი თამაშების ჩაწყობაშია მხილებული. სცხელა ნაკრებ კაპიტან მუჰამედ აზარუდინს (მარცხნივ) – ჰაიდარაბადის სასამართლომ დამნაშავეობა დაუდგინა


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ პოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ზურაბ მეძველია
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
**ფეხბურთის რედაქცია** ვახტანგ ბზიკაძე, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, ვანო ოქროპირიძე; **ინფორმაციის რედაქცია** გია ახალაძე, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი თავაძე, ავთანდილ სვანიძე; **კალათბურთის რედაქცია** გიო ახვლედიანი, გიორგი ბიკაშვილი, ირაკლი ფირაშვილი **კორესპონდენტი ქუთაისში** იუზა კაციტაძე **ფოტორეპორტიორები** გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე **სტილისტები** მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი **კომპიუტერული ცენტრი** ლია ბესელია, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, თინათინ შიოლაშვილი, გურამ ხელაშვილი
**გამომშვები** ზურაბ ინაშვილი



რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge